

ISSN 0134 3459

ՀԱՅԿԱՅԻՆ  
ՔՈՆԿՐԵՏԻՆԵ  
ՊՐԵՍՍԱ

# ԺՆՆՈՆԻ

1983

87

# 3

652  
1383/2



# ჭოჯოში

ლიბერატორულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ჟურნალი

საქართველოს მშვიდობა კავშირისა  
და აზარის განყოფილების  
ორგანო

გამოცემის 25-ე წელი

3

1983

მაისი  
ივნისი

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,  
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...  
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



გათუხი



# ნოქარში დაბეჭდილია:



3 „ჭოროხი“ 25 წლისაა

## პოეზია, პროზა

|                 |                                      |
|-----------------|--------------------------------------|
| უმოთა ზომიკა    | 6 ლექსები                            |
| ჯემალ ჯაყელი    | 12 ივერია (მოთხრობა. გაგრძელება)     |
| დავით თედორაძე  | 28 ლექსები                           |
| რამაზ სურგანიძე | 32 ემრულა (კინომოთხრობა. გაგრძელება) |
| ჯემალ ქათამაძე  | 50 ლექსები                           |

## ახალი მთარგმანები

|                 |                                                         |
|-----------------|---------------------------------------------------------|
| ალფრედ დე ვიუსე | 55 ლექსები (თარგმნა გიორგი სალუქვაძემ)                  |
| კაინერის კაინე  | 58 ხილვითი ფიქრები (ლექსი. თარგმნა მიხეილ შამულაშვილმა) |

## ნარკვევი

|                |                           |
|----------------|---------------------------|
| ნოდარ კირაკიძე | 59 დიოკნისელი ქალიშვილები |
| დავით კუჭავა   | 63 გმადლობთ, ექიმო!..     |

## ჯეჯილი

|                  |                         |
|------------------|-------------------------|
| ნოზრემან ირემაძე | 71 ფეხბურთელები (ლექსი) |
| ოთარ ჭყონია      | 71 სათუნა (ლექსი)       |
| ვასილ სიმონია    | 71 სიხარული (ლექსი)     |

## მეგობრობა – ვგაღ და სიღაღ

|                      |                          |
|----------------------|--------------------------|
| ლევან კალანდარიშვილი | 72 კობის ფურცლები        |
| ზინა კოვასიძე        | 75 ჩვენი ძლიერების წყარო |

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

|             |                                                      |
|-------------|------------------------------------------------------|
| ნინო ფლანდი | 78 ანასტასია ერისთავ - სოშტარიას საბავშვო ობზულებანი |
|-------------|------------------------------------------------------|

## წერილები

|                |                                                                      |
|----------------|----------------------------------------------------------------------|
| სერგო გოგიტიძე | 83 სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქვის ხანის ძეგლთა შესწავლის შედეგები |
|----------------|----------------------------------------------------------------------|

## რაც დავიწყებით არ იბნდება

|                |                          |
|----------------|--------------------------|
| იასონ ცერცვაძე | 89 იმ ქარცესლიან დღეებში |
|----------------|--------------------------|

## სკოლტი

|             |                          |
|-------------|--------------------------|
| შალვა შირია | 91 მტკვრისპირელი გარინჩა |
|             | 94 გასულ ორ თვეში        |

გარეკანის 1-ლ გვერდზე – ადმინისტრაციული შენობა ქ. ბათუმში ლენინის პროსპექტზე. მხატვარი ა. ლომაძე.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. ღარჩია.

04461



საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანოს — ჟურნალ „ჭოროხს“ დაარსების 25 წელი შეუსრულდა.

რასაკვირველია, აჭარაში, კერძოდ, ბათუმში მხატვრული პერიოდიკის ისტორია ამ 25 წლით არ განისაზღვრება. აზიტომ, როდესაც ჟურნალის განვლილ გზას გადავაგვლებთ თვალს, უნდა ვილაპარაკოთ იმ შემოქმედებით პროცესზე, რომელიც დაკავშირებულია აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარებასთან.

ბათუმში ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გამოცემას საკმაოდ დიდი ხნის და საინტერესო ისტორია აქვს. განსაკუთრებით აღორძინდა ეს საქმე საბჭოთა ხელისუფლების წლებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარება პარტიულ თუ კომკავშირულ გაზეთებთან ერთად დიდადაა დაკავშირებული მხატვრულ პერიოდიკასთან.

ბათუმში გამოცემული ლიტერატურული გაზეთებისა და აღმანახების ლიტერატურული დონე საკმაოდ მაღალი იყო, რაც ადგილობრივ მწერლებთან ერთად, მათში ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატების ღონაწილობამ განაპირობა.

1935 წელს, როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გაზეთი „ლიტერატურული აჭარისტანი“ დაარსდა, მის პირველ ნომერში ასეთ სტრიქონებს წაიკითხავდით:

„ზე მჯერა, რომ აჭარლები... თავიანთ სამწერლო კადრებს მოაღონიერებენ.

წრფელი გულით ვუსურვებ გაზეთის თანამშრომლებს, რომ ეს ტვირთი ხალისით და ბეჯითად ეზიდნოთ.

იმედია, არც ქართული ენა დაიჩაგრება თქვენს გაზეთში. თანამშრომელთა შორის მეც მიგულეთ.

თქვენი ერთგული მოძმე და ამხანაგი  
მისცილ ჯავახიშვილი“.

ეს ლიტონი სიტყვები არ ყოფილა. ქართველი მწერლები სიტყვითა და საქმითაც ჩუდამ მხარში ედგნენ ბათუმელ თანამოკალმეებს, აჭარაზე, მის შესანიშნავ ადამიანებზე მათ საუკეთესო ნაწარმოებები შექმნეს, რომლებიც პირველად სწორედ ბათუმში დაისტამბა.

ქ. მარაშის სსხ. სსპ. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
ბ ა თ უ მ ი



რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,  
რა მოწაგალი, ძვირფასი ბედით...  
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ღიდი გალაკტიონის ამ სტრიქონებით შემთხვევით როდი იხსნება ჩვენი ჟურნალი. ბათუმში დაიბადა მისი შესანიშნავი ციკლი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, რომელიც პირველად ბათუმშივე გამოქვეყნდა. ასევე შეიძლება გავგვსხვებინა ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა და სხვა მწერლების მხატვრული ქმნილებები, რომლებიც აჭარის, მისი შესანიშნავი ადამიანების შთამბგონებელი ჰიმნია.

როგორც უკვე ვთქვით, ამ ნაწარმოებებმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა ბათუმში გამოცემული ერთდროული ლიტერატურული გაზეთებისა თუ აღმანახების საკმაოდ მაღალი დონე და მთელი სინწივით დააყენა ბათუმში პერიოდული ჟურნალის გამოცემის საკითხი.


25 წლის წინათ — 1958 წელს გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ორთვიური ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“. ამ სახელწოდებით მან 1970 წლამდე იარსება და შემდეგ „ჭოროხად“ გადაკეთდა, ამასთან ჟურნალი საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოდ გახდა. განვლილი 25 წლის მანძილზე „ჭოროხმა“ გარკვეული როლი შეასრულა აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარებაში, ახალი სამწერლო კადრების დაოსტატებაში.

ჟურნალის რედაქციის მიზანია „ჭოროხის“ გარშემო შემოიკრიბოს ფართო აქტივი — ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ფეხი აუწყოს დღევანდელობის მოთხოვნებს. დღევანდელობის უპირველესი მოთხოვნა კი, როგორც ეს ხაზგასმითაა აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შემოქმედებითი კავშირების შესახებ“, ის არის, რომ ჩვენმა მწერლებმა, ლიტერატურული ჟურნალების მუშაკებმა, საერთოდ, მთელმა შემოქმედებითა ინტელიგენციამ თავიანთი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, პარტიის წინასწარდასახულობათა შესრულებას.

თანამედროვე ქართული მწერლობა სიტყვითა და საქმით კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელია. სწორედ ამიტომ განოვნდურნენ ასე მხურვალედ ქართველი მწერლები, ლიტერატურული პერიოდიკის მუშაკები ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ცნობილ დადგენილებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვერალთა აჭარის ორგანიზაციის ლიტერატურული ჟურნალი, ისევე, როგორც თვით ეს ორგანიზაცია, თავის საქ-





შიანობას მუდამ წარმართავდა პარტიის მოთხოვნის შესაბამისად, ამ ბოლო დროს „ჭოროხის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც წინა პლანზეა წამოწეული დღევანდლობის მაჯისცემა, რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები. ამ ნაწარმოებებმა მკითხველთა ინტერესი გამოიწვია არა მარტო ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სულიკო ფლენტისა და რეზო ჩხეიძის კინოსცენარი „რაიკომის მდივანი“, რომლის მიხედვითაც გადაიღეს მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მშობლიურ ჩემო მიწავ“. ამ ფილმს საყოველთაო წარმატება ხვდა.

ასევე მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია ჭაბუა ამირეჯიბის ახალი რომანის ფრაგმენტებმა, ლადო გუდიაშვილის წიგნებებმა, ბულატ ოკუჯავას, ჯანსუღ ჩარკვიანის, რევაზ ინანიშვილის, რევაზ თვარაძის, გურამ შარაძისა და სხვათა ნამუშევრებმა. ამ დაინტერესებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჟურნალის ტირაჟი 2.000-დან 5.000-მდე გაიზარდა და დღეს „ჭოროხს“ საქართველოს ყველა კუთხეში კითხულობენ.

ცნობილი ქართველი მწერლების მონაწილეობა ჩვენს ჟურნალში ისე არ უნდა გავივოთ, თითქოს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდეთ ადგილობრივი, აჭარაში მომუშავე მწერლების შემოქმედებას. მათი საუკეთესო პოეტური თუ პროზაული ქმნილებები, კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილები ნომრიდან ნომერში იბეჭდება „ჭოროხის“ ფურცლებზე და ბევრმა მათგანმა ქართული სალიტერატურო კრიტიკის ყურადღებაც მიიქცია. სიტყვამ მოიტანა და, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია და რადიო სისტემატურად ეხმაურებიან „ჭოროხის“ ყოველ ახალ ნომერს, ბეჭდავენ რეცენზიებს, გამოხმაურებებს. ამ ყურადღებისათვის მადლობის გარდა ჩვენ არაფერი გვეთქმის.

ყოველივე ზემოთქმულმა, ჟურნალის 25 წლისთავთან დაკავშირებით, ისეთი წარმოდგენა არ უნდა შეგვექმნას, თითქოს ჩვენს მუშაობაში ყველაფერი რიგზე იყოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „ჟურნალების ხელმძღვანელები ყოველთვის როდი იჩენენ ჯეროვან მომიჯნოველობას ავტორებთან მუშაობაში. იბეჭდება ბევრი მხატვრული თვალსაზრისით სუსტი ნაწარმოები, რომელსაც წერილთემიანობა ახასიათებს... ლიტერატურულ კრიტიკას ზოგჯერ აკლია გარკვეულობა და პრინციპულობა შეფასებებში“.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა სალიტერატურო პერიოდიკის, კერძოდ, ჩვენი ჟურნალისა და მისი ავტორების საპატიო ამოცანაა.



ქარაბადინი

1

ეს არის წიგნი ქართული ფანასკერტელი ზაზასი,  
გარედან დიბა ატლასი, შიგნიდან — ასი ათასი.  
შევ ჩემი ერის გენია განძივით შექონახული,  
ხან მცხეთა, ხანაც გრემია, ხან ზერთვისი და ხახული.  
ისაა ვაზის ფესვები და ღიოგენის ფარანი,  
**ფარა მთათუშელ ჴყემსების, კახელი გლეხის მარანი.**  
აივ არის გაღანახული სიცხადე სიზმრად ნახული,  
ის არის წიგნი ქართული და პოეზია ხალხური.  
ყოველი სიტყვა მაღაღოს და უკვდავების ხიბლია  
და ჩემი გულის თაროზე დაედევო როგორც ბიბლია.  
ასე მგონია, ხანდახან მართლაც ბიბლიის ასლია,  
გადაფურცლავ და სტრიქონებს თვალ-მარგალიტი ასხია.  
შორი გზა გამოიარა, არ იყო ეს გზა იოლი,  
მან გამიმრთელა იარა და ჩემთან ერთად იომა.  
როდესაც დამჭრეს, ის იყო ცრემლიან ღედის ნუგეში,  
ამიტომ ავგაროზივით შემოინახა უბეში.  
გულდაგულ შემოინახა, როგორც მზის საგალობელი,  
ყველაზე უფრო სანუკვარს შვილს შეუნახავს მშობელი.

2

შე, ზაზა ფანასკერტელი, არ შემეცვლეხი სხვაში,  
ხარ ჩემი რწმენის კედელი მარადისობის ჴღვაში.  
შენს გარჯას, შენს თავდადებას საერო საქმეს ვადრი,  
ქართველი კაცი შორს წავა შენი ქართულის მადლით.  
თუ ახალ საქართველოში ქართული მზეობს ღდესაც,  
ეს იმიტომ, რომ სიკეთე კარაბადინმაც თესა.  
ეს იმიტომ, რომ სრულიად საქართველოსი ენა  
ჩვენ ჭირსა შივან გვიცავდა, გადავვარჩინა ყველა.  
და რადგან ენა ქართული არის თავი და თავი,  
„კარაბადინიც“ წიგნია ქართულად საკითხავი.



რადგანაც ჩვენი მამული, მცირე ვით ვაზის ძირი,  
სახელითა და წარსულით არის დიდი და ძვირი,  
იქ, სადაც ლექსი ხალხური ენამზეობს და ფასობს,  
„კარაბადინიც“ იქ არის, დგას როგორც ოქროს თასი.  
არა მართო ჩვენ, ამ ჩვენი სისხლით გაპოხილ მიწას  
„კარაბადინიც“ პატრონობს, „კარაბადინიც“ იცავს.

3

არავის არ ვაპატიე ქართული ენის აუგი,  
ქართულ ენას და ქართულ წიგნს დიდების ძეგლი ავუგე.  
სიცოცხლის ძეგლი ავუგე და გავამაგრე ხერთვისით  
და შევინახე ქართული შენთვის, ჩემთვის და ღმერთისთვის.  
ეს არის წიგნი ქართული ფანასკერტელი ზაზასი,  
გარედან დიბა ატლასი, შიგნიდან — ასი ათასი.  
გარედან — გულის ღალამო, შიგნიდან — სულის ნათელი,  
იმისი მადლით შორს წავა დღესაც ყოველი ქართველი.

## მთაწმინდაზე

ამგვარი იყო მთაწმინდაზე შემოღამება...

ნ. ბარათაშვილი.

ჭაგჭავაძის კლასიკით და აკაკის ლირიკით  
დავალ ფართო ბილიკით (თავი მახსოვს მას აქეთ).  
პუშკინს გადავაჭარბე, რა თქმა უნდა ასაკით,  
და რაკი და ლექსებს ეწერ, თავს პოეტად ვასადებ.  
უაილდის პროფილი ჩემი თანატოლია,  
ვინაც გაიფოლია გვირგვინი ეკლიანი,  
ჭლექიანი პოეტის გულის ანატომია  
გული და, ამავე დროს, თვით გულზე მეტი არი,  
მაგონდება ცხედარი, ღოდიოდა მხედარი,  
გული ისევ მხნედ არი, მხედარი არ ღონდება,  
ის წლები მაგონდება, როცა ღმერთებს ვხედავდი,  
როცა ღმერთებს ვხედავდი, ის წვა, ის შთაგონება.  
ბესიკის აღმართია, თუ დროშების აღმართვა,  
ღამე ვერ გავათიე, გული ფიქრმა წამართვა,  
ღმერთო, შენ მაპატიე, თუკი რამე აღარ ვთქვა,  
ღამე ისევ განათდა, რომ ვეღარ ღავატიე,



საერო სახელები, გვირგვინები, ეკლები,  
ხელთუქმნელი ძეგლები ჩვენი გვირგვინოსნების,  
საყვარელი მგოსნების ხელთუქმნელი ძეგლები,  
კელავაც აღიმართება და ცა გასხივოსნდება.  
გუშინწინ მივაბარეთ ღაღო გუდიაშვილი,  
მარალ აფრა აშლილი და ერის სანათელი,  
ტიროდა საქართველო ცრემლიანი ბავშვივით,  
ცრემლიანი ბავშვივით ტიროდა საქართველო.  
აზლა კი მთაწმინდაზე მგონი მზე აღარ ჩადის,  
მეფეთა დუმილია თუ სიო ამოძრავდა,  
ცაზე იწვა მთაწმინდა და მე კი აღარ ვჩანდი,  
უცებ ცა აიწია და მთვარე აჩობრძანდა.



წუთისოფლის შარაზე დავალ როგორც გიდი,  
სამი ათეული წელი კიდევ დიდ-დიდი.  
ადრე გაგჭაღარავდი შენი დარდისაგან,  
აი ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი საგა.  
ჩაველილს იმ ოთხათეულს ვუნაწილებ ყველას,  
ცაზე — ელვას, მიწაზე — ფერად ცისარტყელას.  
არ ვიცი, რა დავარქვა ამ დაუმცხრალ წუზაღს,  
ზვაგების აზვაგებას, ჩანჩქერების ქუხილს?!  
შენი ღამეების რიგს, გათენებულს თეთრად,  
კკითხულობ ვით ქართული სიყვარულის ეტრატს.  
ქარს გავატან ჩემულ წყენასა და ნალველს,  
ცხოვრებით გულგატეხილს ვერასოდეს მნახვენ.  
არ მინდა, ბოლო ტყვია ავაცდინო მიზანს,  
მანამდე კი მხოლოდ მე ვიცი, რასაც ვიზამ.

### 3 ა ნ ი

როგორ მინდა დავეზალო,  
შაგრამ სად დავემალო,  
ისე შემომყურებს ვანი,  
როგორც ძველი მევალე.  
და რადგან ვერ ვემალები,  
დარდი ვანისხელა ჩაქვს,

მისი გამოელვარება  
გადამინდის ყველა ვალს.  
დღევ მის ბებერ გალავანთან  
პყვავის იასამანი,  
ვანი, ვანი, ვანი, ვანი,  
ისტორიის სავანე.





მეტად მძიმეა გულისტკივილი იმ განუწმეღელ სისარულზე, შენ რომ დიუ-სელდორფში გატანილი გოლით მოგვანიჭე, რას წარმოვიდგენდით იმ სადამოს, თუ ბრმა ბედისწერა სულ ახლოს ყოფილა ჩასაფრებული და ყველა იმ სისარულს, რაც შენგან განგვიცდია, განუსაზღვრელი მუხსარებით შეგვიცვლიდი.

როგორ შინსარები ინედით ვოცნებობდით, როგორმე გაქარწყლებულიყო შენი მოულოდნელი გაუმსხარების ამბავი, როგორ გვეწინაოდა ტელევიზორის ჩართვა გულშეშარავი ამბავის მოლოდინში. ვაი, რომ ჩაგვიქრა იმედის ნა-პერწყალი, ახლა ვწერ ცრემლნარევ სტრიქონებს შენზე, როგორც ძმანე, ვი-სთვინავ. ერთსედაც სელი არ ჩამომირთმევია, მაგრამ ნაღველი ისეთი მძიმეა, თითქოს ერთად გაზრდილები ვიყოთ. ასეა იმიტომ, რომ შენ ჩვენი რწმენა და იმედი იყავი, შენ, ვისაც მრავალჯერ დაგილაშქრავს მსოფლიოს უდიდესი სტა-დიონები, ასე მოულოდნელად როგორ ჩაბარდი სიკვდილს! მასაც თურმე ყველა-ზე ლამაზი და ძლიერი ჰყვარებია. რომ იცოდე, როგორ გეტყვია ახლა შენს მიერ ათასჯერ გასარებული გული.

ვაი, რომ გაგვინდოდა ახალი საფესბურთო სეზონის სისარული, ვეღარ დაი-გუგუნებს „დინამოს“ ტრიბუნები და მასთან ერთად მთელი საქართველო შენი ოსტატური გარდევის სისარულით. ამიერიდან ვეღარ გნახავთ მწვანე მინდო-რზე გატანილი გოლის შემდეგ სახეგანათებულსა და ქოჩორაყრილს. სანუგე-შოდ დაგვრჩა მხოლოდ ფირები, ტელეგადაცემებმა რომ შემოგვინახა. ამ გან-წყობილებით ვიძღვენი ეს ლექსიც:

შენმა სიცოცხლემ და მაგალითმა  
იცოდა გულის გულთან მიტანა,  
ცრემლმორეული ობოლი რითმა  
შენს სახელს ითხოვს, ძმაო ვიტალი!  
სხვა იყო შენი იმედის კონცხი,  
სხვა იყო შენი გული ზოწყალე,  
თავდახრილია მისიზა მორცხვი  
და ეუფლება შენი მოწყენა.  
და ვფიქრობ ახლა, ღირდა-არ ღირდა,  
ყოფნა-არყოფნის სრიალებს ცელი,  
და ვნანობ შენი დაკარგვის დღიდან,  
რომ ვერ გავკურნეთ ტკივილი შენი.  
კლდეს მიეხალა ძველი ტივივით  
ჭარი და თოვლში დარჩა მარხილი,  
მეც ეტყევა შენი გულისტკივილი,  
შეძახის შენი გულისძახილი.  
გვეუფლებოდა თანდათან შიში,  
ესეც ბეღია და ბედისწერა.  
ჩვენ დაგეძებდით ვაით და ვიშით  
და არ ვკარგავდით იმედს და რწმენას.  
ვაი, რომ აღარ გაგრძელდა ასე,



ბოლოს გაგვიტყდა იმედის კოკა,  
და ახლა შენი საფლავის ქვაზე  
ობოლი ქარი თბილ ცრემლებს ლოკავს.  
რა ღროს ეგ არი, ღირდა-არ ღირდა,  
ყოფნა-არყოფნის სრიალებს ცელი...  
და ვნანობ შენი დაკარგვის დღიდან,  
რომ ვერ გავკურნეთ ტკივილი შენი.

## ცისანა

მოდითა გურიის სულ პატარა სოფლიდან,  
მოდითა, სულ პატარა სიხარული ჰყოფნიდა.  
ტკიოდა თუ შიოდა, ცხელოდა თუ ციოდა,  
გალიმებულ ბაგიდან მეტაფორა ცვიოდა.  
იღგა მხრების ცახცახით გონიოში, სხალთაში,  
ნედლი მეტაფორები უცვიოდა კალთაში.  
გახუნებულ კაბაში, გაუხუნარ ტომებში,  
ჩანდა დედოფალივით თავის თანატოლებში.  
ტოლს არავის უღებდა სულხან-საბას  
ქართულში,  
ასე შემოდითა პოეზიით ბათუმში.

## თვალეზი

1

ლალე!  
ლალე!  
მე შენს ლამაზ თვალებს  
ჯერ ვაკოცე და მერე  
დავეტყუპისცალე.

2

შენ ისეთი თვალეზი გაქვს, ჩვეულებრივს არა გავს,  
ამიტომაც გამოგარჩევ მთელი ქვეყნის ქალებში.  
— პოეტები თვალეზს ცვლიან გადასახდელ ვალებში,  
თვალეზზე ლექსს აღარ წერენ, — ვიცი, ჩეტყვი ამაყად.  
მე კი მაგათ ვანაცვალე მაღრიბი და მაშრიყი,  
დედოფალის გვირგვინი და ქუდი მონომახისა,  
თუკი ღმერთმა რომხედა და ეგ თვალეზი მაღირსა,  
მერე თუნდაც ყველამ ერთად სამუდამოდ გამრიყოს.

ლაღე!  
 ლაღე!  
 მე შენს ლამაზ თვალებს  
 ჯერ ვაკოცე, მერე კი  
 დავეტყუპასცაღე.

„მ ე“

ქალს, რომელიც ამ ფსევდონიმით მოგ-  
 ზავნის ანონიმურ წერილებს.

ეს თამაშია თუ გატაცება,  
 თუ დაძვინძილი სულის ძახილი,  
 თავზე დამესხა და აღარ ცხრება  
 გამოუცნობი შენი სახელი.  
 იქნებ დალი ხარ, იქნებ ლალი ხარ,  
 იქნებ ცოლი ხარ, ანდა საცოლე?!  
 ეს სულერთია, ვერსად წაიზვალ,  
 თუ ვერე არა, თავს რად მაცოდებ?!  
 იქნებ ცირა ხარ, იქნებ ლაღე ხარ,  
 იქნებ მანანა, ანდა მაიკო?!  
 სიზმარი უნდა ვნახო ამეღამ,  
 შენი სახელი უნდა გავიგო.  
 მინდა გავფანტო შენი მოწყენა,  
 ასე ფრთხილო და ასე ჭკვიანო,  
 ღია ბარათი უნდა ღოგწერო  
 და ქმარი უნდა გიეჭვიანო,  
 ღირს დაფიქრება ზოგჯერ ამაზეც,  
 იქნება სულ სხვა რამე გაშინებს,  
 იქნებ არა ხარ სულაც ლამაზი  
 და თავი ვეღარ გამოაჩინე.  
 ახლა ღცალია, თუ არ მცალია  
 ამ წუთში ჩემი ფიქრი შენა ხარ,  
 „მე“-ს გაფრთხილება უნდა ძალიან,  
 გაფრთხილება და კარგად შენახვა.  
 რად შეიხსენი გულის საკინძე,  
 ვგრძნობ, რომ ამაოდ დაშვრა მეღანი.  
 ეს ბარათები ერთად ავკინძე,  
 ცეცხლს მივეცი და დავწვი ყველანი.



ჯემალ ჯაყელი



### თავი მეექვსე

გავიდა ზიმშვიდისა და მოლოდინის რამდენიმე წელი.  
სალხს ზიმშვიდეც უცნაურად და უჩვეულოდ მოეჩვენა და მოლოდინიც.  
ივერია გაიზარდა და კიდევ უფრო გამშვენიერდა.  
მარიამს თმებში ჭადარა შეერია.

პაპა მისას თანდათანობით ჯანი გამოეცალა.  
ქვეყანა ნახტევარ ეენახივით წელში ნელა სწორდებოდა.  
ცხვებოდა ობლის კვერი, მაგრამ ნელა ცხვებოდა.

ობლის კვერი აუცილებლად გამოცხვებოდა, მაგრამ ვინძლო ადრე გამომც-  
ხვარიყო.

იზრდებოდა მეგობრობის ხე, მაგრამ ნელ-ნელა იზრდებოდა, მადლდებოდა ხე  
იგი, მაგრამ გვიან ყვავილობდა.

პაპა მისას უცნაური რამ დაეხიზმრა:

„ხეი იგი იმედისა, გაზრდილი და განტოტვილი, გაზაფხულზე ერთთავად აყ-  
ვავიდა და სურნელებით აივსო, მაგრამ ზამთრის სუსხი ჯერ კარევე არ აკრები-  
ლყო ციფგომბორის კალთებიდან და ცივი ქარიც უბერავდა. ცაზე ხეტყვისა და  
კონის მაუწყებელი ღრუბელი ამოიჭრა.“

სასახლის გალავნის ფენილზე, სადაც ომის მაუწყებელი ცეცხლი ინთებო-  
და, გუშაგნი ფუხფუხებდნენ. ცოტა ხანიც და... ცეცხლი აინთო.

ეს დაინახა თუ არა, ხალხი შეეროვდა.

გაი, თუ ის კოცონი ომის კი არა, გამანადგურებელი ხეტყვის მაუწყებელი  
იყო! ღიას! და მალე წამოვიდა იგი.

სალხსი გერას გახდა მის წინააღმდეგ.



სეტყვამ მხოლოდ ყვაეილები ჩამოყარა, ტოტებს კი ვერა დააკლო რა-  
ყვაეილები ჩამოყარა!

რაოდენ ბევრი, ტკბილი და კარგი ნაყოფი იქნებოდა, სეტყვას რომ ბრ-  
სწრო! ერთთავად ჩამოყარა სეტყვამ ყვაეილი იმა სისა. საღს ერთილა დარჩა-  
მოკთმინა, გაეძლო და დალოდებოდა ყვაეილობას მომდევნო წლისა.

და ითმენდა საღსი!

„რამდენ სანს, რამდენ სანს!“ — შეშლილივით წამოიძახა პაპა მისამ და-  
საწოლიდან წამოიჭრა. დაბარბაცდა და ლამის დაეცა. თვალები მოიფშვინა,  
დაბარბაცდა და შეერთა. მისხდა, რომ სისმარი აჰყვა, ცუდად ენიშნა ეს. ერთთა-  
ვად მოეშვა და მოდუნდა. იქვე საწოლზე ჩამოჯდა და სარკმლისაკენ გაიხედა.  
აღმაცერი მზერა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუქანდა და ეწვინა. განთიადი  
ახლოს იყო, მაგრამ... დიდი შირაქის ვაკეს რუხი-მოყვითალო ფერის ნისლი შე-  
მოსწოლოდა, სწორედ ისეთი, მტერზე მიტეეებისას ცხენოსანი ჯარის კვალად  
რომ აფრანგება მტერი იყო.

ყოველი ეს ცუდად ენიშნა პაპა მისას და გული ეტკინა. ამჯერად, რატომ-  
ღაც ძალიან ღრმად და შწეავედ ეტკინა გული მისა პაპას, ომში შეიდი შეილის-  
დამკარგველს და მარტოსულს.

ქადაგი გაასხენდა მისა პაპას და გულმაც იქით გაუწია.

ამ დღეს ქადაგმა შუამთის მონასტერში იცოდა მისხლა. მოხუცსაც ეს უნ-  
დოდა, მაგრამ ახლა მთავარი იყო უმძრასად აღესრულებინა ყველაფერი: ჯერ  
ალაზნის პირას წასულოყო და მისი ჭავლებითვის მოეთსრო თავისი არასასია-  
მოვნო სისმარი, რომ ჭავლებს იგი შორს, შორს წაეღო... შემდეგ კი შუამთაში  
მისულოყო და ქადაგისთვის ეამხნა, თუ სეტყვამ როგორ ჩამოყარა და ქარმა რო-  
გორ წარსვეტა ყვაეილები იმედისა და ნატერის იმა სისა...

ასე იყო ჩავონებული ბავშვობიდან: აღამიანს როცა ცუდი რამ დაეხიზმრებო-  
უმძრასად, ხმის ამოუღებლად, უსიტყვოდ უნდა მივიდეს წყალთან, მას უამბოს ავ-  
ზმანებანი და ჭავლებს შორს, შორს გაატანოს იგი. ამით კი მშვილობა შეინახოს  
ოჯახისა, სოფლისა, ქვეყნისა!...

ასე იყო ჩავონებული.

ამ ჩავონებისა სჯეროდა პაპა მისას.

ადრეული ბავშვობიდან იცოდა ეს და კარგადაც ჰქონდა დაცდილი.

რამდენჯერ ზმანებია ავის მომასწავებელი რამ, რამდენჯერ მისულა მდი-  
ნარესთან, უამხნია და განწმენდილა, ჯანი მომაცებია და იმედით ავსებულა. და,  
აი, ახლა, როცა ესისმარ, თითქოს აყვავებული სეი იგი იმედისა განიძარცვა ქა-  
რისაგან ძლიერითა, სორშაქისაგან უბედურებისა, დამდრეკელისა, ერთადერთ ნუ-  
გეშად ისლა დარჩენია, მივიდეს მდინარესთან, უმძრასად მოუთსროს მისი ნასი-  
ზმრები, შემდეგ ამისა, წავიდეს შუამთას და იქ, გაღავანთან მოკალათებულ მწირ  
ქადაგს ჰკითხოს, თუ რითი დარჩების ამინდი ქვეყნისა, სოფლისა, ოჯახისა,  
გლეხკაცისა. რითი დარჩების ქართლის გული — დედა-თბილისი, ძველქართული  
აკადემიები, კახეთის ვაზის ფესვები, იმერეთის გელათის დიადება, გურიის ვონე-  
ბისკარის შემოქმედი, ეგრისის ოქროს საწმისი, მთიანეთის გულის სისუფთავე,  
აჭარა-მესხეთის მომავალი...

ცისკრის ვარსკვლავი ჯერ კიდევ არ გამკრთალებულიყო, ზღურბლს უმძრა-  
ხად რომ გადაამბოჯა ფეხი. არაფერი ახლა ისე არ აფხიზლებდა, ვიდრე უმძრასო-  
ბის გაუტყნახობა. საქმე ის იყო, რომ ახლა, ამ დილას მისთვის ჩიტს არ დაეძახ-  
ნა. წესბი, დილით ჩიტის ჩამოძახებას აუცილებლად უნდა შეესმიათ მამაპაუ-  
რად: „ჩიტო, კარგი ამბავი მე და ოქროს ნისკარტი შენ“. აუცილებლად უნდა შე-



ხშიანებოდა. აქ წაყრუება არ შეიძლებოდა. ესეც ბავშვობიდან ჰქონდა ჩაგონებული. ნათქვამი  
ზინაბრძოლა

თითქოს ბედმა დასცინაო, სად იყო და სად არა, სკვინჩამ ხის ტოტებში შეიფრთხილა და.. ჩამოსძახა.

პაპა მისა შეცბა. უნდა გამოეპასუხოს, არა და უძძრახად მიდის. იქნებ მომეჩვენაო, მაგრამ არა! — თითქოს ჯიბრზეაო, სკვინჩამ ისევ ჩამოსძახა. შეწუხდა მოსუცი. ხმა მაინც არ ამოიღო, ფეხს აუჩქარა და მდინარეს მუსხტიქანცული მიაღწა. პირჯვარის გადაწერის შემდეგ ჩაიხოქა და მდინარეს უამბო წუსანდელი სიწმარე. ჭავლებს თვალი გააყოლა. თითქოს დარწმუნდა, რომ ცუდი სიზმარი შორს, შორს წაიღოს ჭავლებმა. ოდნავ შეება იგრძნო. წამოდგა, ცხენს იმედინად მოეველო და შუამთისაკენ გასწია. მიდიოდა და ფიქრობდა:

„რა ლამაზი და სურნელოვანი ყვავილები ჰქონდა, ბრიალა ყვავილები... და სწორედ უღებლობის მაუწყებლად ჩამოჰყარა. ზოგიერთი ხე ხუთ, ათ, თხუთმეტ წელიწადს აგვიანებს მოსხმას...“

ასე ფიქრობდა მოსუცი. მიდიოდა ქადაგთან შუამთაში და ასე ფიქრობდა.

\* \* \*

გათენდა თუ არა, თეთრონმა დაიფრუტუნა, თითქოს დაგვიანება უსაყვედურაო პატრონს, და ივერიაც ლოგინიდან წამოდგა. სარკმელს პერანგისამარა მიაღება და იახანის ფორში ირემივით ყვლშემართულ თეთრონს აღერისანად გაესაუბრა.

„ახლავე მოვიდევარ, ჩემო დედოფალა, ახლავე“.

თეთრონმა დიდრონი, უბრყვილო თვალებით ამოჰხედა, ისევ დაიფრუტუნა და სარკმელს მოადგა.

„ხომ არ მოიწყინე, ჩემო დედოფალა? წუხელ დამეხიზმრა, ვაჟურად მეცვა და დაგაქროლებდი... შენ ცისფერი ფრთები გეხსმებოდა და სულ მალა და მალა იწვევდი. უკან მოგვხდევდნენ და ვერ გვეწეოდნენ“.

თეთრონმა ყელი მოიღვრა, თავი ასწია და ლამის შემოსწვდა ისედაც დაბალი, ერთხანთულიანი სახლის ფანჯარას. ივერიამ გადაიწია და ფაფარი მიმოუწწწა. ცხენს უცნაურად გაუბრწყინდა თვალები. გოგონამ ამ დილისულზე მისი სუნთქვის სითბო იგრძნო და მოეფერა.

— ვის ელაპარაკები, გოგო? — დედის ხმა შემოესმა.

— არავის, დედა, — თქვა და შემოისედა. კედლის სარკეში თავის ორეულს თვალი მოჰკრა და გაიღიმა. თმები გაიწვორა, ისევ ჩაიხედა და ახლა პირველად შენიშნა, რომ კედლის სარკეში ჩახსენდავად ცერებზე შედგომა აღარ სჭირდება, გაზრდილა... ჯერგანუცდელი, ნეტარებით გაზავებული ჟრჟოლა იგრძნო.

— ივერია! — შემოესმა დედის ხმა.

— აქა ვარ.

— დღეს უნდა მოვიდეს პაპა მისა?

— დიას, თუ არაფერი შეეშთხვა.

— ვენახში როდისღა გავიდეთ?

— როცა იტყვი, დედა. ჯერ თეთრონს გავიყვან, ასე ხჯობს.

— ცუდად მიაჩნევ ეგ შენი თეთრონი. ყოველ დილით თუ არ გაასეირნე, აღარ შეუძლია.

— მეც ასე მივეჩვიე, დედა.. ეგ რაა, თვალები ჩაგუქებია.

— წუხელ მთელი ღამე შენთვის ჩოხა-შარვალს ვკერავდი, გვიან დავიძინე და ამ დილით შენმა ლაპარაკმა გამომადვილა. აბა, ჩაიცვი, გასინჯე, როგორია.



ივერია დედას ჩაეკონა, გულითადი მადლობა უთხრა და სხვენს მივარდა. სა-  
დაც ასალი ჩოხა-შარვალი ეგულებოდა.

ძალიან მოეწონა. ფერიც შეენოდა და შეკერილობაც. დედას ერთხელ კიდევ  
ჩაეკონა, თვალეები დაუკოცნა და კიბეები ჩამოირბინა.

— სად მიდიხარ, გოგო?

— პაპა თუ მოვიდეს, აღარ დამელოდოს, ალაზანზე გაველ და მალე მოვალ.  
გეხვეწები დედა, რა, არ გაჯავრდე!

— აბა, ეს რას ჰგავს, ჩოხა-შარვალი გაცვია და... თმები მხრებზე გაყრია...  
მოდი, პა, მამაშენის ქული დაისურე, მის სულს გაეხარდება, მოდი!

— ბარე ხანჯალიც, დედა!

— არ გინდა ასლა ევა. პაპასთან ერთად როცა იქნები...

ივერიამ თმები მოსდენილად აიკრიბა, მამისეული ქული დაისურა და დედას  
ღიმღიმით გადმოჰხედა.

უწყვერ-ულვამო ყმაწვილ კაცს დაემსგავსა. შეენოდა ღიდრონი, ბრიალა თვა-  
ლები და მოშვილდული წარბები, ხანდომიანი პირისახე და ოდნავ მაღალი შუბ-  
ლი. ოდონდ შუბლის ის ნაწილი, სადაც თმები ნიადავ ჩამოფენილი ჰქონდა, მზე-  
დაუკრავი იყო და თეთრ ზოლად ჩანდა. ეს შენიშნა დედამ და დაუბახა, ქული  
ცოტა წინ ჩამოიწიეთ, მაგრამ ივერიას აღარ გაუკონია, — თეთრონს ალაზნის  
ველისაკენ ფრთები აასხმევინა.

დედას მოეჩვენა, რომ ივერიას უნაგირზე ასლა უფრო მოხერხებულად ეჭი-  
რა თავი. შეენოდა იგი თეთრონს. თეთრონიც საოცრად შეენოდა მას. გაუხარდა,  
— შვილი წამომეზარდაო, და სიყვარულით გაადევნა თვალი.

„ცუდი არაფერი შეემთხვას, ღმერთო!“ — გაიფიქრა და შემობრუნდა.

\* \* \*

კახას ამ დილით ეენასის შესალობავად იფნის წნელი მოეჭრა, შეკვრა მხარ-  
ზე გამოედო და შინ მოდიოდა. დანახა, ალაზანზე ვიღაც თავგამოდებით მიაჭენე-  
ბდა თეთრონს. იცოდა, ივერია ფოველოვის პაპასთან ერთად დადიოდა და, ცოტა არ  
იყოს, გაუკვირდა. მერე იწემა გაჰქენწლა, — ურუშამ ხომ არ მოიპარაო თეთრონი.  
წნელის შეკვრა დაავდო და მინდვრისაკენ უფრო მოხერხებულად და გაფაციცებით  
გაიხედა.

თეთრონი ღრუბლის სიმსუბუქითა და ქარის სისწრაფით მიგელავდა.

„არა, არა. შეუძლებელია, რომ ეს ივერია იყოს, მითუფრო, რომ ასე თავ-  
გამეტებით მიაჭენებს. აქ რაღაც ამბავია. უთუოდ რაღაც ამბავია აქ!“ — გაიფიქრა  
და აღარ დაახანა. გამოიყვანა თავისი ცხენი, ციმციმ მოეველო და ისევ გაიხედა.  
თეთრონი აღარ ჩანდა. ცოტაც და... სის ტოტემში დაღანდა იგი.

კახამ ცხენი ადგილს მოხსლიტა და სოფლის გზაზე თავქვე დაექანა. დარწ-  
მუნებული იყო, რომ ურუშამ მოიპარა ივერიას თეთრონი. — თქვა და კიდევ შეა-  
ხრულა დანაქადები. თუკი ურუშა არაფერ შუაშია და! სხვამ მოიპარა, მით უფრო  
უარესი. არა, არავის შეარჩენს კახა ამას!

წორებს გასცდა და გაინაპირა.

თვალით ყველა კუთხეს აწყდებოდა.

მოუთმენლობა გულისა თვალებს უცნაური ციცხლით უესებდა.

„ვინ იყო და საით გაიქცა?“ — გაიფიქრა და კიდევ უფრო გაბრაზდა.

სწორედ ამ დროს ივერიას თვალუწვდენელი მინდორი შემოეველო, მცენარე-  
ულთა ზოლს უკან შემოსჭროდა და შამხნართან შეეკრა წრე. ახლა სწორედ ამ





შამხნარის მწვანე გამოსასვლელში გამოინარჩუნა და კახას ცხენს სამოუქროლად ივერია მიუღო, კახა მოძღვესო და მას გამოსაჯავიებლად გაიჭრა წინ.

კახა დაიძრა, თითქოს მისი ცნების დატორტმანდია, სიძლიერა, ყალყს ადიშა-რთა და დაიჭინეს.

მირბოდა თეთრონი და მოაქროლებდა მისა-შარვალში გამოწყობილ ივერი-ას. კახას იგი ცხენის ქურდი აგონია და თავგამეტებით მიხლევს, რომ დაიჭიროს და ანახოს, რადგან დარწმუნებულია, ახას ვერ გადაიტანს ჯავრიშვილის გოგო, უსაყვარლესი ივერიაო.

ივერია გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა კახა. თან სიამოვნებდა მისი ასე-თი დაღვენება კვალად, თანაც გული უთრთოდა, მას სომ ასე არასოდეს უჭე-ნებია თეთრონი... საკმაოა იყო მცირეოდენი უფურადღებობა და... როგორღა გასცლოდა? რამდენსანს უნდა ცდილიყო?

— აღარ დასწებლები, ბიჭო?! — გასძახა კახამ და შეეცადა გასწრებას.

— აღარ მომეშვები შენ?

— აღარ მოგეშვები და გირჩევნია გაჩერდე!

— არ გავჩერდები და თუ ვაჟკაცი ხარ, დამეწიე.

კახა გაჯავრდა. „რაც უნდა დამიჯდეს...“ — ცხენს მათრახი გამწარებით გა-ლაუშნივლა.

ივერიას მოეწონა ასეთი მოულოდნელი „თამაში“ და ყმაწვილური ჟინით მიხსწრაფება, შიშის გრძნობა თანდათან გაუქრა და კახას კიდევ უფრო გამომწვე-ვად გადახმასა:

— ვაჟკაცს ძალა უნდა შესწევდეს ქადილისა, გესმის?!

— მესმის, მესმის! — თქვა და ცხენს მათრახი გამწარებით გადაჰკრა.

— ასე გამიგონია, ცხენს მათრახით თავს თუ მოაბეზრებ, ვიგანებს. თავი მაინც შეიცოდე, ბიჭო!

ამ დამცინავმა თანაგრძნობამ კიდევ უფრო აანთო ვაჟი:

— მაინც ვერხად გამექცევი და გირჩევნია, გაჩერდე.

— აკი ვითხარი, თუ ვაჟკაცი ხარ დამეწიე-მეთქი?!

— ქურდი ვერ გაიხარებს. შენ კი არამზადა ქურდი ხარ, თანაც ერეკლეს ნაჩუქარი ცხენისა. არც სირცხვილი გაქვს და არც სიბრალული!

— ნუმც გაუხარია...

— რატომ გარბინარ, თუ მართალი ხარ?

— რად არ მეშვები? გაქცეულზე დაღვენება იგივეა, რაც წაქცეულზე ზმლის ამოღება. ეს კი ვერაფერი ვაჟკაცობაა! ეს შენ კარგად იცი და მაინც მსდევ. რა ცეცხლის კიდებაა ეს?

— შენ, ჯერ ერთი, ერეკლე ბატონის ნაჩუქარი ცხენი მოიბარე, მეორეც, სო-ფელი სირცხვილში ჩააყენე, მესამეც, ჩემს საყვარელ ივერიას მოჰბარე, ჩემს ივე-რიას! იცოდე, სამარეში ჩაგვყვები.

— ას, ასეა? მაშ, კარგი, გავჩერდები და იმასაც ვნახავ, რას იზამ. — თქვა და სადავე მოკალთა. თეთრონი ყალყზე შედგა და დაიხვიჩვინა. კახას ცხენი თავშე-უკავებლად გაიჭრა და შემობრუნდა. მხედრები ჰირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს და სული დაითქვეს.

— რატომ გარბობდი? — უფერული ღიმილით ჰკითხა კახამ.

— რატომ მსდევდი? ქურდი იმად არის ქურდი, რომ იქურდოს, შენ კი დამა-ღვის საშუალებას არ აძლევ, ეს განა საქმეა?! — გამომწვევად გაიღიმა და უნა-გირზე გასწორდა.

— მე შენ განახებ, როგორ უნდა ქურდობა.

— გიხარია, რომ დამიჭირე?



— ღიაღაც მისარია... წამოშვევი ახლა, ეგ თეთრონი პატრონს მიგვარე და დანარჩენი მერე ვილაპარაკოთ.

— ალვანელ ქურდთან ლაპარაკი ცოტა ძნელი უნდა იყოს შეგონი.

— მაშ, ჩამოდი ცხენიდან და ვნახოთ, ძნელი არის თუ არა. — თქვა კახამ და თეთრონის სადავეს სწრაფად წაეტანა, არ გაშეცქესო, თანაც დამცინავად უთხრა, — ტლუ ბიჭი ხარ შენ.

ივერიას გაეღიმა, მაგრამ არა შეიმჩნია რა, პირი მორაიდა და გამომწვევად ჰკითხა:

— შენ ასერიგად რატომ პატრონობ ივერიას, პა?

— ეგ ჩემი საქმეა.

— გიყვარს, არა?

— ეგეც ჩემი საქმეა და ვიღაც ალვანელ ბიჭს ეს არ ეკითხება. ახლა წამო-ბრძანდი...

— წამოვალ, ოღონდ ერთსა გთხოვ, მაგ შენს ივერიასთან ნუ გამაწითლებ, ეს არაა ვაჟკაცობა...

— რაკი მთხოვ, ასეც იყოს, ოღონდ ქურდობაზე ხაერთოდ უნდა აიღო ხელი. ქვეყანას თუ ვერაფერში წაადგები, სახელი მაინც არ უნდა გაუტყურო ასეთი სამა-რცხენიო ქურდობით.

ივერიას მოეწონა კახას ვაჟკაცობა, ქუდი შოიხადა; თავის კონსტად მოქნევით თმები მხრებზე გადაიფინა და ღიმილით თქვა:

— მაშ, კარგი!..

— ივერია! — გაოცებით შესძახა კახამ. — თითქოს სულში ათასი ფრთოსანი ერთად აუგნიასდოდ, და თვალები დახუჭა. — ნუთუ ეს შენა ხარ, ივერია! ჩოხა-შარვალში არასოდეს მინახიხარ და ასეთს ვერც წარმოგიდგენდი.

პასუხად ივერიამ გადაიკისკისა, სადავე გამოართვა და ცხენი მოულოდნელად მოსწლიტა თეთრონის გრძელი, აწეწილი ფაფარი ქალიშვილს სახეზე მოე-ლაშუნა.

მხარიმზარ მიაჭენებდნენ ცხენებს, როგორც ქვეყნად სიკეთის მაუწყებელნი.

— მაპატიე, ივერია!.. ო, არა, არა, არაფერი მაპატიო, შენი იყოს ჩემი სი-ცოცხლე, ოღონდ არ დამიღიო საოცნებო, არ დამიღიო გზა, რომელიც შენთან ერთად მიმაქროლებს... გზას ომი ამოკლებს და სიყვარული უკვდავებით ავსებს...

მიმაქროდნენ, გული სიამით ევსებოდათ და მაინც ვერ იოკებდნენ. სხვა, რაღაც სხვა უნდოდათ, კიდევ უფრო ამაღლებული, აჩანჩქერებული, ლაყვარდითი სუფ-თა. ამიტომაც იყო, რომ არ ეთმობოდათ ალაზნის ველი, არ ეთმობოდათ გზა და ირმის ნახტომით მაინც უახლოვდებოდნენ დროს, როცა უნდა დაეთმოთ იგი...

## თავი მეშვიდე

ქლაგის სიტყვებით გულნატკენი მისა იყალთოელი ერეკლეს დარბაზის კარე-ბთან შეჩერდა, ქუდი ჩამოიხადა და შინდის ჯოხს დაეყრდნო. მან იცოდა — ერეკლე წამოვარდა, საგარძლებს ჩამოუარა, მოხუცი ნამძალადევი ღიმილით შეაშხნევა და მაგიდასთან დასვა.

— თქვენ მამხნევებთ, პატრონო, და მე მართლაც მოტყუილი ვარ. ანდა როგორ არ მოვტყუებოდი, როცა, აგერ, თორმეტი წელი გავიდა და...

— ნუ გეშინია, მოხუცო!..



— თორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, გეორგიევსკში რომ გავაგზავნეთ ელ-  
ჩეზი, ბატონო...

ერეკლემ შეატყო, წაერუება აღარ შეიძლებოდა, და თითქოს ანგარიშს აბა-  
რებსო, სიუჟდა გვერდით და თქვა:

— ძნელია, სასა აააა... რუსეთს ახლა დაუღა ყველაზე დიდი გასაჭირი მისი  
მტრებისაგან... რუსეთის სელისუფალი ძალიან ძეწუსებულია, ესწრაფვის მოგვხე-  
დოს, მაგრამ, ანდასია არ იყოს, სული სამოთხეს ელტვის და ეძმა აყვანებს.

ძისა იყალთოელმა თავი ჩაქინდრა და ნაღვლიანად გაიმეორა:

„აყოვნებს“...

— ჰო, აყოვნებს... სულ მალე მორჩება სკუთარ ჭირს და მოგვხედავს.

— ძმათა ჭირი ერთიაო, გაძივინია, ბატონო. — დასძინა მოსუცმა.

ერეკლეს გული ეტკინა მოსუცისა და, საერთოდ, ქვეყნის სატკივართ, გლე-  
ზური უმარალოებით უთხრა:

— ძმათა ჭირი ახსენე მისაჲ... ზემო მცხოვრებმა ძმამ მოვარდნილი ნიაღვარი  
თუ არ გადააგდო, ქვემო მცხოვრები ძმის ვენასი როგორ უნდა გადარჩეს?! რაიც  
ოჯახისა და ჯალაბისათვის საჭირო და აუცილებელი არის, იგი ეკლესიასე არ შე-  
იწირება.

— ესეც ჩვენი პედი...

— სუ გეშინია, შისა იყალთოელი, ყველაფერი კარგად იქნება! — დაამდედა  
მოხუცი და წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა, საღდაც შორს გაიხედა და მცირე ღუ-  
შილის შემდეგ თქვა — ეს.. მხოლოდ დროებით, შისა იყალთოელი, დროებით!  
ზომ კარგად იცი, საუკუნეების მანძილზე ქვეყნის გასამზირებს წყევლიადი ფარდა  
ფარავს ირან-ოსმალეთის შხრივ. ეს ფარდა დროგამოშეებით იდება და... დღეგმა  
გადადის საქართველოზე. ამას ვუძლებდით ოდითგან დღემდე და ეს თორმეტი წე-  
ლი რაღა არის... ახლა მალე რუსეთის მეშვეობით მსოფლიოსაკენ გაიხსნება  
გზები და ჩვენი მამული კიდევ უფრო გამოჩნდება, ქვეყნის სასული ამაღლება  
და თავისაც მოვიწინებთ... ისტორიისათვის ის შენი თორმეტი წელი რაღა ბე-  
დენაა! წინაპრების მსგავსებით უნდა მივიღოთ: იხინი შთამომავლობისათვის ცხოვ-  
რობდნენ და აშენებდნენ, ჩვენც ასე უნდა ვქნათ. ჩვენს თაობებს ზომ მაინც მოეს-  
წრება... გამაგრდი, მოსუცი, გამაგრდი. მომავალს დღევანდელი დღე აშენებს.  
ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, მაგრამ მომავალს ვაშენებთ!

— კაი მოგცეს ღმერთმა, ბატონო! — თქვა პაპამ და თავი ახწია. ერეკლემ  
მის თვალეში იმედის სხივი დაინახა, გაუსარდა.

მცირე ღუმილის შემდეგ პაპა მისამ თქვა:

— სხვათა მეფეთაგან განსხვავებით თქვენ ქადაგისა არა გჯერათ, მაგრამ მე  
მაინც უნდა ვიამბოთ მისი... ცუდი რამ მაგწყა ქადაგმა.

— რაო?

— განრისხებულნი არიანო მტერნი, მეტადრე აღა მაჰმადხანი... საქართვე-  
ლოს რუსეთთან დამეგობრებამ მოხვეწება დაუკარგა. ამიტომ, ხანამ რუსეთს ჩვენ-  
ზე მოსამადავად არა სცალია თავისი ჭირსახდელის გამო, თავს დავეცეთო საქარ-  
თველოს. გამოლაშქრება გადაუწყვეტიათ.

— ვიცი ვეა, მისაჲ...

— პირდაპირ თბილისზე აპირებსო დაცემას ურჯულო...

— ეგვც ვიცი...

— დიდძალი ჯარი ყოლიაო...

— ეგვც ვიცი... აღა მაჰმად ხანს ახლა იარაღში უზის ოცდათხუთმეტი ათასი



ჯარისკაცი. ჩვენც ვაგროვებთ ჯარს. სამიათასი მეომარი შეგვიგროვდება. ორი ათასსაც იმერეთიდან ველოდებით, სულ — ხუთიათასი მეომარი...

— ოცდათუთმეტი ათასი მეომარის წინააღმდეგ ხუთი ათასი, მეფევ?

— ხომ არ გავიწყდება, მოხუცო, რომ ჩვენ ქართველები ვართ?

— ჰო, კარგი, მეფევ, არ მაგიწყდება და ვიცი ისიცა, რომ ოდითგანვე ერთი ქართველი შეიღ მომხვდურს უძკლავდებოდა. ახლაც ასეთი ანგარიში გავიცხად-  
და, — ხუთი ათასი ქართველი ოცდათუთმეტი ათას მომხვდურს შეებმება და...  
ერთზე შეიღი მოვა. ისა ბრძანეთ, მეფევ, ხომ არ შეიძლება ამ ჩვენს ხუთი ათასსა  
ორი მეომარიც ღავუმატოთ?

— არა მესმის შენი, მოხუცო.

— ჩათვალეთ, რომ ერთი ამათგანი მე ვარ და ერთიც... ივერია.

— ის ხომ არ გინდა, სახლები მთლად დაცარიელდეს, მოხუცო?!

ერეკლეს სიტყვებს მისამ მწარე ხუმრობა შეაგება:

— შეილები მომენატრა, ბატონო, შეილები... ჩემი ჯუჯდუნა მგელიკა, ქო-  
ნორა ჯუჯდუნა, აგია, საბა... არ იქნა და აღარ მომაკითხა მიქელგაბრიელმა, რომ  
მათთან წავეყვანე. შეიღი ვაჟკაცი შეიღის დაკარგვის შემდეგ სახლში რაღა გამა-  
ჩერებს. აგერ, ოთხმოცდახუთს გადავაბიჯე და... ნუ გამიწყურები, მეფეო, მომენატ-  
რენ შეილები და მეც მათთან მინდა... ჩემი სიცოცხლე რაღა ბედენაა, ქვეყანას  
ომში თუ არ გამოვადგები.

— ზარები ვიღამ დარეკოს, მოხუცო?!

— მოიძებნებიან დედაკაცები. ივერია კი მამის სისხლის წილ იბრძოლებს.  
შამა და ღმერთი ერთია.

ერეკლეს სულში სევდა შემოაწვა, მაგრამ არა დაიმჩნია რა და მოხუცის  
გამხსნელების მიზნით შთამაგონებლად თქვა:

— ერთი ქართველი მთლად საქართველოა!... ერთი ქართველი შეიღ მომხ-  
დურს გულზე ფეხს აბჯენდა და ყელზე ხანჯალს. არ გატყდებ, მოხუცო. შენი  
შეილებს მოხიყვარულებას მუღამ მოასწრებ...

\* \* \*

დადგა 1795 წლის სექტემბერი.

ზოგი სმაღ-ხანჯალს ფერავდა და ზოგიც — დამბახას.

ტანზე თორანს იცვამდნენ და თავზე მუზარადს იხურავდნენ.

მკერდზე ფარს ისხამდნენ და შინ დამრჩენთ აიძულებდნენ.

აღარავის ახსოვდა კარს მომდგარი შემოდგომა, ცელი და ნამგალი, ქვევრი და  
შარანი, ალოობა და საწნახლობა. ვისაც ძალა ერჩოდა, თვალებს ნაპერწკლები უნ-  
თებდა, ვისაც ძალა არ ერჩოდა, ამ ნაპერწკლებს ცრემლი უქრობდა.

ხალხი საომრად ემზადებოდა.

დედები შეილებს აიძულებდნენ. შეილებს დედები არ ეთმობოდათ და გზას  
შაინც ულოცავდნენ.

ახალგაზრდა მეოჯახენი ცოლებს ეთხოვებოდნენ. ცოლები ტირიოდნენ და  
ღმერთს იფიცებდნენ, რომ სახლში დარჩენას მათთან ერთად ლაშქრად წამოსვლა  
ურჩიათ.

ბავშვები პაპას ხანჯალს ეტოლებოდნენ.

პაპები დარდიანად მიმოდიოდნენ და გარდასულ ბრძოლებში გამოჩენილთა  
ვაჟკაცობას ივლინებდნენ.

ცა ტყვიისფრად იყო ჩამომსიმეხული.



ყველას იმაზე ეთანადებოდა გული, რომ მტერი თბილისზე აპირებდა გამო-  
ლაშქრებას. თბილისი იმედის, სიყვარულის, მომავლის მარადიულ ტაძარად ეგვი-  
ლებოდათ და მტრის ბინძური ხელის დასაქარებლად მისი უძრავი კენჭიც კი  
არ ემეტებოდათ.

თბილისი დედა ყველა ქართველისათვის და მასზე ურჯულოთა ხელის და-  
კარება უფრო აუტანელია ვიდრე მშობელ დედაზე. რადგან თბილისი დედა  
მთლად საქართველოა!

ნაპურალთან ორი ბედაური პირისპირ იდგან კახა კახელის შავი ნიკორა და  
ივერიას თეთრონი.

იქვე იდგნენ, კახა და ივერია. მათ სათქმელი ძალიან ბევრი ჰქონდათ, მაგრამ  
ხმას არ იღებდნენ, თითქოს ყველაფერი უთქმელად გასაგები იყო.

— შენ სახლში დარჩები, ივერია. — თქვა კახამ.

— არ დავრჩები სახლში მე. — თქვა ივერიამ.

— დაფრადი, ივერია. ერთ ქართველზე შეიმი სპარსელი მრდის. ვიდაცამ  
ხომ უნდა მოიგონოს ომში წასვლანი.

— მაშის სისხლი მეძახის და შენც არ შეთმობი.

— გაჩუმდი, პაპა მიხა მაინც არ გაგიშვებს!

— პაპა მიხა უკვე გაიძიარდა. ბატონსაც მოახსენა ამაზე.

— ნება იყოს ღვთისა და... შენი.

— ღვთისა და ჩემი? — ივერია გაეღიმა.

— ჰო! ხუმრობა იქით იყოს და... შენ სწორედ ღმერთით დასაფიცარი ხარ  
ჩემთვის, ივერია!

— შერედა უღმერთოდ მიდიოდი ლაშქარში? — თქვა და გაიცინა.

ერთმანეთს რომ მუდამ ეკრძალებოდნენ და პირდაპირ მზერასაც კი ვერ ბე-  
დავდნენ, ახლაც ერთმანეთზე მიუკარებლად იდგნენ და თვალეში ჩაფრქვეული  
გულის სითბოთი ეცხუნებოდნენ ერთმანეთს. მათთვის არა არსებობდა ახლა იმაზე  
მეტი საფიქრალ-სადარღებელი, რომ როგორმე ბრძოლაში ერთმანეთს არ დასცი-  
ლებოდნენ.

ვაჟმა ბედაურებს შეხედა.

თეთრონი და ნიკორა ყელი-ყელ გადაჭდობილი გასუსული იდგნენ.

კახას გაეღიმა.

დაშვენდა ეს ღიმილი მის ჭაბუკურ სახეს. შავვრემანი პირისაზე ვაჟკაცური  
იერიტ გაუნათდა. შევნიდა შეღვრილი ყელი და ბეჭდში რაინდული გამდიდრება.  
გულიც ერჩოდა კახას და ღონეც, არც სითამაშე და მოსწრებული სიტყვა-პასუხი  
აკლდა, მაგრამ აი, ახლა, აჰ, ივერიას წინაშე ისეთი თავაზითა და მოკრძალებით  
იდგა, გვერდებოდათ ქურდობაში წაასწრეს და აღარ იცის, თვალეში როგორღა  
გამოიხელოსო. ივერიასაც რადაცნაირი ნათელი ედგა. დღევანდელი დღე ყველაზე  
ერუანტელიანი იყო მისთვის. იგი დღეს განსაკუთრებული ძალით გრძნობდა კახას  
სიახლოვეს. ვაი, თუ შემოდგომური სითბო და განახლება იყო მას, რომლის შემდეგაც  
ზამთარი ისადგურებს... და მაინც განსაკუთრებით შევნიდა მას კაცთაგან ჯერ კი-  
დევე შეუცნობელი სიკეთე თვალეში რომ ადგა და ელვარებას ანიჭებდა. ნაზიც  
იყო და მორცხვით ეს თვალეები, და გასაკვირი ისაა, რომ ომსა და ბრძოლებზე  
საუბრის დროს ეს ღვთაებრივი თვალეები მცხუნვარე, ვაჟკაცური ნაპერწკლებით  
ეცხებოდა. ასეთი ახსოვდა კახას იგი მაშინაც, როცა ცხენადცხენ ეტევებოდა,  
ქაოლად ქურდის შესაპყრობად.

„რა კარგი იყო ის ჭენება!“ — გაიფიქრა კახამ და თქვა:

— ხომ არ გამოვევთხოვოთ ალაზნის მინდორს? თითქოს შენ თეთრონის ქე-  
რდი ხარ, ალვანელი ბიჭო, და მე დავგვევენე.



— გვიანი არაა? — იჭვიანდა ივითსა ქალიშვილმა.

— ვიდრე ხალაშქრო ზარები დაურეკაით.

ივერიამ ვაილიმა და მზარზე გადაღებული ცისფერი ვალა წელზე დაუდგარად შეიხნა.

კახან ცხენებს მოსართავეები შეუმაგრა და თეთრონის ხადავე ივერიას გაუწოდა. ახლა შენიშნა კახამ, თუ როგორ შეიცვალა ივერია, როგორ გადაიქრო სინათლე გულისა და მხედარს დაეხსება. ასე გაზარდა იგი მისა იფალთოვლმა: გული სინათლესთან მებრძოლი სული შთაბერა.

შესხდნენ ცხენებზე და ალაზნის ველისაკენ ჩაუსვიეს.

ცხენები აწვობილად მიბიძგებდნენ, მაგრამ ალაგზე რატომღაც კახას ცხენს ნაბიჯები აერია. აწვობილი ფეხის ხმა დაიწვია. თითქოს რაღაცა გაუტყდაო, რატომღაც ცუდად ენიშნა ეს და ეწვინა კახას.

ალაზნის ველზე თეთრონი ატოკდა და ფალვზე შედგა. ატოტებამ მას ქათქათა ფაფარი ნისლივით აუბლანდა. ივერიასაც აუქრიალდა კაშლილი ბურბუშელა თმები, თითქოს ქარაშოტმა დაჰკრაო, ზღაპრულად აუქროლდა. მშვენიერი და განუძეორებელი იყო იგი სამწერად.

კახას ბედაურიც შეტოკდა, უმაღ დაიძაბა და ნახტომში ფლოქვებზე ნაპერწკალი აენთო. თითქოს ჭაბუკსაც აენტოო თვალებში ნაპერწკლები, მათრახი იშვირა და უნაგირს ქორივით გაეკრა. კვლავინდებურად გაედევნა თეთრონს და გაიხაძირა. გაედევნა და... ვერ დაეწია მანძილადუბულს. ბედაურს ფერდებში ცერეზით წაუფიტირა და მათრახიც მოუქნია. ცხენი თავდაუზოგავად გაენთო კვალად.

ივერიამ წამით მოიხედა უკან.

გაწეწილ წაე თმებში, ხაცხე მთვარემ — დამარეტიანებლად წარმტაცმა პირისხემე გამოიფლვა და თვალებმაც უცნაური სხივით გაიკრიალა.

კახას ლამის სუნთქვა შეუკრა ამ გამოკრთომა.

ამას წინათ რომ ეტყეებოდა, სხვა ჟინი ჰკენწლავდა მას, ეგონა ვიღაცამ თეთრონი მოიპარაო, ახლა კი სხვა ჟინი ჰკენწლავს, — ცხენდაცხენ ახლოდან შეიგრძნობს ამ საოცარი გოგონს თვალების ანდამატური მიზიდულობა.

ახლა, როცა წამიწამ ელოდებოდა ზარების ხმაზე ლაშქართან შეერთებას, უცნაურის ძალით ამ თავაწვევტილ ჭვენებაში იგრძნო ივერიას სიახლოვის საოცარი მცხუნვარება.

ახლა უკვე წვევილად მიილტოდნენ ცხენები.

მშვენიერი სახანაობა იყო ეს და მშვენიერები ივენენ თავადაც.

კახა ივერიასაკენ გადაიხარა, ეტყობოდა ცხენდაცხენ მისი ვადმოტაცება განეზრანა.

თეთრონი კიდევ უფრო წინ-წინ გაფრინდა.

ვაჟმა კიდევ სცადა მისი ვადმოტაცება.

ქალიშვილს მსუბუქად შესკენილი ყელსაბამი შეეხსნა და ქარდაქარ გაფრინდა. კახამ აფარფატებულ ყელსაბამს უმაღვე წაეპოტინა, მაგრამ ვერ დაიჭირა იგი. შეტოკდა, ცხენი უკანვე შემოატრიალა, ელვის სისწრაფით წაეტანა, მაგრამ ამაო, ვერ დაიჭირა. უკანვე გამოქანდა და გადაიხარა, რომ ძირს დაცემამდე მიეწწრო, მაგრამ ჭვენების ქარმა ვალა შეათრთოლა, ააფარფატა და გადააქანა. ვერ მიხვდა და ეწვინა. ცუდად ენიშნა ეს და შედგა. ხანჯალი ამოიღო, ნარნარად დაიხარა და ნირწამზდარმა ხანჯლის წვერით აიღო იგი.

ივერიასაკენ მორცხვად გაიხედა.

ივერიამ იგრძნო კახას უხერხულობა, თეთრონი შემოაბრუნა და მისკენ ღიმილით გამოემართა, თითქოსდა, არა უშავსო რა.



კასამ ქალიშვილს ყელსაბამი შეაბნია, მისკენ კიდევ უფრო მოსწერსკეპულად გადიანარა და წყნარად, უსიტყვოდ აკოცა.

ქალიშვილსა მისი სუნთქვის ძხურვალემა სწორედ იმ ძალით იგრძნო, რომელსაც შეუძლია ადამიანი ჯიუტი სინამდვილიდან სიზმარეულ ბურუსში გახვიოს.

თვალეში დახუჭა და გაინაბა.

ბროლში გაფხულ წამიერებას ჰგავდა ეს წამი.

ასეთი წამები იშვიათია.

ასეთი წამი ან ერთია ადამიანის ცხოვრებაში, ან საერთოდ არ არის... და მის მაგივრად არის, უბრალოდ, კოცნა. მიუხედავად მისი გულწრფელობისა და სიცოცხლით შთაგონებისა.

ეს ერთი იყო. იგი სწორედაც ბროლში გარჩენილ, გაჭევაგებულ და მარადიულ წამიერებას ჰგავდა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის წამი, რომელზეც ამბობენ, საუკუნეს აღემატებაო.

კასამ თავი ასწია და.. ისინი რომ ერთმანეთის თვალეებში ჩაცვივდნენ, სწორედ ამ დროს გაისმა ზარების გუგუნია.. ხალაშქროდ მოუხსობდნენ მათ!

წამები ნაპერწკლებად აუწრიალდით თვალეებში.

ცხენებიც ატოკდნენ, აიშალნენ და მიმოღვნენ.

ყალფზე დადგნენ ცხენები, ფაფარი აეშალათ.

ივერისაიც აეშალა და აუქროლდა ლამაზი თმები და, წამის წინ ნეტარებით გაბრუებული, უმაღლ ამორძალად გადაიქცა.

კასა მზრებში გაიშალა და სადავე ჩამჯიდა.

ისინი უსიტყვოდ შებრუნდნენ და წაეიდნენ, რომ ლაშქარს შეერთებოდნენ.

ისევ და ისევ გუგუნებდნენ სამრეკლოები და ქუდზე კაცი ჩამოდიოდა შესაკერებთან.

## თავი მერვე

კრწანისი...

კრწანისი...

ამდენი ფაფაო რა განგებამ ააბიბინა, რა მიწამ ახარა, რა მირონის ნამმა მოაღტო...

არის კი ხაღმე ასეთი საოცარი, ყვავილებით მოჩითული მიწა, ან თუ არის, ჰგავს კი კრწანისს თავისი ბედითა და სილამაზით?

აქ მხოლოდ სიყვარულისათვის, ოცნებისათვის, ყვანოებისათვის უნდა მოვიდეს ძე-სოროციელი. ასეთ მიწაზე ომი უფრო ღიმი უბედურებაა, ვიდრე ადამიანის მიერ ქვეყნად ყველა სატის შებილწვა, ყველა ტაძრის აღგება პირისაგან მიწისა, ყველა სასთლის გაშავება და ეშმაკზე შეწირვა, ყველა მშვენიერი ქალის დაშახინჯება, ყველა ღვდის შეურაცხყოფა!

და აქ ალა მაჰმად ხანს ომი და უმანკოთა სისხლის ღვრა გარდაეწვევია. გარდაეწვევია.. მაგრამ ქართველი კაცი შტერს ცოცხალი თავით არახოდეს დანებებია და.. და დაბანაკდა აქ ჯარი ქართველთა დედა-თბილისის დასაცავად.

ტყვიისფერი ცა ისე გალურსულიყო და დადაბლებულიყო, კარვებს დასატანად დასწოლოდა.

კარავში ივერია თმებს იკალთავდა და მძიმე ქუდს იხურავდა.

ასეთია სვედრი ადამიანისა, ხდება, როცა სადღოფლო გვირგვინის მაგივრად რკინის ქუდს იხურავენ, სანეფო გვირგვინის მაგივრად — ჩაჩქანს, აკვნის დარწყ-



ვის ნაცვლად ქალები ქვრივის თაღს იცვამენ, მამაკაცები აბჯარში ბერდებიან და ზეზუზრად კედებიან... ასე სჭირდება სამშობლოს და, რაც მას სჭირდება, ლაფერი ეძღვნება. სიცოცხლეს? დიადაც სიცოცხლეს.

და თენებოდა 1795 წლის ათი სექტემბერი.

შეომრები კარვებში ისვენებდნენ ბრძოლის წინ.

ისვენებდნენ? — არა. ბრძანებას მოელოდნენ!

კასამ თვალი გააყოლა ყაყაჩოების ალაში გასვეულ თვალწმენელ მინდორს და გული დაუშვიდა. ყაყაჩოების ალი მიწამდე დაქანებული ჰორიზონტის საგან-თიადო მღვრიე ბურუსს თითქოს აჰყვია და ქუფრ ღრუბელს ცეცხლისფრად წაე-კიდა. ამ ნოლანდებამ თითქმის მთლიანად წაშალა ჰორიზონტი და ერთიან ალი-სფერ თუ სისხლისფერ გასამზირად აღიმართა.

საოცარი მყუდროება გაჟღავნდა.

სწორედ ისეთი, ჭექა-ქუხილის წინ რომ იცის.

ამ მყუდროებაში საიდანღაც გაისმა მშობლიური ქართული მელოდია, კარ-ვეებს მოაწყდა იგი და ჯერ კიდევ წამოუშლელ მეომრებს სულში მოულოდნელი იმედი ჩაუწყვია. მალე მას გამამხნევებელი სიმღერა მოჰყვა. სიტყვები გამოკვეთი-ლად ისმოდა და სულსა და გულს სწვდებოდა. შეიშუშნა კარავში მითვლემილი ბერიკაცი, — მისა იყალთოელი. ეს სიტყვები თითქოს მხოლოდ მას ესებოდა და მის ტკივილებსა და იმედებს ესიტყვებოდა. თვალი გააჭყიტა და სმენა მიაპყრო:

შატილს გადიდა სობობი, გულისი დაჯდა ჯარსედა,

დარაზმა შვიდი წიწილა არწივის ნაბუღარსედა,

შვიდივე იყვნენ გმირები, განთქმული ქრისტეს ტანსედა,

თითო ღომისა სწორია, ზელი ეკიდათ სმალსედა...

„შვიდი რატომ ასხენეს?... მე რომ შვიდი „წიწილი“ დავზარდე, შვიდი ვაჟ-კაცი, რომლებმაც მტრებსე იგულდიდეს, ისმადიდეს, იომდიდეს“, — გაიფიქრა ბერიკაცმა და წამოდგა.

კასა უმაღ მიუბრუნდა ბერიკაცს და ჰკითხა:

— სომ არა გიჭირს რა, პაპა მისავე?

— არაფერი, შვილო.

— რაღაც ვერა ხარ გუნებასა.

— არა, ეს ისე, შვილო.

ივერია მისთვის უჩვეულო და გამაბრუებელი ფიქრებიდან გამოვრკვა და პაპას მიუბრუნდა:

— ვინ მღერის, პაპა?

— ეს, შვილო, მანაბელია, სახელოვანი შემომარი, დამკვრელი და მოლექსე-მომღერალი... ჩუ, აბა, მოუსმინე!..

მანაბელი ამ დილით დიდის მიმზიდველობით მღეროდა და იქაურობას არა თუ აღვიძებდა, ამხნევებდა, შთაავონებდა და საომრად აღანთებდა:

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი,

ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შესჭამონ მტრისანი...

— ჰაი, ჰაი, რომ დაიზრდებიან! — თქვა პაპა მისამ და ასალგაზრდულად შე-მობრუნდა, — დაიზრდებიან და დედას აუტირებენ მოძალადეთ... დაიზრდებიან და ღაზრდიან მათებურთ, რომ კვლავაც დედა აუტირონ მტრებს!... მაგრამ ვაი, რომ! შვიდი ვაჟიდან შვიდივე ისე დაეცა, ძეი არ დამიტოვა, შთამომავლობის ფესვი გა-მისმო...

კარვიდან გავიდა მოხუცი.



ივერიას უნდოდა ეკითხა, თუ რა ღაუმართა, მაგრამ კახამ ანიშნა, — არა ჰკითხოო რაო. ისიც გაჩუმდა.

ყველანი გამოვიდნენ კარებიდან.

პაპა მისამ იქითკენ გასწია, საიდანაც მოდიოდა ეს მომაჯადოებელი სიმღერა. გულის ამანთებელი სიტყვები.

ხალხიც მიჰყვა მას და მოლექსე-მომღერლისა და სახელოვანი მებრძოლის მაჩაბლის კარავს შემოეწვია.

თავისთავი დაიმართოსელეს კახამ და ივერიამ.

საიდანღაც ურუშა მოვიდა. რაღაცის თქმა უნდოდა და ერიდებოდა. კახა მიუხვდა და ჰკითხა:

— თქვი, რაღა, ურუშავ, ხაცაა ომში შევალთ და... და სათქმელი თან არ წა-ვიყოლიოთ...

— კარგი, ერთი, კახავ, რათ მეტყვი მაგასა? სიცოცხლე ჯერ არ დაგვიწვია და შენ კიდევ... ივერიაში მაინც შეინახე სათრი! — და ივერიას მიუბრუნდა: — არ გეწყინოს, ივერიავე... მართლა კი არ მიფიქრია თეთრონის მოპარვა...

— მე ეგ აღარც კი მახსოვს. მაშინ ბალები ვიყავით, მას შემდეგ ავერ თორმეტი წელი გავიდა.

— გავიდა და მაინც მეთანადრება გული. საწყენი ხომ არა დაგრჩათ ან შენ ან ჯანას ან დეიდა მარიამს?...

— არა გრცხვენია, მასეთებს რომ იხსენიებ? — გადაუჭრა კახამ. — რაღა ბავშვობის გახსენებიაა...

ურუშას შერცხვა, მაგრამ კახას მაინც გულიანად და ბოლომდე გაუტყდა და ნული გაიმსუბუქა.

— ერთად გაზრდილები ვართ, კახავ, ძმებევით ერთად გაზრდილები... ეტყობა ბალობაში დაშვებული შეცდომა არასოდეს სწორდება. ის მესხიერებაში მუდამ თვლეს. ცოტაც და... გაცოცხლდება. არ გეწყინოს... მაშინ მე შენ გადმოგაბრალე, კახას გადაუწყვეტია თეთრონის მოპარვა-მეთქი. ეს რომ გაიგონა, დეიდა მარიამი შეცბა. შევატყვე, არ დაიჯერა და უფრო დავიწვი. თორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ და დღესაც მრცხვენია ამის გახსენება.

— კარგი, ახლა, ურუშავ, რათ გინდა მაგის გახსენება? ხომ იცი, მე და შენ ძმებევითა ვართ!

ურუშა დაიბნა და სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა. სწორედ ამ დროს შემოესმათ მაჩაბლის სიმღერა და სმენად იქცენ:

ვაჟკაცო, მთაში გაზრდილო, ხმაღს როდი მოგიმივდება,

ომში შეხვალ და გამოხვალ, გული არ შეგიშინდება,

სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი არ მოგიცურდება,

უკან დახევა არ იცი, სისხლი რომ შეგიხურდება.

— კარგია, ღმერთმანი, — გაიღმა კახამ.

— კარგია, — დაემოწმა ურუშა.

ივერიამ თავი დახარა და გაიღმა. კახას შეხვდა და უსიტყვოდ უთხრა: „კარგია“.

ისევ შემოესმათ:

შენ, ბიჭო, ომაზიანო, შენი ხმა ჩამოდიოდა,

შენი ნახოცი ლეკები არაგვში ჩამოდიოდა,

არაგვი სისხლმა შეღება, მცხეთაში ჩამოდიოდა...

ეს ლექს-სიმღერა ჩამოთვდა თუ არა, ცხენების ჭიხინი გაისმა. ყველა ერთობ შემობრუნდა და დაინახა ცხენებზე ამხედრებული სამასი არაგველი. იმათ



ერთმანეთისათვის შეეფიცათ, რომ თუკი მტერზე ვერ გაიმარჯვებდნენ, ცოცხალი თავით სასწრაფო არ დასრულებულიყვნენ. მტერზე იგეგმოსა ცემის სურვილი

ბედნიერი და ამაყნი იყვნენ იმინი თავიანთი გადაწყვეტილებით.

გახარებულნი იყვნენ.

ისინი ამ ფიცსა ერთმანეთთან კიდევ უფრო შეამკვიდრა, ერთსულ და ერთ-ფერ გალაქცია.

თოვლიდან ისინი სახელოვან წინაპართა გმირობით, დიდი ბატონის, ერეკლეს ბრძოლებითა და გამარჯვებით შთაგონებული. მათ კარგად ანსოვდათ: ერეკლე სძალდაძაღლ ეთკისებოდა წინა ბრძოლებში ქვეყნის მტრებს, თვითონ პირველი შედიოდა ომში და გამარჯვებული გამოდიოდა. არაეის დაავიწყდება ის სისარული, კოსტა ბელაღს თავი რომ წააგდებინა ასპინძის ომში, მომხვლური რომ აოტა და ქვეყანა იხსნა. არ ეგულებოდათ მათ სხვა ამისთანა მეფე: იგი სამას არაგველს, ყველა მეომარსა და, მეტადრე, მიხა იყალთოელს, შიანნათ არა ოდენ შეფედ, არამედ კარგ მეურნედაცა და ბრძენ გლეხკაცადაც, მეომარადაცა და რაინდადაც, სარდლადაცა და შორსმხედველ წინამძღოლადაც, ქვეყნის პატრონადაცა და განმკითხავადაც... ამიტომაც იყო, რომ მოზრუცები შამას ემახოვნენ და ახალგაზრდებიც. მისი იმედი მუდამ ჰქონდათ და ახლაც მისით იყვნენ ფენმომდგარნი სამშობლოს დასაცავად, თბილისის დასაცავად და გამარჯვების იმედიც ჰქონდათ, თუკი ოდითგანვე წყნული და არსაცნობი ღალატი არ შევიდოდა საქმეში.

სამასი არაგველის ხილვით გახარებული მაჩაბელი კარედან გამოვიდა, ლაღად ჩაშაჰკრა ლარებს და ომახიანად დაამღერა:

ვაჟკაცო სახელოვანო, სძალს როდი მოგიშივდება,  
ომში შეხვალ და გამოხვალ, გული არ შეგიშინდება...

შე ვიცი, შევარდენი ხარ, მაგრამ რომელი ბუდისა?

ნეტა რა დედამ გაგზარდა ეგრე ფოლადის გულისა...

გარიჟრაჟთან ერთად გულში იმედის, მხნეობისა და გამარჯვებისათვის თავდადების ისეთი ნათელი აენთო, რომ იქ დაბანაკებულ და საომრად შემართულ ზუთიათას მეომარს თვლებში ნაპერწკლები ჩამოუფრქვია.

ყველა ერთბაშად შეიძრა, შეირხა და მიმოღვა.

ყველა სიამყის გრძნობით აენთო, რადგან იცოდა, რომ დღეს სამშობლოსათვის, ღვლათბილისისათვის უნდა ებრძოლა.

\* \* \*

საბჭოლისწეროდ გათენდა ათი სექტემბერი.

აღა მაჰმად ხანი ოცდათხუთმეტი ათასიანი ჯარით მოადგა ქვეყანას, იმას კი აღარ წარმოიდგენდა, რომ დღეიდან ამისა თავისთავსა და თავის ჯილაგს ქართველი ხალხის სსოვნაში უბილწეს სამანს უღებდა საუკუნეებში საწვევრად და საფურთხებლად.

...და განაღდა ბრძოლა.

ერეკლეს მეომრებმა ნიჭითა და გამძლეობით თავებრუ დაუხვიეს მტერსა და მუხრი გააფლეს კიდევ.

შედრკენ, მაგრამ მაინც მოეძალენ მომხვლურები.

ვერა და ვერ გასტეხეს ქართველთა ჟინი და ნება.

ლაიღვარა სისხლი.

ქართველი მეომრების თავდადება შეაშინა მტერი.

ბრძოლის ნიჭმა თავისი ვაიტანა და... მტერს მოეჩვენა, თითქოს ერეკლე გაცილებით მეტი მეომარი ჰყავდა...





აღა მაჰმად ხანმა დააგდო ბრძოლის ველი და გაიქცა.

მაგრამ მაინც ამოჰყო თავი უშმაკზე სულმინაყიდმა... გადაუდგა გავიქცა.

აღა მაჰმად ხანს და დაარწმუნა, რომ ქართველთა ლაშქარი მცირეზე უმცირესია... დაიჯერა მტერმა, მობრუნდა და გააფთრებით ეკვეთა ქართველთა ლაშქარს.

ეს იყო ქვეყნად ყველაზე უსაზიზღრესი ღალატი, ყველაზე უსაზიზღრესი ბოროტება, ყველაზე აუტანელი გულისტკენა...

— არ შედრკეთ, ბიჭებო! — ჩაესმათ ქართველ ბიჭებს.

არც შემდრკალან.

იბრძოდნენ და ეცემოდნენ, იბრძოდნენ და იცოდნენ, რისთვისაც ეცემოდნენ, იცოდნენ!

მაჩაბელი თავისი რაზმით ჯიქურად მიიქრა აღა მაჰმად ხანის კარავთან-გულბოროტი ხანი მტრის ასალმა რაზმმა იხსნა, ქართველები კი ვეღარ გადაურჩნენ ამ გოლგოთას...

უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოდა სახელოვანი სამაჩი არაგველი. ბევრი მომსდური დასოცეს, მაგრამ ვაი, რომ თავდაც მიიძინეს მშობლიურ მიწაზე. დაუფიწვარი იყო გმირობა მათი! თავადაც დაუფიწვარი იქნებიან საუკუნეებში, რამეთუ დღესამშობლოსათვის დაეცნენ.

სამასმა ოჯახმა ერთად ჩაიცვა მამა...

სამასმა ოჯახმა...

და განა მარტო სამასმა?!

ბევრმა ახალგაზრდამ გაიზიარა მათი ბედი, ბევრმა მოსუცმა!

კასამ სწორედ მაშინ მიუსწრო პაპა მისას, როცა მტერს იგი დაეჯახნა. ზე-დევე ჯიქურად მიაგდო ცხენი და პირველსავე მომსდურს ძლიერად ჩასცა შუბი. ამის დანახვაზე სუთი ერთად ეკვეთა, მაგრამ ყველას გაუსწორდა.

კასა ცხენიდან სასწრაფოდ გადმოსტა, რომ პაპა მისა წამოეყენებინა, ის კი არ იცოდა, რომ მოსუცს ორი ურჯულო მოეკლა და მესამეს ვეღარ მორეოდა, ჭრილობას დაესუსტებინა და ვეღარ წამომდგარიყო, მხოლოდ შეიმშუშნა, უნდოდა ეთქვა, ურუშა დაეცა და მიხედეთო, მაგრამ ვეღარ მოახერხა, მიწვა და თვალი დასუტა.

ელდანაცემ კასას შეეშინა, ივერიამ არ დაინახოსო და თვალებით მოსძებნა ის. სწორედ ამ დროს ივერიას მომსდურნი მიხედნენ და სწორედ დროულად იყო მიშველება...

— პაპა მისა სად არის ნეტა? — იკითხა ივერიამ.

— პაპა მისა... — ვეღარ მოახსწრო სიტყვის დასრულება, რადგან დაინახა, რომ ჩაღმანები ისევ მოიწვედნენ.

— განერიდე, ივერია! ზომ ნედავ, ცალკე შენი ღარდით ვიწვი, ცალკე — ამათი დასოცვის სურვილით...

— უტოე, ივერია! — ისევ შესძახა ვაჟმა და იმის დრო აღარ დარჩა, დაენახა, — უტოა თუ არა, კრახანებივით მოვარდნილთაგან ერთს ზმლით თავი წააგდებინა, ზოლო მეთრეს ყელში აძგერა შუბი.

— კასა! — ჩაესმა ივერიას ხმა და სწრაფად მოიხედა. მასზე მტრის მოქნეულ ხმალს ზმალი რომ ვეღარ შეაგება, წამიერად გვერდით გადაიხარა და დაკვრა აიცილა, მაგრამ მახვილი მის საყვარელ ცხენს მოხვდა და მხარში ჩააპო.

ცხენი შეტოტბმანდა თუ არა, კასა ელვისუსწრაფესად გადასტა და აღბრ იცოდა, რომელს შესლოდა... ივერიაც გადმოსტა თეთრონიდან და კასას გვერდით ამოუდგა...

ქართველმა მეომრებმა მტერი ხმაღლასხმალ გადარეკეს ბეჭობს გადაღმა.



მალე ჩამობინდდა.

ცოტაც და, თითქოს ჩაღვო ქარ-ცეცხლი, — შემოღამებამ გაყარა მკერდის ქვეშ.

— ნეტავი რა იქნა პაპა მისა, ანდა ურუშა? — იჭვნეულად იკითხა ივერიაშვილმა არა გაუმხილა რა. მკლავში ხელი მოჰკიდა, რომ იქედან გაეყვანა. ქალიშვილმა მას გულზე მიაყრდნო თავი და თხოვა მოეძებნათ მათი თანამებრძოლები, შეტადრე — პაპა მისა და ურუშა. ამ დროს კასამ დაინახა, დაჭრილ სპარსელს თავი წამოეწია და ივერიას ზურგში დამბახას უმიზნებდა. კასა ელვისუსწრაფესად შემობრუნდა და ქალს ჩამოეფარა. სწორედ ამ დროს იჭექა დამბახამ... კასა ჩაიკეცა. ივერიას გული წაუვიდა და ასე უგონოდ და უღონოდ მკერდზე დაეცა...

\* \* \*

ცა მოიდრუხლა და ქარმაც წამოუბერა.

კრწანისის ყაყაჩოები სისხლში მოხვრილიყო.

კვლად დარჩა ნაშუსრევი, როგორც წყევა მარადიული.

კვლავ დარჩა საფლავები — სამო და ეული.

მისა იყალთოელი, კასა და ურუშა თბოლი ლოდის ძირას ესვენენ. შუებები ფარ-სმალი და მუნარადები ზედ გულზე ეწყვით.

ცოტაც და... იქაურობამ არსაცნობი სუღარა ჩაიცვა.

ივერია ძლივს მოაცილეს კასას საფლავს.

ანდა, რაღა გლოვისა იყო... რა ცრემლი დააცხედრებდა ვარამს გულისას?! თავზე თეთრონი წამოხდგომიდა საბრალო ივერიას. ნალები დასცევითოდა თეთრონს. განარიდეს ივერია იქაურობას.

წასვლისხანს ერთხელ კიდევ ემთხვია კასას საფლავს და ფიცი მისცა მისი მარადიული ქალწული ქვრივი დარჩებოდა...

მიდიოდა ივერია და გულით გაუნელებული ცეცხლი მიჰქონდა. ქუდი მოეხადა საბრალოს და თორანზე გიშრისფერი თმები გადაჰყენოდა. უცნაური ხანასავი იყო იგი: სახით — თმაგაშლილი მგლოვიარე ანგელოზი, ტანად — მამაკაცურად თორანში გამოწყობილი ნორჩი რაინდი. გულით — ნაზი და ამავე დროს შეუპოვარი. ასეთი იყო ივერია.

მიდიოდა იგი — სუთითასიანი ლაშქრიდან ბედად გადარჩენილი მცირეზე მცირე რაზმის ერთი მეომარი.

მიდიოდა გულმოკლული და სევდიანი. მიდიოდა ყმაწვილქალობაშივე დაბრძენებული, ჭირნათმენი და გულმოკლული. მიდიოდა და გულს უწყევდა მასათაზე მიგრავნილი შავი ნისლი, თბილისისაკენ რომ ეშვებოდა ზანტად და საცრემლოდ. უკან რჩებოდა გაყუჩებული, სისხლში აზელილი მიწა ულამაზესი კრწანისისა. უკან რჩებოდა კასას გაცივებული გული, უსაყვარლესი პაპა მისა იყალთოელის, ურუშასა და სსვათა, ჭეშმარიტ მებრძოლთა და რაინდთა საფლავები...

მიდიოდა ივერია და ლოცვასავით იმეორებდა კასას საფლავთან წარმოთქმულ ფიცს...

(დასასრული იქნება)







## რა საკითხავია

გაზაფხულა — მან დატოვა მანქანაში მჯდომი  
სამწვანე მოძალებია მთა-ბარს,  
აღუბლები და ატმები თავს იწონებენ, ყვავიან,  
ტყემლებს ჩაუცვამთ დედოფლის უსპეტაკესი კაბა...  
ვკითხე გლეხს — გიყვარს მამული?  
მითხრა — რა საკითხავია.

იყო ზაფხული —  
ხვატისგან ველ-მინდვრებს აჩნდა ღარები,  
დაშრა წყარო და შეყვითლდა წვანით მოსილი მთანია,  
ჩრდილი არ იყო, მზე წვავდა სამხრეთის ცხელი ქარებით.  
ვკითხე გლეხს — გიყვარს მამული?  
მითხრა — რა საკითხავია.

შემოდგომაზე წვიმებზე იწვიმეს გადაუდებლივ,  
აწვა ტალახში სოფელი,  
არ იღებოდა კარი,  
ცა ფეხად ჩამოდიოდა, ცა შეშლილი და უძლები...  
ვკითხე გლეხს — გიყვარს მამული?  
თქვა — რა საკითხავია.

მოელი ზამთარი ითოვა,  
იყო ზვავი და წსხვერბლი,  
ბილიკს ვერ გაიტანდი და მეზობლის ნახვა გაჭირდა,  
ვიპოვე გამოსავალი, ვითომ გულგრილი სახით  
ვკითხე გლეხს — გიყვარს მამული?  
მითხრა — მაგითი რა გინდა!

თვალებს მოადგა სისოვლე, —  
აბა მე რახე მნდოი ვარ,  
ჩემო ღვიძლო და სიცოცხლე,  
შემნახავ-გამკითხველო,  
იყავი, მარად იყავი!  
შენ გქვია საქართველო!





აღზევებულმა, მწვანე კონცხით,

რალა ვინატრო,

სხვა უკეთესი მაწულები არსად მინახავს,

აქ სისხლს ანთებდნენ წინათ მტრები,

მე აქ ვაინადრობ

და გულსაოხად, სულსაღბუნად ვეყვარ წინაპარს,

დრომ ვერ დაშრიტა გენი ჩემი

და ზმა საუფლო,

გალობს ბულბული, ჩიტი ღერის, ნათობს ცაქაღვე

რუს კოლეგასთან მარადიდის ცრემლზე ვსაუბრობ,

რომ საქართველოს სიყვარული უფრო მიმძიმდეს.

იღვწო იმა დობნის

იბნე ქნოც ნუიფობინაფ

იოლფოფეფ მიიგმა

იე გეშინა მიიბა ბოტეფ

იფიფ მიიბა ბოტეფ

იბოლფე მიიბოლოფეფ

გარეთ თეთრი თიკანი ყვითელ ბალახს ძოვს,

გარეთ მზეა — ვწუხვარ და ველოდები თოვლს,

შარშანც ამ დროს ვიყავი, გულს ვაჭევედი ქორს,

ვაიმე, რა შორს წასულხარ, ვაინე, როგორ შორს.

შენ აქ თურმე იყავი — მითხრეს სხვათაშორის,

როცა თეთრი თიკანი, მწვანე ბალახს ძოვდა,

სულში ბორგავს გრიგალი, აღარ ვუსმენ ჭორს,

ვაიმე, რა შორს წასულხარ, ვაიმე, როგორ შორს.

ჩემი წუთისოფელი იმელებით თავდება,

სხვას ვუშენებ ციხე-კოშკს უკვდავების თავდებად,

მიყვარს გული, რომელიც იელს აქცევს ვარდებად,

დარდებს მოისაკლისებს, მოკვდავს ჰკურნავს ნუგეშით.

ახლა ჩალის ფასია ცრემლიც, სიტყვაც, ბრალდებაც,

ვაინე, რა შორს წასულხარ, ვაიმე, როგორ შორს.

ვიცი მწუხრის ქარები ვერ ამავესებს წყალობით,

ვის გულს მიეკარები, სული ვის სულს გთხოვს.

გარეთ მზეა —

თიკანი ყვითელ ბალახს ძოვს,

გარეთ მზეა —

ვწუხვარ და ველოდები თოვლს...

ვაიმე, რა შორს წასულხარ, ვაიმე, როგორ შორს.



ზურაბ ხაბაძეს

ვფიქრობ ჩემთვის,  
გამსგავსებ

მაგდალინელ მარიამს,  
დაბრალდება წამება  
ლამეს —  
ლამის ბრალია.

სიჭაბუკე მიდის და  
ტრფობა ვერ შევიფერე,  
დანშეული აფთარი —  
მოძუნძულებს სიბერე.

როგორც იასამანი,  
ანდა როგორც პირიმზე,  
კვდება სიყვარული და  
ტირის,  
ტირის,  
ტირის მზე.

ვთქვათ და დავრჩი უცოლოდ,  
ან უშენოდ, მღედრო,  
ჩემს დალოცვილ ნახატებს  
უნდა შევეკედლო.

როგორც განუკურნავი  
ტკივილებით ძრწოლა,  
ბევრს დაუწვა სიბერე  
სასთუმალზე ცოლად.

ვფიქრობ ჩემთვის,  
გაჩსგავსებ  
მაგდალინელ მარიამს,  
ამნაირი ფიქრებიც  
აღბათ ღამის ბრალია.

შენი სახე ღირსება —  
გრძნობით წასაკითხავი,  
არ ვკითხულობ, ვინ იყავ,  
აღბათ, გყავდა მკითხველი.

აღბათ, გყავდა მხატვარი,  
აღბათ გყავდა პოეტი,  
და თუ გყავდა, სად არის,  
უკეთესს ვის ჰპოვებდა?

მობრძანდები, ჩოგვება  
მამრთა ასი თვალი,  
დამიჩრდილე ფრესკები,  
ასგზის დედოფალი.

გატყობ, არვის ამჩნევ და  
გატყობ, არვინ გინდა,  
მგალობლების გალობა  
გესმის მხოლოდ ციდან.

შენს ბედს ბევრი ნატრობს და  
ბევრი კვდება შურით,  
ვინც სიყვარულს არ ცნობდა,  
მოკლავ სიყვარულით.

მობრძანდები, მოგვება  
მამრთა ასი თვალი,  
დამიჩრდილე ფრესკები,  
ასგზის დედოფალი!

## იყო მზის ახსანაბი

ბათუმს გალაკტიონი  
სულ სხვაგვარად ჰყვარობდა,  
მისი ფასი იცოდა,  
მისი წინსვლით ხარობდა.



იყო მზის ამხანაგი,  
ზღვისპირს მზეზე თბებოდა,  
მწვანე კონცხის სანახის  
სილამაზით ტკებოდა.

მას საშიში რის ჰქონდა,  
ან საშიში რა იყო,  
ტაშის შემდეგ იტყოდა —  
გადავრჩითო, ძამიკო!

ნეფე-მგოსანს სცოდნია  
სად ვარდია, სად ოქრო,  
უკითხავდა აჭარას  
ლექსებს ხმით საჯადოქრო.

დარბაზს ლექსი ათბობდა,  
ლექსის სწავდა ხანძარი,  
და ხარობდა მგოსანი  
ქართლის ჭკერდით — აჭარით.

ოქროსფერი ტყე იყო და  
შემოდგომის ჩვენებური  
თბილი,  
თბილი ამინდი...  
მახსოვს —  
მაგრამ ჩვენს ბილიკზე  
ახლა სხვა და სხვა მიდის.

მახსოვს, შენი ლოყის ფერი  
ჰგავდა მუხის ფოთოლს...  
სამი ლექსი მოვიძღვენი,  
საჩივენი მოგწონს.


მოჩიპარა მახსოვრობის  
უნაზესმა ფრინველმა,  
აქ ბზა იდგა,  
აქ შევჩერდით,  
აქ გაკოცე პირველმა.

შინ მივალ და გადავფურცლავ  
სამახსოვრო ალბომს,  
წეტავ ახლა ვის გულს ჰკურნავ,  
ან მე ვის ვუამბო —

დაკარგული სიყვარულის  
ბალადა თუ მითი,  
ჩვენს ბილიკზე,  
ჩვენს ბილიკზე,  
სულ სხვა წყვილი მიდის.







თბილისში, ორბელიანთა სასახლის დიდ დარბაზში, ინჟინტერიის გენერლის, პოეტ გრიგოლ ორბელიანის კაბინეტის ერთი კედელი ძალიანად წყვების თაროებს უკავია. მოპირდაპირე კედელზე გამოფენილია კავკასიის რუკა და სხვადასხვა პირთა პორტრეტები.

მაგიდის თავში თვით პოეტი ზის, ირგვლივ სხედან ილია, აკაკი, საქართა ჭიჭინაძე, პოდპოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი, ისტორიკოსები პლატონ იოსელიანი და დიმიტრი ბაქრაძე.

— ვერავინ შეაყენებს განგებას ღვთისას. რუსთა ძალით დამშვიდნენ მთის მცხოვრებნი, ქართველთა სამეფოს დაგლეჯილ-დანაწევრებული თემნი გაერთიანდნენ... და ღვთის განგება რუსთავე ძალით თუ მოიყვანს ნათესაობით ერთობაში ქობულეთსა, აჭარასა, ლივანასა და სხვათაც ჯერ კიდევ თურქთაგან პფრობილსა. — დაიწყო პლატონ იოსელიანმა.

— სწორს ბრძანებს უფალი პლატონი, მაგრამ ვიდრე რუსთა ძალა დაიწყებდეს აჭარის დამშვიდებას, თვალნი და ყურნი უნდა მივაპყროთ მათკენ, ბატონებო. უნდა განვჭვრიტოთ დამორეხებული ჩვენი აჭარელი ძმების აზრი და მიხედვით. — დაუმატა მასპინძელმა.

— როცა ამას ბრძანებს ბატონი გენერალი, ალბათ, თვლის, რომ საჭიროა ოსმალეთის საქართველოში ჩვენი კაცების ჩასვლა და მცხოვრებთა, პირველ რიგში მმართველთა ორიენტაციის გაგება. ეს ახლა არც თუ ისე იოლი საქმეა, რადგან ოსმალთა ძალზე გააძლიერა საზღვრების დაცვა. — ლაპარაკში ჩაერთა გიორგი ყაზბეგი.

— გუშმარიტად. — კვერი დაუკრა ილიამ, — ამჟამად საქართველოს ამ ნაწილის მიმართ ერთობ დიდ ინტერესს იჩენენ ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები. ისინი აქ პეზავნიან თავიანთ ემისრებს, შეერავენ ყოველ გოჯ მიწას საქართველოსას და მოხერხებულ დროს ელოდებიან სმელეთიდან და ზღვიდან შემოსატყუად. დაფოვნება არ ეგების, ბატონებო. მტერთა ემისარი მოყვრის პარალელმენტორმა უნდა დაჯაბნოს.

— მან უნდა შეასრულოს ამავე დროს დიდი ისტორიული მისია, — დაუმატა აკაკიმ, — ჯერ ერთი, გაიგოს, ამ მხარეში ჩვენი ძმები ჩვენზე რას ფიქრობენ, მივანძივართ ძმებად თუ არა? მე ჩემს ნათესავ აჭარელთაგან გამივია, რომ, სა-



მწესაროდ, სარწმუნოების ფანტიზმს ეს გრძნობა შეურყეველი, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ გაუქრია და მარად ღვივის აჭარელთა სულსა და გულში. თუ ჩვენი კაცების აჭარაში გაგზავნას ვფიქრობთ, ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა ძალუძთ იმ ქრისტიან ქართველებს, რომელთაც ახლო ნათესაობა აქვთ აჭარა-შავშეთის მფლობელ სიმშიაშვილებთან.

— რუსეთის მოსაზღვრე ოსმალის საქართველოში მოგზაურობა არც თუ იხე უსიფათოა. ჩვენს მეზობელს ყველაფერში მუქარა ელანდება. ამიტომ უცხო კაცის ყოველ ნაბიჯს, ყოველ შეკითხვას, განსაკუთრებით კი განზრახვას — ჩაწეროს ან ჩაისატოს რაიმე, წინ ათასგვარი დაბრკოლება ედობება. — განმარტა გიორგი გაზბეგმა.

— ეს სიძნელებები მე ჩემს თავზე გადამხდა, — ჩაერთა დიმიტრი ბაქრაძე, — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ მიმაგლინა გურია-აჭარაში, მოვიარე გუშაც ვნაზე, ვესაუბრე, ჩემს მოგზაურობას არა აქვს პოლიტიკური სარჩული-მეთქი, მაგრამ ვერა გავაწყვეცა. სულთანის უმცნარე მოსვლეს სასაცილოდ არ ჰყოფნის, ტფილისიდან აჭარის მთებში საფლავის ქვების და ციხე-კოშტების ნანგრევების დასათვალიერებლად რომ მიდის კაცი.

— საოცარია — თქვა ილიამ, — ოსმალთა ფაშები ქართველს გზას უღობავენ აჭარისაკენ და ამავე დროს სიამოვნებით უშვებენ ინგლისელ მშვერავებს. ამას წინათ მთელი აჭარა, შავშეთი და იმერხევი მოიარა ინგლისის ტრაპიზონელმა კონსულმა ჯიფორდ პალერეშმა, ჩასაწერი ჩაიწერა და ამბობენ, თავის ქვეყანაში კიდევ გამოაქვეყნაო.

— ნუთუ დღემდე ვერაინ შესძლო ამდენი ხნით დაკარგულ კუთხეებში შესვლა? — იკითხა გენერალმა.

— როგორ არა, ბატონო გრიგოლ, — სწრაფად მიუგო ილიამ, — ოთხი წლის წინ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე, ძონძებით შემოსილი, ვითარცა მოხეტიალე მომღერალი, თარით სელში ეახლა თვით აჭარის მმართველს, შერიფ-ბეგს. თუ ამ ერთ შეხვედრას დაეჯერება, სიმშიაშვილი ძალზე ფრთხილობს, მაგრამ თვალი საქართველოსაკენ უჭირავს.

— შერიფ სიმშიაშვილი რომ ჩვენსკენ ისწრაფოდეს, ეს არ არის საკმაო. მე როგორც ვიცი, მის შვილებსაც ხალხში დიდი სახელი აქვთ და, ალბათ, მათი მხარდაჭერაც იქნება ჩვენთვის ყურადსაღები.

— სწორს ბრძანებთ, ბატონო გრიგოლ. — დაემოწმა დიმიტრი ბაქრაძე, — მე საშუალება მქონდა სულოში ყოფნისას გამეცნო შერიფის შვილი, სულოს მუდირი, მურთაზ ბეგი. პირველ დღეს იგი სახლში არ დამხვდა, მაგრამ მისმა მოადგილემ გადაჭრით გამომიცხადა, პატრონის დაბრუნებამდე ვერ გაგიშვებო, იგი მუდამ დიდის სიხარულით სვდება სტუმრებს, განსაკუთრებით საქართველოდან მოსულებსო. აქვთ ბეგის მეუღლემ შემომითვალა: კაცი სახლში არ არის, მაგრამ გონივრულ დავლოდით, ნუ წაბრძანდებით, ეს ჩვენთვის დიდი შეურაცხყოფა იქნებაო.

გულდახმით უსმენდნენ ქართველი ერის დიდი შვილები ისტორიკოსის ნათქვამს, რომელშიც არა ერთი კაცის, არამედ საუკუნეების მანძილზე დედის ძუძუს მოწვევით აჭარელთა ოჯახების უძველესი წეს-ჩვეულება, მშობლის მონატრება და კვლავ მასთან დაბრუნების წყურვილი იყო გამოხატული.

— მერე, მერე ბატონო დიმიტრი? — მასპინძელმა სთხოვა ბაქრაძეს გავერძელებინა საუბარი.

— მეორე დღეს მურთაზ სიმშიაშვილიც დაბრუნდა 25 წელიწადი წარმოშა.



დღე, ტიპური ქართველი, ფრად თავაზიანი კაცი აღმოჩნდა. ექვსი დღე დავრ-  
ნი გულგამოღილ ძახილსმართან. მან შემომთავაზა გავმეზავრებულიყავი არტანუჯის  
მავითში, თვითონვე იკისრა მეგზურობაც, მაგრამ რაკი მსოლოდ აჭარა-ქობულე-  
თის ნახვის უფლება მქონდა, ჩემთვის ამ მეტად საინტერესო და საჭირო მოგზა-  
ურობაზე უარი განვაცხადე.

— ქართული რაჲ არ უჭირს? — იკითხა ილიამ.

— წინასწარ მოიბოდიშა, კონსტანტინეპოლსა და ტრაპიზონში ვიზრდებოდი  
და მშობლიურ ენას თუ გამართულად ვერ ვლაპარაკობ, მაპატიეო. ეს ისეთი  
სინანულით იყო ნათქვამი, რომ არ შეიძლება ამ კაცს გაორებული აზრი ჰქონდეს.  
პირიქით, მასთან საუბრით რწმუნდები, რომ ოსმალთა გახსენებაც არ სურს,  
სულ გურჯისტანის ამბებზე გადააქვს საუბარი და ასეთი განწყობილება არაძარ-  
ტი მის ოჯახში, არამედ მთელს სამუდროშია დასადგურებული.

— ერთხელ სასიამოვნო ამბავი მოვისმინეთ. — თქვა ორბელიანმა.

— ჩვენმა მომღერალმა პაზირამაც თავისი დიარა-დასტით შემოიარა აჭარა-  
ქობულეთი, მაგრამ იქაური ამბებისა ბევრი ვერა გვითხრა-რა. — თქვა აკაკიმ და  
გვერდით მჯდომ ზაქარიას მიუბრუნდა:

— ამბობენ, ზაქარია, შენც ყოფილხარ აჭარაში... თურმე იმათ ჯამეში ფეხმო-  
რთხმული მაჰმადს ლოცულობდი.

— რას იხამ, როცა ეს ჩვენი ერისათვის საჭიროა, — მიუგო ზაქარიამ —  
თუკი თქვენ, ბატონო აკაკი, ერის გადასარჩენად ბეგრატ მეფეს რჯული შეაცვლე-  
ვინეთ, მე განა დამნაშავე ვიქნები, რომ ქართული მწიგნობრობას გერცელები-  
თვის, ჩვენ ძმა მუსლიმანთა ჯამეში ვილოცო?..

უხერხული დუმილი პლატონ იოსელიანმა დაარღვია:

— ოღონდაც უნდა ვილოცოთ... დიად, ყველგან და ყველასთან უნდა ვილო-  
ცოთ, რამეთუ ჩვენს სისსლსობრივთან, ჩვენს ძმებთან საუკუნეთა წინ დაკარგული  
ნდობა კვლავ მოვიპოვოთ.

აკაკი ზაქარიას მიუბრუნდა და ხელი გადახვია.

— გეზუმრე, ჩემო ზაქარია. გეზუმრე, შე კაცო. ნეტა მეც ასე ვიქცეოდე.  
ჩვენი ერის გამთელებისა და გადარჩენისათვის ყველაფერი უნდა ვიკისროთ,  
ჯამეში კი არა, თუნდაც ჯოჯოხეთში ვილოცოთ.

ორბელიანი ჩაფიქრებულია. ოთახში კვლავ დუმილს დაუსადგურებია. მოხუ-  
ცმა გენერალმა მზერა ჯერ კედელზე დაკიდულ რუკაზე შეაჩერა, შემდეგ გიო-  
რგი ფაშბეგს მიუბრუნდა და უთხრა:

— პაზირა და რედაქტორ-მწერალნი ამ საქმისათვის ფრად ცოტას მოიძო-  
ქმედებენ, პოლილოკონიკო, იქ ახლა თქვენ კაცნი ხამხედრონი უნდა იყვნეთ. ჩე-  
მის აზრით, ძალზე საშური და საჭიროა სიმშაშვილოთა ნათესავების თანხლებით  
აჭარა-შავშეთი მოიაროს ბატონმა გიორგიმ. დიად, სწორედ პოლილოკონიკმა გი-  
ორგი ფაშბეგმა. ამ კუთხეებში ქართველმა საზოგადოებამ სხვა თავისი მოღვაწე-  
ნიც უნდა ვაჰგზავნოს.

\* \* \*

არზრუმის სერასკირს იბრაიმფაშა ფეჰლევანს ცხენების განთქმული მხედ-  
ნავი რეზა-ალი რომ გარდაეცვალა, საგონებელში ჩაეარდა. მან თითქმის 50 წე-  
ლი იმოღვაწა ფაშის კარზე. ათასობით ცხენი გაწვრთნა-გააშინაურა. დიდი ამაგი  
დახლო ამ საქმეს. მაგრამ მის პატრონს, ფეჰლევანს ვერ მოეწელებინა, რომ რეზა-  
ალიმ ერთი კაციც არ გამოხარდა თავისი შემცველი.





ფაშის საჯინბოს დროთა მსვლელობაში უპატრონობა ღაეტყო. დღე გადიოდა, რაღაც არასასიამოვნო ამბავი არ გავგოთ: ცხენი შოიპარეს, ხადირი დაერია, შავმა ულაყმა ფეხი მოიტეხაო და ვინ იცის, კიდევ რას არ ეტყვიან.

— ერთადერთი გასართობი, რაც მაიას მოსწონს, მარალით გასეირნებაო.  
— იტყვია ფაშა.

მართლაც, მეორე წელია, მაია ფეპლევანის წავდა დატყვევებული და ვერა-ფრით მოიგო მისი გული.

ერთ დღეს რეზა-ალი დაბანდო-გაკრივლებულ ცხენს რომ მოუძღვებოდა, გზის ბოლოს, წყაროსთან, ჩამომჯდარ ნამტინალევე მაიას წაადგა თავზე. შეეცოდა მოსუცს გოგონა. ჯერ შორიასლო გაჩერდა, შემდეგ ცხენს დაუწყო თამაში. ბე-დაურთ პატრონის ბრძანებაზე სან ერთ ფეხს გაუწოდებდა, სან მეორეს, უკანა ფეხებზე ჩაიხიქებდა, ვითომც თხოვდა, ზურგზე მომასტიო, გვერდზე გადაწე-ბოდა, თვალებს მილულავდა და თავს მოიმკვდარუნებდა. მაიამ ცალი თვალი გააპარა. რეზა-ალი გუმანით მიხვდა, რომ გოგონას ყურადღება დაიმსახურა, ახლოს მივიდა და უთხრა:

— ასეთი ცხენი ფადიშაჰსაც ენატრება, შეილო, ფაშას ვეტყვი, რომ იგი შენ გაჩუქოს. სულ ორ დღეში შენც ისევე დაგვეება, როგორც მე.

გოგონამ ფართო თვალებით ცხენს გადახედა. ისიც თითქოსდა მიხვდაო, ახალი პატრონის მოლოდინში ყელმოღერებული და ყურებდაცქვეტილი იდგა. მაიამ თავი ჩადუნა, არაფერი უპასუხა.

მეორე დღეს გოგონა ცხენზე იჯდა, წინ რეზა-ალი მოუძღოდა, მაგრამ მაიას გაბედულად ეჭირა თავი, მარალის მაგივრად ცხენისთვის ირემა დაერქმია.

— შენ აგაშენა ღმერთმა, რეზა-ალი! — თქვა ფაშამ, — ამის გაღიმებული სახე რომ დამანახე. მეჯინბე საჩუქრით გაისტუმრა. იმედიც მიეცა, მაია მალე ყველაფერს შეეჩვევა და ცოლობაზეც აღარ მეტყვის უარსო.

მაია სულ ჩაიკეტა ოთახში, როცა გაიგო ირემი გაიტაცესო. გარეთ აღარ გაშლიოდა. ფაშამ საჩუქრად იმაზე ზუთჯერ მეტი ოქრო გადაღო, რაც დაკა-რგული ცხენი ღირდა, მაგრამ მსხნელი არ სჩანდა.

ერთ დღეს ფაშასთან გასარებული მსახური შემოფარდა.

— ქალაქის ოქრომჭედლებთან ერთი შუახნის კაცი გავიცანი, გურ-ჯისტანიდან ვარ, რუსებმა დაჭერა დამიპირეს და გამოვექეციო.

— მერე?

გზაზე ცხენი ავად გამიხდა, ფეხით წამოვედიო. ვხედავ ტყეში თეთრი ბე-დაურით კაცი მოდის, ისეთი ლამაზი ცხენი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო...

— მერე, ხალილ, მერე?

— შევევაჭრე, მაგრამ ამ მომედიო.

ფაშამ ნერვიულად მოიფშენილა ხელები.

— ნეტა მართლა ჩვენი ირემა იყო?

— ნამდვილად, ფაშავ, მარცხენა ყურზე პატარა ღილის მსგავსი ხალი ჰქონდაო.

— ნამდვილად ჩვენია! — იყვია ფეპლევანმა — როგორ ვნახოთ ის კაცი?

— გამოქცეულ გურჯს მე ვნახავ, ფაშავ.

— მერე ცხენის გამტაცებელს როგორღა ვნახავთ?

— ოლთისში მივდივარო, — უთქვამს გურჯისთვის.

— ახლავე გაიქეცი, ხალილ და ის გურჯი აქ მოიყვანე.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, ხალილი დაბრუნდა, თან ეუბოლლი მოიყვანა.





— რაზე მოგიყვანეს, იცი? — პირდაპირ შეეკითხა ფაშა.

— ვიცი, ფაშავ, მე ცხენის დიდი მოყვარული კაცი ვარ და ისიც მისი დაკარგვა რას ნიშნავს. თუ შევძლებ, დაგესმარებთ. თქვენმა მსახურმა ამ საკმისათვის ფული შემომთავაზა, თუ თქვენც ამას გაიმეორებთ, დიდად მასწვენებთ და ახლავე აქედან გავეცდებით.

— ესე იგი, არ გინდა დამესმარო?

— მომეცით ცხენი, გამაყოლებთ ვინც გინდათ და იმდენ ხანს მელოდეთ, რამდენიც აქედან ოლთისამდე ჩასვლა-ჩამოსვლას სჭირდება. თუ გზაზე შეჩერდა, ის კაცი, შეიძლება ადრეც დავებრუნდე.

— თორმეტი საათი, — ჩაილაპარაკა ფაშამ, შემდეგ სტუმარს მიუბრუნდა. — გამტაცებელი ცხენს ასე დაგითმობს? — დაჰქვდა.

— რა თქმა უნდა, არა. არც ფულით დამითმობს, თუ ცხენის ფაზი იცის. ჩვენც უნდა მოვიტაცოთ ცხენი, ფაშავ. — მტკიცედ თქვა ალიმ და სმადამლა დაუმატა: — მე რუსებს გამოვუქმე და თუ ცოტა ხანს შემინახავთ, ჩემი თხოვნა ეს იქნება.

ფეკლევანი გამოცდილი კაცი იყო, ავ-კარგს აღვილად არჩევდა. სტუმარს თვალი თვალში გაუყარა, ახედ-დახედა და უთხრა:

— გენდობი, ვაჟკაცი, არავის არ გაგაყოლებს. აგერ ცხენი, წაიყვანე და თუ ორი ცხენით დაბრუნდები, მთელს საჯინიბოს შენ ჩაგაბარებ. ყოველგვარ ხიფათისგანაც გადაგარჩენ.

ეუბოლლი ცხენს ისე მარდად მოახტა და გაქრა, რაიმეს დაბარებაც ვეღარ მოახსრეს.

\* \* \*

ათი საათიც არ იყო გასული, ფაშას ეზოში ჭიხვინი გაისმა. ფაშა და მსახურები ეზოში გაცვივდნენ. ეუბოლლი ცხენიდან ჩამოქვეითებულიყო, მერე ხელში აღვირით ირემა ეჭირა, რომელიც ფლოქვებით მიწას თხრიდა და ფურებად ცქეკვტილი აივინსაკენ იცქირებოდა. აივანზე ქალებიც გამოფენილიყვნენ, აველა ჩადრში იყო შესუდრული და სახედამალული. სტუმარი ყურადღებით ავერღებოდა ქალებს, მაგრამ როგორ გაარჩევდა მათ შორის რომელი იყო მათი. ცხენოსანმა ერთ მომცრო ქალს დააღვა თვალი. გუმანი კარნახობდა, რომ სწორედ ის იყო. სხვებთან შედარებით თითქოს კიდევ მეტს მოძრაობდა, სიხარულით, ალბათ, ჩიტოვით უფეთქავდა გული.

ფაშამ აღასრულა დანაპირები, ალი სამუშაოდ თავისთან დაიტოვა, საჯინიბოში. მალე გამოცდილმა ცხენოსანმა უფლება მოიპოვა ფაშის არაბული ცხენები გამოეყვანა როგორც დღისით, ისე ღამით. ეს დიდ ნდობას ნიშნავდა. მიუხედავად ასეთი დიდი სიასლოვისა, შეუძლებელი იყო მუდამ ჩადრში გახვეული მაიას დანახვა. კიდევ რომ დაენახა, სახით ვერ იცნობდა. საკმით გართულ ეუბოლლის სახეიროდ გამოსული ქალები სულ ახლოს ჩაუვლიდნენ სოლმე, მაგრამ განგებ არ შეხედავდა, ქართულად იწყებდა ღიღინს, ყვებოდა მაიას გატაცების ამბავს. მშობლების წუხილს, მიანიშნებდა მის დასასხნელად გამოვსავნილი კაცი ვარო.

მღეროდა ეუბოლლი გულის დამწველ სიმღერას სამშობლოზე, მიტოვებულ ოჯახზე, ტოლ-მეგობრებზე, ისეთ ადგილებს ასახელებდა, რომლებიც მართო მაიას შეიძლებოდა სცოდნოდა.

იმ დღეს, როცა ქალებს ცხენებით გასეირნების ნება დართეს, ერთი ქალი გამოეყო ამაღას, იგი ირემაზე იჯდა, მაგრამ ეუბოლლი ფრთხილობდა, რომ შე-



თქმეობადა. სხვა ყოფილიყო და ყველაფერი ჩაიშლებოდა. თვით ეუბოლი კი ფაშის რისხვას და მკაცრ სასჯელს ვერ ასცდებოდა.

— იორულდუმ, ნურიფე (დავიღალე, ნურიფე). — უთხრა მხედარმა შინ მისაველ ქალს, როცა ეუბოლის გაუსწორდნენ.

„იხაა — გაიფიქრა მეჯინებემ, — თურქულიც უჭირს, კვლავ დაკვირვებით მიცქერის“.

— იქმუზდა ოთურან, მაია (შვეიხვენოთ, მაია): — თქვა ნურიფემ.

ქალის სახელის სხენებაზე ეუბოლის გულმა რენხი უყო.

— დამენმარეთ ჩამოსვლაში, — ქართულად შიმართა ქალმა მეჯინებეს და ცხენიდან ჩამოსვლა დააპირა.

კაცი ადგილიდან მოსხლტა. ქალს ხელი შეაშველა და ნურიფესაგან მალულად მაშის წერილი ჩაუღო ხელში.

\* \* \*

ერთ წეშიან ღამეს იბრაიმფაშის სახახლის ალაფაფის კარები გაიღო და იქედან ორი ცხენოსანი გამოიჭრა. არაბულ ცხენზე ეუბოლი ამხედრებულიყო, ირემასზე მსახურის ტანსაცმელში გამოწყობილი მაია იჯდა. მალე გასვლემული ცხენები მხედრებს ხერთვისის, თრიალეთისა და მანგლისის გზებით თბილისისაკენ მიაქროლებდნენ.

ეუბოლი დარწმუნებული იყო, მთავარმართებელი ვერაგული გზით არ იგადრებდა მის ხელში ჩაგდებას. ამიტომ პირადად ეახლა გენერალს, რომლის სახახლეში ელოდა თავადი ფალავანდიშვილიც. მთავარმართებელმა შეასრულა დანაპირები — ყაჩაღს აპატიო ძველი დანაშაული, შეფარველობა აღუთქვა და ტანსაცმელი აწუქა, ამასთან ერთად გასცა ვექსილი, რომ ეუბოლი შეწყნარებულია და სახლდება თავის სოფელ არუხლოში.

იგი ოჯახში დაბრუნდა, მაგრამ დიდხანს ვეღარ გაძლო. ერთ დღეს ნაბადი მოიხსა, ცხენს მოახტა და იმერხევისაკენ გაფრინდა.

\* \* \*

შინდობანში ნურიბეგ ხიმშიაშვილის გამრჯე ხელით გაშენდა თუთის ბაღი, ვენახში ლივანური ყურძენი აქვს ჩაყრილი. სხვებისაგან განსხვავებით, ყველაფერს თვითონვე უვლის. ნურიბეგი მთელს შავშეთში გამოირჩევა. სუსტი აგებულების მიუხედავად, შვებას ფიზიკურ შრომაში ხედავს.

ბევს ახლაც დიდი მაკრატელი გამოუტანია, ზვარში გასულა და ყურძნის სხვლითაა გართული.

მესერს თურქი ჯარისკაცი მოადგა და ნურიბეგს გრძელი გრაგნილი გადასცა.

— კაიმაკამისაგანაა. — თქვა მან.

ბევმა სწრაფად გახსნა ქაღალდი.

არტანუჯის კაიმაკამი ხედრაქ არუთინოლი იბარებდა, ნურიბეგმა ჯარისკაცს მადლობა გადაუხადა, მაკრატელი ჭიგოზე ჩამოიღო და სახლისაკენ გაუყვია.

„დიდი ხანია არ მოუხურვებია კაიმაკამს ჩემთან შესვლად, ალბათ, რაღაც საგანგებო შემთხვევის გამო შეძახის“ — ფიქრობდა ხიმშიაშვილი.

არუთინოლი აღელვებული დახვდა ნურიბეგს, ოთახში ადგილს ვერ პოულობდა. მისალმების შემდეგ კაიმაკამი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— მთელს საკაიმაკამოში ათასორასი კაცი უნდა გამოგვეყვანა ასკერში და



ორასიც ვერ გამოვყვანეთ. დღეს თქვენი მაზრიდან ამჟამი მომივიდა, ჯარში გა-  
საწვევი აოცვითი ახალგაზრდა სახლში არ არის, ყველა იძალდება.

— ვე შე აო. ვიცოდ, სედაქაქე. — თქვა ნიბთიასეილა.

— სით უარეა, სურიიუკ, ძეს ართეიის ძარაის სილიცია გაბარია, მთელი  
შაშეთის მშათველი ხარ, და უხდა იცოდ, რა სდება შესა ხაძიედი — კაიმაკამა  
ხმას აუმაღლა.

— ჯერჯერობით მილიციისათვის რედიფთა გაწვევა არავის დაუვალებია.  
თუ ასეთი ზომანება იქნება, ამასაც ისევე ერთგულად აუხარულებთ, როგორც  
დიდი სულთანის სსვა დავალებებს. — გაძეულად უაასუსა ნიბთიასეილა.

— მართო ასკერში წასვლაზე თავის არიდება რომ იფოს, კიდეც მოითმენდა  
კაცი. ხალხი საერთოდ ურწმუნ, ყველამ გაიგო, ალბათ, ბაღე თმიც დაიწვევდა,  
რადაცის მოლოდინში არიან.

— თუ თმის დაწყება იციან, ცხადია, მოლოდინიც ექნებათ, განა ჩვენ არ  
ფელოდებით ფადიშაჰის ძლევაშილ გამარჯვებას? — სიტყვა ბანზე ააგლო  
სურიბემა.

არუთინოლი ნურიბეგის ნათქვამს ჩაუღრმავდა, თითქოს უნდოდა გაეგო, ბევი  
გულით ელოდა ფადიშაჰის გამარჯვებას, თუ მის სიტყვებში ირონიაც ერია.

— როცა ახალგაზრდობა ჯარში არ მიდის ის ფადიშაჰისთვისაც კარგს არა-  
ფერს ჩაიდებს. ჩვენამდე მოვიდა ხმები, რომ ბევი გასაწვევი ემრულა ქიბარი-  
ლის ბრბოში შესვლა, სოფლებში დადიან და ხალხს აგულიანებენ, ჯარში არ  
წახვიდეთო.

— ეს მეც გამიგონია. — თქვა ნურიბემა.

— ემრულა ისე გათავსდეს, რომ მდიდრების სახლებზე დაცემას და ქონების  
წაღებას აღარ სჯერდება. ახლა მეჯლისსაც აღარაფრად აგდებს. ჩვენს გაცემულ  
კანონიერ საბუთებს ხალხს თავზე ასვენს და თვითონვე აძლევს თავის სიგელ-გუ-  
ჯრებსა და ფირმანებს.

— ბეჭდიც ჰქონია, — შეაწყვეტინა ნურიბემა — და თავის გაცემულ ქაღალდს  
ამ ბეჭდით ამავრებს. ასეთი კაცი მართლაც საშიშია.

— სანამ ემრულა თარეშობს, ჩვენ ვერც ჯარში გავიყვანთ ხალხს და ვერც  
წესრიგს დავამყარებთ, ამისათვის კი მძიმე სასჯელი არ აგვცდება, ნურიბე.

— ახლა მაგ თავზეხელაღებულ კაცთან ბრბოლა ჩვენ უარეს დღეში ჩაგვაგ-  
დებს. რადაც სსვა უნდა მოვიფიქროთ.

კაიმაკამი ჩაფიქრდა.

— მაინც რა? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ — მისი ძალით ხელში ჩაგდება  
არ გამოვიყვან. მე სსვა გზაც მოვსინჯე, მიუგზავენ ხალხი, მაგრამ... ამას ორი  
კაცი უკვე შეეწირა.

— იქნებ შევირიგოთ და... — აღარ დაამთავრა ნურიბემა.

არუთინოლი კვლავ ჩაფიქრდა.

— ერთადერთი გზაა, შევირიგოთ და ჩვენი საქმისათვის გამოვიყენოთ. თუმც  
არც ეს არის ადვილი, არ გვენდობა.

— სწორი ბრძანდებით, მაგრამ მოინახება კაცი, ვინც ემრულას შემთირიგებს.  
ეს თუ შევძელით, დარწმუნებული ვარ, ხალხის ჯარში გაწვევაც აღარ გაგვი-  
ჭირდება.

— ეს როგორ? — გამოცოცხლდა კაიმაკამი.

— თუ ემრულა შემოვირიგეთ, თვითონვე უნდა დაგნიშნოთ ათასისთავად.  
ყველა აღამიანს მეტნაკლებად აქვს აღმასვლის სურვილი. ამ მხრივ არც ემრულაა  
გამონაკლისი. იგი არც ისეთი მხეცია, რომ ასეთი დიდი პატივისცემა არ დაგიფაზოს.



— სწორი ბრძანებაა. — თქვა კაიმაკამმა, — მაგრამ სად ნახავ ისეთ ვინც ამ ყაჩაღს შემოგვირიგებს?

— აჲ უკვე სოფიფიქრე, — დაამიღა სიმშიაშვილმა.

— ვინ არის? — ჩქარობს არუთინოლი.

— ყურადღებით მისმინეთ სედრაქბეგ. — სმადაბლა უთხრა სიმშიაშვილმა და სკამი კაიმაკამისაკენ მიაწონა. — გურიაში ცხოვრობს ჩემი დის შვილიშვილი, მამაცი და გაბედული ჭაბუკი კოწია ერისთავი. იგი ადრეც გადმოდიოდა ჩემთან, როგორც სტუმარი და ნათესავი. მგონი ახლაც, ვითარების გათულების მიუხედავად, არავინ აუკრძალავს კვლავ ჩემთან ჩამოვიდეს.

— საშიშია, ნურიბეგ... ემრულასთან იმას რა საერთო აქვს? — აღარ აცალა არუთინოლი.

— საქმეც ესაა, ბეგო. სრულიად შემთხვევით ტყვეში ჩემსკენ სტუმრად მომაგალს, ემრულას ბიჭები დასცემიან და მეთაურთან მოუყვანიათ. იქ როცა დარწმუნდნენ, ჩემი ნათესავი იყო, სელი ადარ უსლიათ, პირიქით, პატივი უციათ და დამეგობრებულან. ერთმანეთისთვის პირობა მიუციათ კვლავ შესვენებისა და როგორც გადმოვიდა ჩემმა ხალხმა, რამდენჯერმე კიდევ შესვენდრიან.

— საინტერესოა, — ჩაფიქრდა სედრაქბეგი, — მაგრამ მაინც საშიშრად მიმაჩნია, მაფიქრებს მასთან ემრულას დაახლოება.

— გასაკვირი არაფერია, — მშვიდად მიუვრა ნურიბეგმა, — მართალია, ემრულა ავაზაკი და გადაგვარებულია, მაგრამ იმდენი ჭკუა აქვს, რომ საკუთარ თავზეც იფიქროს. მას სჭირდება კოწიასთანა ვავლენიანი კაცი, რომელსაც შეუძლია რუსების რისხვისაგან დაცვა. კოწიას მეშვეობით, ალბათ, ფიქრობს, რომ ჩემთანაც არ ექნება ცუდად საქმე. ყველაფერს რომ თავი დაჟანგბოთ, ერისთავი ჩვენც გეჭირდება. თქვენთვის არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ნათესაობის სათრით და ახალგაზრდული გულბრწყვითობით, მას შეუძლია ბევრი საინტერესო რამ გვითხრას სწორედ ამ რთულ ვითარებაში. თუ ამას დაუმატებთ, რომ მამამისი, დავით ერისთავი, გურიის თავადაზნაურობის წინამძღოლი და რუსეთის ადმინისტრაციაში ძალზე გავლენიანი კაცია, თქვენთვის ვგონებ გასაგები უნდა იყოს, იმ ახალგაზრდის დაახლოება რა დიდ სარგებლობას მოგვითქვანს.

საუბარი იმდენად დამაჯერებელი, გულანდილი და დასაბუთებული იყო, რომ კაიმაკამს ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა და დათანხმდა, ემრულასთან შეამავლად ერისთავი გაეგზავნათ.

მაღე არტანუჯში სმა გავრცელდა: ემრულა ქიბაროლი თავისი ოცდაათ-კაციანი რაზმით ნურიბეგ სიმშიაშვილთან გამოცხადდა, იარაღი ჩააბარა და პატიება თხოვა. ბეგმა არტანუჯის კაიმაკამთან ჩაიყვანა და შეარიგა, კაიმაკამმა მადლობის ნიშნად ემრულა ბინძავად დანიშნა, სელფასი მისცა და ჯარის შეგება დაავალაო. ემრულა შეპირდა. დილით თავისი რაზმელები სოფლებში დაგზავნა და საღამომდე იქესასი რედიფი მოაგროვა, სულ მის ჯარში ათასამდე კაცი იქნებაო. ამ ამბავმა სულთანის ყურამდევ მიიღწია. მან ფირიც სარაჯოლის დაავალა ნურიბეგის დაჯილდოება. რედიფებს ახალი თოფები დაურთიეს.

საქმე მართლაც კარგად აეწყო. მაგრამ სულთანის სამსახურში მყოფი და მისი ყურმოჭრილი მონა რენეგატი სედრაქ არუთინოლი ძალზე ცბიერი კაცი იყო. ასე აღვილად ვერც ნურიბეგს და ვერც ტყეში გაჟარდნილ აბრაგს ენდობოდა. იგი ახლა იმის ფიქრში იყო, ემრულას ათასეულში სანდო ჯაშუშებად ვინ შეეგზავნა.

ნურიბეგსაც თავისი საფიქრალი გასჩენოდა. გურჯისტანიდან სტუმარს ელოდა, სოლო მალაყმაძე ჯერჯერობით გულმოდგინედ ასრულებდა სულთანის მოსვლეთა დაგეგმვებს. მერე... მერე დაელოდებოდა, რა ურჩევდა სიმშიაშვილი.





ანაკლიის ნავმისადგომთან ფელეუკებს ერთი იალქნიანი ნავი გამოეცა. მენა ვეკებმა სავი ორას მეტრზე ზღვაში შეაცურეს. ზურგქარმა რომ დაბერა, იალქანი გაძალეს, ერთმა საჭე დაიჭირა, სოლო ძეორე სორიასლო მოუჯდა, თუთუნის ამოიღო და ნავში მეოფ ერთადერთ მგზავრს მიაწოდა.

— მოსწიეთ, ბატონო.

— გმადლობთ, არ ვეწევი. — უბასუბა მგზავრმა, შლაპიანმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც პიჯაკის შიგნით ეილეტი და საათის ძეწკვი მოუწანდა.

ერთმა მენავემ მგზავრს შეხედა, მერე ამხანაგს მიუბრუნდა და ლაზურად ჰკითხა:

— ვინ უნდა იყოს ეს კაცი, ბაღუ?

— ვიღაც გამოქცეულია, იქნებ ყაჩაღიცაა, ვინ იცის.

— შენც ერთი!... ამის ნაყაჩაღარი რა უნდა იყოს!

— იქნებ კაცის მკვლელია?

— ახლა შენ ამას კაციც მოაკვლევინე! ამის მოკლული, ჩემო კარგო, მეორეჯერ მოსაკლავი იქნება.

— ასეა თუ ისე, რაკი გამოქცეულია, ფული ექნება, შეიძლება ბევრიც. წა-ვართვათ და ზღვაში გადავაგდოთ. შეგერჩება.

— რას ამბობ, კაცი, ეს როგორ შეიძლება?! რომ გაგვივონ, ხომ მოგვეჭრა თავი სამუდამოდ!

— მაშ, შენი აზრით, ვინ უნდა იყოს ეს კაცი?

— ამბობენ, ფადიშაჰს გურჯები და ლაზები აუჯანყდნენ, გვეოფა რაც იბატონო. ახლა გურჯებს გურჯებთან უნდათ ერთად ცხოვრება და ლაზებს ლაზებთან. ორივეს ერთად. თუ არ დაგვიჯერებ, შენ ტახტიდან უნდა ჩამოგაბრძანო. ეს კაციც ღუშმანი იქნება ფადიშაჰისა... შენ რას იტყვი?!

— რა ვუთხრა იმ ფადიშაჰს, ვისაც ამისი შეეშინდება, ან ვისაც ეს კაცი რასმე დააკლებს... ისე, რომ ვიცოდე, მართლა ფადიშაჰის მტერია, თან გაღაფევი.

მოსაუბრენი კვლავ გაჩუმდნენ.

ამასობაში ნავი ნაპირს მიუახლოვდა. ჯერ გონიოს ციხე, შემდეგ კი სოფელი გამოჩნდა.

— რა სოფელია? აქედან ბორჩხა შორსაა? — მეგრულად იკითხა მგზავრმა. მენავეებმა გაკვირვებით შეხედეს ჯერ მგზავრს, შემდეგ ერთმანეთს. დიდ-შანს ხმა ვერ ამოვლით. ბოლოს ნიაზმა დაარღვია ღუმლი:

— შენ საიდან იცი ლაზური? — ქართულად ჰკითხა.

— საიდან და მეგრული ვარ. მეგრული და ლაზური რამ გავო!

— მაშ, ჩვენი ნათქვამი ყველაფერი გაიგონე?

— რა თქმა უნდა.

— მერე? — იკითხა ბაღუმ.

— მერე არაფერი. განა არ ვიცოდი, რომ ვინც არც ყაჩაღად ვარგა, აღარც კაცის კვლა და ფადიშაჰის ღუშმანობა შეუძლია, ასეთი კაციხატვის ხელს არ გაიხვრიდით!.. ფული რომ მოგეთხოვათ, სულ 15 მანეთი მაქვს, ამოვიღებდი და მოგცემდით. თუ გამძნრეკდით, დარწმუნდებოდით, რომ მეტი არ მქონდა. შეიძლება შეგცოდებოდით და ფული აქეთ მოგეცათ. ისე, ძალიან კი გინდოდათ ჩემი უინაობის გაგება, ამიტომ გეტყვით, რომ კაცი ჩემს ღლეში არ მომიკლავს, სხვი-სთვის რაიმეს წართმევა აზრად არასოდეს მომხვლია, მაგრამ, მაგრამ... ფადი-



შაჰის მტრობა მაქვს და ხანამ ცოცხალი ვარ, მექნება. აბა, სწორედ ჩემისთანა-  
ბი, შენისთანები არიან, ბაღუ, ფადიშაჰს მტრებად რომ ჰყავს და ეშინია  
შენავეებს თაქი ჩაუქინდრიათ, გრძნობენ, რომ ამ კაცს გულში წყენა არა  
აქვს და გულახდილად ესაუბრება. ბაღუ გაუბედავად შეეკითხა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო?

— ხეთელი მღვდლის ტიმოთეს შვილი ვარ, თაბუ სამუშია.

— ახლა ხად მიბრძანდებით? — ეკითხება ნიაზმა.

— თქვენი საუბარი რომ არ მომესმინა, ამ შევითხვავარ არ გიპასუხებდით.  
მაგრამ ვიცი, ფადიშაჰი და მისი კანონები არც თქვენ მოგწონთ და გეტყვით: იმე-  
რსევეში ნურიბეგ ხიმშიაშვილს უნდა ვეწვიო. ალბათ, იცით, აჭარა-ქობულეთში  
ხალხი აჯანყდა, ძაღვ ომიც დაიწყო და... იქნებ გეშველოს და თქვენც და  
აჭარლებიც გათავისუფლდნენ ოსმალოსაგან.

— შორი გზა გქონიათ, თაბუ ბატონო. — უთხრა ნიაზმა. აგერ, ამ სოფლი-  
დან, გონიოდან, ჭოროხის აღმა ნაკვები მიდის. ან იმათ უნდა გაყვით, ან ცხენი  
უნდა იქირაოთ. ჯერ ბორჩხაში უნდა ახვიდეთ და შემდეგ იქედან შინდობანში,  
ნურიბეგთან, იქაა მისი სახლ-კარი.

— თქვენი ჭირიშე, — შეეხვეწა სამუშიას ბაღუ, — ნურიბეგს არაფერი უთ-  
ხრათ, თორემ დაგიღუპებთ.

თაბუს გაეცინა.

— პირობას გაძლევთ, არაფერს ვეტყვი.

ლაზებმა მგზავრი ნაპირთან ჩამოხვეს, კეთილი მგზავრობა უსურვეს და  
ნაგა უკანვე ზღვაში შეაცურეს. თაბუ გონიოს ციხესთან შარას გაუფვა და თვალს  
მიეფარა.

შენავეები ერთხანს ხმას არ იღებდნენ.

— ვითომ არ ეტყვის ნურიბეგს? — იკითხა ბაღუმ.

— არა, მგონია, — უპასუხა ნიაზმა.

— მე კი მგონია, რომ ყველაფერს ეტყვის და ჟოულს შავშეთში და ლაზის-  
ტანში ყველა გაიგებს ჩვენს ავკაცობას.

— რა ექნათ?

— ავიდეთ ნურიბეგთან და ყველაფერი ჩვენ თვითონ ვუამბოთ, როგორც  
თქვით.

— ათი ჯოხი მაინც მოგვხვდება.

— ჯანდაბას, ამას გაუძლებ და სინდისიც აღარ შეგეაწყუბებს.

— წავიდეთ. — უთხრა ნიაზმა და ნავი ჭოროხის ნაპირისაკენ მიაბრუნეს.

\* \* \*

სანამ თაბუ სამუშია კაპანდიდში გავიდოდა, ხანდა კაცს მონახავდა, ცხენს  
გამოართმევდა და გზას გაუყვებოდა, ბაღუმ და ნიაზმა ჭოროხელ მენავეებამდე  
მიადწივნენ. ართვინამდე აგვიფვანეთო, თხოვეს, თან შეპირდნენ, ნავის მართვაში  
დაგვემარებითო. ჭოროხის აღმა ნავის აყვანა ღიდ ძალას მოითხოვდა და მენავე-  
ებიც აჩაღვარდა, ჯან-ღონით სავსე ბიჭებს სიამოვნებით დათანხმდნენ.

მეორე დღეს ბიჭები ნურიბეგის კარმიდამოს მიუახლოვდნენ და მიღება  
თხოვეს.

ლაზებმა ბეგს ყველაფერი გულახდილად უამბეს, საუბრის დროს ხიმშიაშ-  
ვილს სახეზე ემჩნეოდა სიხარულიც, წყენაც, გაბრაზებაც.

— მერე და, ჩემთან რაღაზედ მოხვედით? ხომ შეგეძლოთ არ წამოსულიყა-  
ვით და მშვიდად ყოფილიყავით?





— ვიფიქრეთ, სტუმარი სიმართლეს არ გეტყვოდათ და გადავწყვიტეთ, **დავადგინოთ** დადგინოთ.

— თქვენისთანა მასპინძლებს მარტო გაუფრთხილებელი ლაყბობისათვის იკუთვნის სასჯელი, თუ აღარაფერს ვიტყვით სტუმრის შეურაცხყოფაზე.

ბაღუ აიძრისა.  
— სასჯელის რომ შეგვმინებოდა, თქვენთან არც მოვიდოდით. სიმშაშვილმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა ჯან-ღონით საფე ლაზები, ოღ-ნავ გაიღმა და ჰკითხა:

- ჯარში გინდათ სამსახური?
- სულთანის ჯარში? — გაიკვირვეს ბიჭებმა.
- არა. ჯარში, რომელიც ჩვენს მიწა-წყალს და ჩვენს სალხს იცავს.
- ასეთ ჯარში მართლაც ვიმსახურებთ. — გაუბედავად თქვა ნიასმა.
- მეც თანახმა ვარ! — კვერი დაუკრა ბაღუმ.
- თანთო! — გასძახა ნურიბეგმა და ოთახში შეიარაღებული ემაწვილი შემოვარდა. — გაპყვევი ამ ბიჭებს და ბინბაშთან მიიყვანე. ლაზები ბევს გამოემშვიდობენ და თანთოსთან ერთად გავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ნურიბეგის სასლს ვეროპულ ტანსაცმელში გამოიწვობილი დაღლილი ცხენოსანი მოადგა. იგი თაბუ სამუშაო იყო.

\* \* \*

ფურტიოდან სულ რაღაც ერთი საათის სავალზე ვიწრო, მწვანე ტყით შემო-ხილ სეობას და საბაშეთის ჭალებს როგორც კი გასცდებით, ჯერ გამოჩნდება უგუმბათო, ორპირად ჩამომავალი შენობის სასურავი, ცნობილი სხალთის ტაძარი, შემდეგ დელეზე გადმოძვარი წისქვილი და პატარა ორსართულიანი სასლი, რომელიც სიმშაშვილთა სასტუმრო-სამოსაფეროა, გვერდით კი ასევე ორსარ-თულიანი, მაგრამ შედარებით დიდი სასასლეა, სადაც შერიფბეგის მრავალრიც-ხოვანი ოჯახი ცხოვრობს. შენობები გარედან შებათქამებულია, რაც მათ განსხე-ვებულ იერს აძლევს.

ქვემოდან სასასლეს სამი ცხენოსანი მოადგა. ნაცმულობითაც დარწმუნდ-ბოდა მნახველი, რომ წინა ცხენოსანი მსხვილი, ლოყებლავაჟა, შუახნის, მდი-დრულად მოხირმულ ნაქვურაში გამოწყობილი კაცი თავადზე ნაკლები წოდებისა არ უნდა ყოფილიყო. მეორე მხედარი გრძელუღვაშა, ჩონჩახალუსიანი ბრეგ კაცი იყო, კისერზე თეთრი ყაბალახი ჰქონდა გადადებული. უკანა ცხენზე შავ-ზუბუნიათი და ძიქვა შარვალში გამოწყობილი კაცი იჯდა.

ცხენოსნებს წისქვილთან შერიფბეგის მსახური შეხვდა. მან გულზე ჯვა-რედინად ორივე ხელი მიიღო, წელში მოიხარა და სტუმრებს მდაბლად თავი დაუკრა.

— მობრძანდით, ბატონებო, ბევი ეზოში გელოდებით. სტუმრები ჩამოქვეით-დნენ და დამხედურს მიესალმნენ. მსახურმა ცხენები ჩამოართვა და იქვე მიიბა.

ამასობაში ეზოს კარი გაიღო და იქედან საშუალოზე მაღალი, წარმოსადგევი კაცი გამოვიდა ხელებგაშლილი, სახეგანათებული პირდაპირ სტუმრებისაკენ წამოვიდა.

— შენს სიცოცხლეში მაღლი რომ არ ქნა, ჩემო გრიგოლ, სამოთხეში წახ-სვლელად მარტო ეს სტუმრობა გეყოფა. — უთხრა და გადაეხვია.

— დიდი ხანია მინდოდა შენი და სხვა მოყვრების მონახულება, მაგრამ მო-გესხენებო, ჩემო შერიფბეგ, როგორ ძნელია თქვენამდე ჩამოღწევა.



მოყვრები ერთხელ კიდევ გადაეხვივნენ ერთმანეთს. შემდეგ ბევმა გრიგოლს ხელი უშვა და ასლა ძეორე სტუმრისაკენ მიბრუნდა. იგი მოშორებით გაჩერდა და დაიწყო.

— ეს ჩემი მუდმივი თანმხლები მსასურია. ჩვენთან, გურიელების ოჯახში ადრეველი გორჯასპ ყაჭვიშვილი, — გააცნო გრიგოლმა.

მსასურმა მღაბლად თავი დაუკრა ბევს, რომელიც მასთან მივიდა, მაგრამ ჩამოართვა სელი. ორივეს მხრებზე ხელი გადასდო და სასლში მიიწვია.

— ბიჭო, აღიადგე, შენ კინაღამ დამავიწყდი, გრიგოლი შენ მასტუმრე, თორემ ვინ იცის, ვსაზე სად გაჩერდებოდა, მაგას მეგობრები აჭარაში არ გამოეღევა. — უთხრა შერიფბეგმა მესამე სტუმარს, აღიადგა სირაძეს.

ყველანი სამოსაფეროში შევიდნენ. შენობა შიგნიდან ზეთის საღებავითაა შეღებული. დიდი ფანჯრები აქვს, ფართო სასტუმრო ოთახში გრძელი მაგიდა და მაღალსასურგიანი სკამები აწყვია, იატაკი და კედლები სულ ხალიჩებით არის მოფენილი. კუთხეებში რბილ ტახტზე მსხვილი სავერდის მუთაქები აწყვია. ცარიელ კედლებს ნახატები ამშვენებს.

გრიგოლ გურიელმა ოთახში შესვლისთანავე კარების პირდაპირ დაკიდულ ნახატს ჰკიდა თვალი. იგი აკვარელით შესრულებული ლამაზი ქალის პორტრეტით იყო.

— ეს რომელიმე ჩემი ნათესავთაგანი უნდა იყოს, შერიფბეგ.

— არ შემცდარხარ, გრიგოლ, ეს მამაშენის მამია — კესარიია, ბიძაჩემის აბლის ცოლყოფილი. მე ის მხოლოდ ერთჯერ ვნახე. ჩაქვში, ჩემს დედალეთში, ახალგაზდობისას, შემთხვევით, როცა უკვე ბიძაჩემზე გაყრილი იყო, მაგრამ სახე ისე დამამახსოვრდა, რომ..

— დახატა კიდევ, — დააწრო სირაძემ, — მე ვიცნობდი კესარიას ხანუმს, ნახატიც ძალიან ჰგავს. აი ეს ყველა შერიფბეგის მსატყრობაა. — ირგვლივ მოატარა ხელი აღიადგამ.

— აფერუმ, ჩემო შერიფ. ვიცოდი, რომ შენ ღურგალი და მჭვლედი იყავი, მაგრამ მსატყრობაც თუ გესწერებოდა, ღმერთმანი, ვერ ვიფიქრებდი.

— რაკი ასე მოგწონს ჩემი ხელობა, მობრძანდი, გრიგოლ ბატონო, დავათვალიეროთ ჩემი სახლეულობა.

— სიამოვნებით. — უთხრა გრიგოლმა და წამოდგა.

— მაგრამ ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილო, ჩემო ბატონო, ქალი უმზოვო შემსვლა და ქონებაც იმისდაგვარი გამაჩნია. — გაიღიმა ბევმა და მეორე ოთახისაკენ გაემართა.

— მაგას ვერ დაგიჯერებთ, შერიფბეგ. მე როგორც ვიცი, თქვენი ქალბატონი შეძლებული ოჯახიდანაა.

— მართალი ბრძანებაა, გრიგოლ ბატონო, მაგრამ იცით, სად წავიდა ჩემი ცოლის მზითვეი?

— სად? — იკითხა სტუმარმა.

— ბარათაულის წყალზე იმ წელიწადს კაცი დაიხრჩო. როგორც კი მექორწილე და მზითვეით დატვირთული ცხენები იმ ადგილს მოადგნენ, ჩემმა ქალბატონმა შეჩერება ითხოვა. მდინარის პირას მიიყვანა მამამისი, ძმები და უთხრა: ამ მზითვეით ხიდი ააშენეთ. თუ უარს მეტყვეობ, მე აქედან ფეხის გამდგმელი არ ვარო. რა გაეწყობოდა, ჩემი შუამავლები და თავკაცები მოიხსეს, ბოდიში მოუხადეს და ქალის განზრახვა გაუხილეს. იმათაც იცოდნენ, არაფერს ვიტყოდი და მზითვიანი ცხენები შეჩეთისაკენ მოაბრუნეს, მზითვეი იქვე ცარიელ ღუქანში შეინახეს, მერე გაყიდეს და იმ ფულით მშენიერი თადიანი ხიდი ააშენეს.

— ქალობაც ასეთი უნდა! — აღტაცება ვერ დამალა გურიელმა.



მეორე ოთახში ბეგმა სტუმრებს აჩვენა მის მიერ კაკლის სისვან ნატიფად დამზადებული რამდენიმე სკამი და დივანი. კედელზე მკვიდრად იყო ოქროს ზარნიშით და ვერცხლით შემკული ხმალი, ესეც მასპინძელს გავ-კეთებია. დახურულ ღერეფანში კვარცხლბეკზე დგას პატარა ზარბაზანი, რომელიც სვეს სპილენძისაგან ჩამოუსხამს. კვლავ ხასტუმროში ბრუნდებიან, მაღალ კარა-ღაში ქართული, რუსული, სპარსული, თურქული წიგნები აწევია. აქვეა სქელი შავფიანი წიგნიც. სტუმარმა მასზე შეაჩერა ყურადღება, რაც ბეგს არ გამო-ჰარეცია.

— ეს ყურანია, გრიგოლ ბატონო, — მე მასში ვეძებ შინაგან აზრს და არა ცრურწმენას. ჩემის გაგებით, ყოველ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, უნდა სწა-მღეს ღმერთი და თავისი რელიგია, მაგრამ არასოდეს არ უნდა გასდეს რწმენის ყურმოჭრილი მონა.

— მართალი ბრძანებაა, შენი რწმენა ამ წიგნებშიც სჩანს. — გრიგოლმა ახ-ლა ქართულ წიგნებზე მიუთითა, გოგებაშვილის „ბუნების კარის“ პირველი გამო-ცემა აიღო ხელში. პირველივე გვერდზე გაუბედავი ხელით ბავშვებს სახელები მოეწერათ: „მურთაზი“, „ფატმა-ბატი“.

— რუსულიც იციან? — კითხულობს გურიელი და ხელში უშინსკის „როდ-ნია რენს“ იღებს.

— რუსულ ენაში მეცადინეობა ბავშვებმა ამ ორი თვის წინ დაიწყეს. — უმასხუხა ბეგმა.

— ვინდა ასწავლის? — გაიკვირვა გრიგოლმა.

— ერთი მუსულმანის, ახალციხის სკოლის ყოფილი მოსწავლის წყალობით უკვე კითხულობენ, ცოტას რუსულად ლაპარაკობენ კიდევ.

მეზობელი ოთახიდან საკრავის ხმა გაისმა.

— მუსიკოსებიც ცყოლიათ. — ამბობს გრიგოლი.

— ცუდი მუსიკოსები, — დაასწრო მასპინძელმა, — სხვა ვერავინ ვნახე, ერ-თი თურქი მოვიყვანე და ის ასწავლის. საკრავები კარგად ვერ შეაჩნია, ამიტომ არ გამოსდით.

— არა უშავს რა, ისწავლიან. — დაამედა გურიელმა.

— ამაზე დიდად არც ვდარდობ, — თქვა შერიფბეგმა — ჩემთვის მთავარია ბაღდებმა ქართული ენა, წერა-კითხვა იცოდნენ. ისინი დიდხანს არტაქანში მყა-ვდა, ამიტომ მშობლიურ ენაზე ცუდად ლაპარაკობდნენ, ახლა არა უჭირთ, ისწავ-ლებს დედა ენა.

შემდეგ მასპინძელმა სტუმრებს სულთანის ფირმანებით სავსე უზარმაზარი სკოფი აჩვენა და სხვა ოთახში შეუძღვა.

— საქალებშიც შევიდეთ. შენ, როგორც ჩემს ნათესავს, ჩემი ქალი არ მო-გვრიდება. — მიმართა გრიგოლს შერიფბეგმა.

ალბათ და გორჯასში ხასტუმრო ოთახში დარჩნენ.

საქალებო ოთახი სიდიდით არ ჩამოუვარდებოდა სამოსაფეროს. ისიც ნოსე-ბით არის მოფენილი. ერთ კედელთან დიდი, ხის ჩუქურთმებიან ჩარჩოში ჩასმუ-ლი ხარკე დგას, აქაც სხვადასხვა ფერის მაუღვაკრული და ხალიჩაგადაფარებული ტახტებია. ფეხებდაგრებილ პატარა მაგიდებზე ქალების წერილმანი ნივთები და სამკაულები აწევია.

შერიფბეგის მეუღლე შუა ოთახში შეეგება სტუმარს.

თეთრგერემანი, საშუალო ტანის, საკმაოდ ლამაზი ქალია რუსსეთ-ხანუმი. შავი ფორკა აცვია. შიგნით დიდრონი ოქროს მძივები უბრწყინავს. თავზე კამკამა ციციქალა აქვს შემოხვეული, წელზე ვერცხლის საკიცი ქამარი, ათასგვარი ფიგუ-რებით და სამკაულით დამშვენებული. ფეხზე ატლასის საზაფხულო მაშეები აც-



ვია. ხანუშის გარდა, ოთახში სამი ახალგაზრდა ქალი დახვდათ, შერიფბეგის რძლები, სამთავეს ერთნაირი ვარდისფერი თხელი ზაფერდის დაქარგული აცვიათ. ისინი ქალაღლის თამაშით იყვნენ გართულნი.

რუსხეთხანუშმა ტუნებზე აფარებული ციცაქალა ჩამოიწია და სტუმრებს მომღიმარე სახით, მოკრძალებით თავი დაუკრა. რძლებმაც მას მიბაძეს.

— ეს არის ჩემი მეორე ცოლი გრიგოლ ძიავ, ყირიმის ომის დროს სხალთი-დან სოფელ ჭალაში გავიხიზნე, იქ მქონდა მაშინ საკაიმაკამო. ძენწმანვლებთან ჩემს ძველ ნათესავებთან ვცხოვრობდი (ჩემი ბებია, სელიმფაშის ცოლი, ამ გვარი-დან იყო), მაშინ მომეწონა, მაგრამ სხვამ წამართვა. შემდეგ ის „სხვა“ ომში დაი-ღუპა და მისი უმზითვო ქვრივი მე წამოვეყვანე.

ხანუშმა ჯერ საყვედურით შეხედა მეუღლეს, შემდეგ გაიღიმა და მორცხვად დასარა თავი.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, — მიმართა ქალს გურიელმა, — იმედია, მო-მაეალში ჩვენს ოჯახსაც ეწვევით. აი მაშინ მეც მოგიყვებით ჩემი ხანუშის შერთ-ვის საინტერესო ისტორიას.

— თქვენი მობრძანებაც ჩვენს ოჯახში კეთილი იყოს. ღმერთის დახმარებით მისვლა-მოსვლა გააღვიდლებათ, ნათესავები ერთმანეთს გავიცნობთ და თავსაც აღარ მოგანატრებთ — უპასუხა დიასახლისმა.

— ღმერთმა გისმინოთ! ჩემმა სახლობამ თქვენთან დიდი მოკითხვა და თქვენი ფრიად კარგად ყოფნის სურვილი დამაბარა. როგორ ვიკითხოთ, როგორ ბრძანდებით, ქალბატონო? — მოიკითხა ბოლოს გრიგოლმა.

— ბრძანება თქვენი, ღმერთის წყალობით, კარგად ვართ. ჩვენგანაც თქვენს ოჯახობას დიდი მოკითხვა გადაეცით.

— აბა, ახლა სტუმრებს საჭმელი მივართვათ. — თქვა შერიფბეგმა და გრი-გოლი სასადილო ოთახში გაიყვანა, აქვე იყვნენ გორჯასპი და ხირაძე.

ოთახში შევლივით მარდი, ტანმალალი მსახური ქალი შემოვიდა. მას ერთ ხელში სპილენძის დიდი, მოკალეული ლანგარი ეჭირა, მეორეში სპილენძისვე თუ-ნგი. მზარზე თეთრი ხელსასოცი ჰქონდა გადადებული. იგი გურიელთან მივიდა და ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

— ხელები დაიმშვენეთ. — მიმართა თავადს რუსხეთხანუშმა.

გრიგოლმა ხელები შეიმშრალა თუ არა, ახლა ქალი რეგრიგობით ჯერ გორ-ჯასპთან, შემდეგ ალიაღასთან მივიდა და იქაც ასევე ჩაიმუხლა.

როცა სასადილო ოთახში ყველანი მიუსხდნენ დიდ მრგვალ სუფრას, ხანაშ ჭამას შეუდგებოდნენ, წამით სიხუშე ჩამოვარდა, რომელიც კვლავ რუსხეთხანუშ-მა დაარღვია:

— იგუნებეთ, ბატონებო! — ბრძანებასავით გაიხმა მისი ხმა.

— აქ კაიმაკამი ჩემი ქალია. — იხუმრა შერიფბეგმა და დიდი ჯვარდასხული კეცის ჭაღი შუაზე გადატეხა.

სადილის შემდეგ სტუმრები შერიფბეგმა ტაძრის დასათვალიერებლად წაიყ-ვანა. ეკლესია შოგნიდან მთლიანად ფრესკებით იყო მოხატული. საღვთაუი ზოგან ჩამოშლილი, ზოგან ადამიანის ხელს შეურყვნია, მაგრამ მხატვრობას სილამაზის კვალი მაინც აზის. კარების ნიშში დახატულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. კარებზე აღბეჭდილ სატებს ქართული და ბერძნული წა-რწერები აქვს. თაღის სიღრმეში იესო ქრისტეა დახატული, რომელსაც ხელში ხუცურად დაწერილი წიგნი უჭირავს. მის ირგვლივ წმინდანთა სახეები მოჩანს.

ეკლესიის გვერდით, ორმოცდაათ ნაბიჯზე, მიწისქვეშ თაბუნის მარანიი მო-წყობილი. აქ რამდენიმე დიდი ქვევრია ჩაფლული. ეკლესიის და მარანის ირგ-ვლივ შემორჩენილა ბზის ხეები და ბუჩქები.



სხალთის ღირსშესანიშნაობებს განსაკუთრებით დაწვრილებით ეცნობოდა გორჯასპი. შერიფბეგის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია, რომ სტუმარს აინტერესებდა არამარტო შენობა-ნაგებობანი და ეზო-მიდამო, არამედ ახლომდებარე აღვრებიც, გზები, ხიდები, მდინარის კალაპოტი, სოფლების დაშორება და ამისთანანი, გადარჩენილი ტაძრის ქვებს თითქოს ეფერებოდნენ, ისე უსვამდა ხელს გრივოლ გურიელი.

— ყველაფერი ჯერ არ განადგურებულა, ჩემო შერიფბეგ.

— ზედა აჭარაში თვით სხალთელების შეცადინებობით ეს ერთი ეკლესია გადარჩა მრავალთაგან. ხიდები უცვლელად არის, მაგრამ გადამთიელებმა ეკლესიები დააქციეს, ქვები სახლებში გაზიდეს, ახლა კი გამოუჩნდა თავგამოდებული პატრონი, მაგრამ ძალიან გვიანია.

— ამბობენ, ვიღაც ფირალი იცავსო თქვენს ეკლესიას-მონასტრებს, მართალია?

— იმერხვევლი ფაჩალია, ემრულა. არც ღმერთი სწამს და არც მთავრობა, მადლობა ღმერთს, ჩვენი მამა-პაპების ნაშენ-ნაგებებს ისე უფრთხილდება, რომ თითქმის ვეღარავინ აკარებს.

ყველანი სახლში დაბრუნდნენ. შერიფბეგი და გრივოლ გურიელი ცალკე ერთ-ნაშინი განმარტოვდნენ. მეზობელი ოთახიდან ბავშვების წკრიალა ხმა ისმოდა — მუსიკის დაკვირვებით დაუმათავრებინათ და ახლა ქართულ ენას სწავლობდნენ.

— მოსახლეობას ზომ არ დავიწყებია ქართული ენა? — იკითხა გრივოლმა.

— რა ბრძანებაა, ბატონო. მთელს აჭარაში მხოლოდ ქართულს ლაპარაკობენ, საშინაოდ სხვა ენას არავინ ზმარობს. თურქული მამაკაცებმა იციან, გარეშე საქმეზე და მიმოსვლის დროს თუ დასჭირდებათ.

— წერა-კითხვა?

— მაგაში კი ძალზე სუსტობენ, ზეშაი აჭარაში ალაგ-ალაგ იციან. მოგესხენებათ, მედრესებში მხოლოდ არაბულა წერა-კითხვას ასწავლიან. ქალებს შემოწმით კიდევ ქართულის კითხვა, წერენ კიდევ, ჩვენში მას დედაბრულს უჩნობენ, მცირედ განსხვავდება ჩვეულებრივის ნაწერიდან.

— ჩვენ ძმები ვართ, შერიფბეგ, და ერთი კითხვა უნდა მოგცე, ჩემთვის შენი პასუხი დიდად მნიშვნელოვანია... სტუმარი ვარ და არ გამოიწყრე.

— როგორ გეკადრებათ, გრივოლ ძიავ, რა უნდა ვითხრა ისეთი? ალბათ, ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს დაკარგულ ქართველობაზე და მის დაბრუნებაზე თუ ბრძანებ. ჩემო ბატონო.

— მიმიხვდი, ჩემო შერიფ. მოიხურებებს კი ხალხი ჩვენთან შემოერთებას?

— რა საკითხავია, ბატონო! ეს ხალხის ოცნებაა, დიდი ხნის წინ გულში ჩამალულ-ჩადუღაბებული ოცნება.

— ხარწმუნოება სიომ არ შეუშლის ხელს?

— აქ ყველამ კარგად იცის. ჩემო გრივოლ, რომ რჯულსა და სისხლით ნათესაობას შორის ძალზე დიდი საზღვარია. ამიტომ არცერთი აჭარელი თავის მოძმეს, სისხლსა და სორცს რჯულში, მუსლიმანობაში არ ეაცვლის. ამაში მეც და ჩემი წინაპრებიც ბევრჯერ დავიწმუნდით. როცა საქმე სასწორზე იწონებოდა და ერთ მხარეს ოსმალთა მუსულმანობა, სოლო მეორე მხარეს მოძმე გურჯისტანის ინტერესები იყო, აქაურები ყოველთვის მეორეს ემხრობოდნენ. ამიტომაც სულთანის ასე გამწვანებული ამ ერთი მოჭა-ხალხის მიმართ, ამიტომ ვერ გვენდობა ჩვენც, ამ ხალხიდან გამოვსულ წინამძღოლებს და ამიტომაც არგუნა ბედმა ჩემს ოჯახს დიდი მსხვერპლის გადაება.

— ამას ხალხიც ხედავს და ალბათ ამიტომაც ყოველთვის თქვენს გვერდით დგას.

— სწორი ბრძანებაა, მაგრამ სიბნელე და უმეცრება უშლის ხელს. ხალხმა



არ იცის, როგორ მოიქცეს. თუ ჩვენ ვეძვებით, წინააღმდეგობას არაფერს იქნება სელის შემსლელებიც, დუშმანიც ბევრი გამოგვიჩნდება.

— ალბათ, სწორედ ისინი გაგვიფუჭებენ საქმეს.

— საერთო საქმეს ზიანს ვერ მიაყენებენ, პირადად მე კი სიკვდილის მუქარას უნდა ველოდე. რაც უნდა მოხდეს ამ კუთხეში, კარგიც და ავიც, სუფევალაფერა ჩემს თავზე გადავა.

— რატომ შენს თავზე? — იკითხა თავადმა.

შერიფბეგი ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იგონებო.

— ჩემი სახლობა უბედურია, ჩემო გრიგოლ. ამ სამოც წელიწადში სამჯერ ათხრდა ჩემი ოჯახი. ბაბუაჩემი სელიმფაშა სულთან მაჰმედმა მიიხმო სტამბოლში. არ ჩავიდა, მაგრამ სასჯელი არ ახცდა, თავი მოჰკვეთეს და მთელი მიხი ქონება გაიტაცეს. ამ დროს მამაჩემი თქვენებმა შეიფარეს, მაგრამ როცა აჭარაში დამარუხდა და შეუდგა მოვალეობის აღსრულებას, ის ერთი გენერლის უფუნსურებით ააოხრეს. მე სელაზლა წამოვიყევი ოჯახის აღორძინება, მაგრამ დღემდე რამდენიმეჯერ მეც მომწოდნენ. ვინ იცის, აწი რა მოგველის.

— ასლა დიდი და ძლიერი მფარველი გვეყოლება. რაც მთავარია, გვერდით შენი სისხლი და ზორიც, შენი ხალხი ამოგიდგება და როგორც ამბობ, თუ ხალხის უმრავლესობა ჩვენს მხარეზე იქნება, თითო-ორიოლა მტერი ვერას დაგვაკლებს.

— მართალი ბრძანებაა. — დაუთანხმა სიმშაშვილი.

— ომიც რომ დაიწყო, ოსმალეთი ბათუმს მაინც არ დათმობსო... უბათუმოდ აჭარა ივარგებს კი? — იკითხა გრიგოლმა.

— ბათუმი ხალხს სავაჭროდ და ნაღებმისაცემოდ სჭირდება, მაგრამ დღეს თავისი გასაყიდი შეუძლია წაიღონ თბილისშიც, ქუთაისშიც, ახალციხეშიც და თქვენსკენაც, ოსურგეთში. მომავალში კი, ბათუმში, ალბათ, ბევრი უცხო გემი მოვა, ხალხი გამრავლდება, მაშინ უბათუმოდ არა თუ აჭარა, მთელი გურჯისტანი დაზარალდება.

— სწორს ბრძანებ, შერიფბეგ, ამიტომ ეს ქალაქი ახლავე უნდა დავენარჩუნოთ.

ბეგი მცირე ხნით კვლავ ჩაფიქრდა.

— მე ვითხარი, საქართველოსთან დაბრუნება ჩვენი ხალხის ოცნებაა-მეთქი, პირადად ჩემთვის ეს დღედაღამ საფიქრალია, სიზმარშიც ამას ვხედავ. ჩვენს ხალხს განათლება, სიბნელიდან გამოყვანა სჭირდებათ, ჩემო გრიგოლ. შემოერთება დიდი საქმეა, მაგრამ ასე ბეჩაყად მყოფი ძმა ვის რათ უნდა? განათლება, სწავლა და გონების ვარჯიში სჭირდებათ აჭარლებს. ეს უნდა იყოს ჩვენი ქართველი ძმების უპირველესი საზრუნავი.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს და შემდეგ სასტუმრო ოთახისაკენ გაემართნენ.

\* \* \*

შუაღამეა, ყველას სძინავს, მხოლოდ ბეგი გაიტაცა ფიქრებმა. მის წარმოდგენაში ასრულდა აჭარელთა საუკუნეების ოცნება, დედა სამშობლომ ჩაიხუტა დაკარგული შეილები და ასლა უფრო მეტად დაენანა წინაპრები: დიდი სელიმფაშა, ამ ოცნებას რომ შესწირა სიცოცხლე... მამა და ბიძებიც დიდ გურჯისტანთან შეერთებაზე რომ ფიქრობდნენ. გაახსენდა დედა, დუდი-ხანუმი, ჩაქველი ბეჭანიძის ქალი, დიდი დიპლომატი და პოლიტიკოსი, არაერთხელ რომ გადაარჩინა აჭარა უაზრო სისხლისღერისაგან.

„ვითომ გრიგოლი მართო ჩემს ხანაზავად ამოვიდა ამსელა გზაზე?“ — ფიქრობდა ბეგი და თვითონვე იძლეოდა პასუხს: „რა თქმა უნდა, არა. ქართველმა



საზოგადოებაში კიდევ არ იცის, ვის მხარეს დავდებით, ეჭვი ეპარებათ ჩემში. კიდევ არ შენდობიან. მერე რა, ბევრ ჩემთან მოსულს მეც არ ვენდობი. გრიგოლი ღმერთმა დაიფაროს, ჩემი კაცია, მამულიშვილი და ღიდალ ხანდა ადამიანი, მაგრამ აი გორჯასპი... მუდმივი თანმშლებიაო, ამბობს გრიგოლი, ალბათ, სულსაც ანდობს, მაგრამ მე მაინც მეუცნაურება მისი ქცევა. რაღაცას მაღაყს, იქნებ თავის პატრონსაც უმაღაყს“.

ამ დროს სასტუმრო ოთახში რაღაცამ გაიბრაუნა. შერიფბეგი წამოიჯდა. საათს დახედა. შუალაშე დიდი ხნის გადასული იყო. ხმაური აღარ განმეორებულა, მაგრამ სტუმრებს არაფერი უჭირდელით, წამოდგა, ფოსტლებში ფეხი გაუყარა, ხალათი მოიხსნა და სამოსაფეროს კარებთან მივიდა. გაღებას აპირებდა, მაგრამ სტუმრების შეწუხებას მოერიდა. კარი ღრიჭოთ დარჩენილიყო და მასპინძელმა ცალი თვალით შიგ შეიხედა. ღამა აენთოთ. მაგიდასთან გორჯასპი იჯდა და პატარა წიგნაკში ჩქარ-ჩქარა რაღაცას იწერდა. გვერდით ოთახში გრიგოლის ჩუმი ხერინვა ისმოდა.

ბეგი კარებს მოშორდა, თავის ოთახში შევიდა და ლოგინში ჩაწვა. „ზომ მართალი ვყოფილვარ, მგონი რაღაც გურიელმაც არ იცის“. ამ ფიქრებს უტრიალებდა დიდხანს. მხოლოდ განთიადისას ჩაეძინა.

თითქმის ერთ კვირას დარჩნენ სტუმრები სხალთაში. შერიფბეგმა ბევრჯერ დააპირა ჩამოეღო საუბარი გრიგოლთან თავის ეჭვებზე, მაგრამ ფრთხილობდა, სტუმრებს არ ვაწყენინო და წახვლის დღისათვის გადადო ეს საქმე. როცა გურიელმა დაბეჯითებით თქვა, სვალ წავალთო, მასპინძელმა ის დაიმართოხელა.

— ჩემო გრიგოლ, სტუმარს ვეველაფერი ეპატიება, მაგრამ ზოგი რამე მასპინძელსაც შეიძლება ვაპატიოთ. ჩვენთან, აჭარაში, იციან თქმა: კითხვა სირცხვილი არ არისო და მეც მინდა ერთ საგანზე შევეკითხო.

— ბრძანეთ, მზად ვარ. — უთხრა გრიგოლმა.

— შენც მითხარი და მეც ვატყვობ, რომ გორჯასპ ვაჭეიშვილი შენი მარჯვენა ხელია, მარა აქ ყოფნის დროს იმას ზომ არ აქვს რამე ისეთი. დავალება, რაც შენ არ იცი?

გრიგოლი ჯერ ჩაფიქრდა, შემდეგ ოღნავ გაიღმა.

— ასე რატომ იფიქრე?

— მაქვს ამის საფუძველი. შენგან და ჩემგან მალულად ის აკვირდება ყოველივეს და ღამ-ღამობით ჩუმად რაღაცას იწერს.

— ცუდი მშვერაგი ყოფილა.

— რატომ? — იკითხა ბეგმა.

— არ უნდა შეემჩნევინა შენთვის თავისი განზრახვა. მაგრამ შენ კარგი მშვერაგიც ვერ გამოგაპარებდა რასმეს. — თქვა გრიგოლმა და ნათესავს მხარზე დაჰკრა ხელი.

— მაინც რას ზვერაავს ისეთს, რაც შენ არ იცი?

— შეიძლება მართლაც არ ვიცოდე, ჩემო, შერიფბეგ.

— ეს როგორ? — გაიკვირვა ბეგმა, — ის ზომ თქვენი ოჯახის მსახურია...

— არა, ჩემო შერიფ, ის არ არის ჩემი მსახური, ის ახლა ქართველი საღმრთო მსახურია და ასრულებს მის დავალებას. მისი ვინაობა მთელს გზაზე ჩემს გარდა არავინ იცის, არც არავისთვის გამიხსელია. არ იფიქრო, რომ არ გეტყვოდი. წახვლისას განზრახული მქონდა გამეძახლა შენთვის ვეველაფერი.

— მაინც ვინ არის გორჯასპი? — დაინტერესდა ბეგი.

— რუსეთის არმიის გენერალური შტაბის ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი გიო-



რგი ყაზბეგი, დიდად განათლებული პიროვნება, სამხედრო საქმის მცოდნე და თავისი ერის მოსიყვარულე.

შერიფბეგი ღიღნაღს ფიქრობდა.

— გრიგოლ ძიავე, ეს რომ სულთანის აგენტებმა შეიტყონ, ჩემს მამა-პაპასე უარესს მიზამენ, თუმცა ამაზე არ ვფიქრობ, ყოველთვის და ყველაფრისათვის მზად ვარ, მაგრამ მეშინია, ვეღარ მოვესწრები ჩემი მშარის გათავისუფლებას... მინდა ეს ჩემი თვალთ ვნახო და ისე წავიდე ამ ქვეყნიდან. მე ვიცი, თქვენი გზა უფრო ღრმად, შუა ოსმალეთისაკენ მიდის, ამიტომ ღიღი სიფრთხილვ გმართებთ.

გრიგოლმა შეაწვევტინა.

— ყაზბეგი ძალზე ფრთხილი კაცია. თუ შენ გაუგე მისი განზრახვა, ეს იმას ნიშნავს, რომ სანდო კაცად მიაჩნისარ და არც ვერიდებოდა... სხვაგან სხვანაირად მოიქცევა.

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე მაინც იძულებული ვარ დავარღვიო სტუმარ-მასპინძლის ჩვენი ძველი ჩვეულება და აღარ დავაძალოთ აქ დარჩენა, თუმცა ეს ჩემთვის ძალზე საძნელო და დასაძრახია.

— გმადლობ, ჩემო ძმაო, ჩვენი წასვლა უკვე გადაწყვეტილია.

მეორე დღეს უთენია სტუმრებმა ბაკოსაკენ აიღეს გეზი, მათ თვით შერიფბეგი, მისი ამაღა და ალიაღა სირაძე მიაცილებდნენ.

(გაგრძელება იქნება)





## თუ დავიფიცავ

ისე დიდია  
კრწანისის მიწა,  
ისე მძიმეა  
წარაბდის მიწა,  
ისე ნაღდია  
სიხანის მიწა,  
ისე ბებერი —  
მესხეთის მიწა,  
თუ დავიფიცავ  
დედასავით,  
მშოლოდ ამ მიწას!

## ცა პირს გახსნის

ამაღამ შენთან მოვალ, შენ სიყვარული გქვია,  
ამაღამ ცა პირს გახსნის, როგორც ღურჯთვალა ია.  
შევეხვეწები უფალს, სურვილს გაეუმხელ ლოცვით,  
რომ ამომიშროს წყლული შენი ბაგეთა კოცნით.  
ამაღამ შენთან მოვალ, მომიწვეს ღამის თვეა,  
ამაღამ ცა პირს გახსნის, სურვილი ამიხდება.

## დედას

იქნება  
უსაჩართლობა,  
დედას  
არ უუთხრათ მადლობა!  
რამდენი ღამე ათია  
ზარდა გივი და ნათია...  
განა ფიქრებმა დაღარა?  
ჩვენზე ოცნებამ დაღალა,

ამიტომ  
ასე ძვირია  
მისი გული და ჭაღარა.  
იქნება  
უსაჩართლობა,  
დედას  
არ უუთხრათ მადლობა!



აღუბლის ტოტზე შეიოჯდა ჩიტი,  
 პატარა ტოტზე ამ დილით კენტად,  
 ღამაში სტვენით, ღამაში  
 სიტყვით

გალობს და გალობს,  
 ვის უხმობს ნეტავე?

შერე მოფრინდა ჩეორე ჩიტი  
 და აღვის ტოტი ძირს დაიწია...  
 ამაღამ ვიცი,  
 გუმანით ვიცი,  
 დაეძინება ამ ჩიტებს გვიან.

## გ ა ნ უ ო რ ე ბ ა

წვიმა,  
 ჩაგონებს შენს ღამაზე ცრემლებს  
 და იმ დღეებზე მსურს ახლაც  
 ვწერო.  
 მტოვებდი, მაინც მიქნევდი ხელებს  
 და ჰგავდი ქარში გაფრენილ  
 წეროს.

ცა იყო წყნარი და მოწმენდილი,  
 მზე იღვრებოდა ღიმილით მთაზე.  
 გულნაღვლიანი და ჩოწყენილი,  
 მიუბიჯებდი მარტოკა გზაზე.

მატარებელი მიქროდა ხევეში,  
 მიჰქონდა მთელი ჩვენი  
 ცხოვრება...  
 და მწვავედა შენი თვალების ეშხი  
 და უფრო მწველი ის ჯანშორება.



●  
თუ შეუძლია,  
ქალს შეუძლია  
სიყვარულის და მსხვერპლის  
გაღება.

სიცოცხლისათვის მთა შეუძვრია,  
მზე გაუშლია ბაიარაღებად.  
ჩვენ კი გვგონია უფრო ადვილი  
ღამაში სულის გაპარტახება...  
ქალს შეუძლია  
მხოლოდ ნამდვილი  
სიყვარული და მსხვერპლის  
გაღება.

●  
გული თქვი, თორემ —  
სულ აინთება კვარი,  
ქალი თქვი, თორემ —  
სულ იღვლუნებს ქნარი,  
შვილი თქვი, თორემ —  
მანულის დარეკავს ზარი,  
ნიჭი თქვი, თორემ —  
ახანძარდება ბწკარი,  
ძალა თქვი, თორემ —  
კვალს მუდამ გაიტანს ხარი.  
ხალხი თქვი, თორემ —  
სულ მუდამ იქნება დარი!

●  
მე პურის წიყვარს,  
შავი პურის სურნელი ტკბილი,  
და გლეხის მკერდი,  
პერანგზე რომ გახსნია ღილი.  
ღვინით გავსილი ჭრელი სურა,  
პატარა თასი,



სასიყვარულოდ,  
სახალისოდ  
ამ ღვინით სავსე...  
სოფლის ბოლოში, —  
თივის ზვინი,  
სურნელი ბიის,  
და სოფლის ბოლოს ცხემლის ხესთან  
ანკარა „ცივი“.  
და ბალახებზე სადამოხანს  
ციალი ნამის,  
დედა ბაღიაში,  
გაღიმება  
დაღლილი ჩამის.  
პატარა ცირას მაყვალივით  
თვალეზი შავი,  
მერე ოცნება, —  
გაფრენილი ტალღებზე ნავი.  
მერე ფიქრები, პაემანი,  
წყაროსთან დგომა,  
მერე სიზმარი, სინანული  
და შემოდგომა,  
ო, როგორ მიყვარს...

●

ზოგი იჩემებს:  
ლექსი წერა არის ადვილი,  
ლექსი ზოგისთვის გართობაა  
ანდა ნადიმი.  
ზოგისთვის ლექსი ტრაბახია  
ანდა წადილი,  
ზოგისთვის — ცრემლი,  
ტკივილი და  
სულის ნაწილი.



- ხომ გვევარება ოდესღაც ცირა?
- კი!
- ხომ გინატრია მაისის წვიმა?
- კი!
- ხომ გითევია წისქვილში ღამე?
- კი!
- ხომ დაგიჭირავს მორევში მთვარე?
- კი!
- ხომ გაგიკვალავს პირველი თოვლი?
- კი!
- ერთხელ ხომ გითქვამს, „მიყვარხარ“  
თრთოლვით?
- კი!
- მაშ, რაღა გინდა ამაზე მეტა?
- თქვი!





## ახალი თარგმანები

ალფრიდ დე მიუსე

ლ უ ს ი

გთხოვთ, მეგობრებო, მოვეკვდები ოდეს,  
საფლავზე დარგეთ ტირიფი თეთრი.  
სევდით შებურვილ ფერწმკრთალ ტოტებს  
და ნამტირალევ ნაზ ფოთლებს ვეტრფი.  
მიწას, რომელსაც ჰარგუნებს ბედი,  
მსურს მისი ჩრდილი ეფინებოდეს.

იყო საღამო. ორივენი ვისხედით მარტო.  
ის თავდახრილი კლავესინზე უკრავდა ისე,  
თითქოს ჩურჩული იდუმალი ზოდო სივრცეს,  
ვით ლერწმანში სიო, ჩიტსაც რომ ვეღარ აკრთობს.  
ნელა არხევდა დამათრობელ ყვავილთა თასებს  
შემოღამება ნეტარების ბადაგი თასეს.  
ირველივ ბერძნული მუხები და წაბლები პარკის  
არწევდნენ ტოტებს, თითქოს სევდით გული სტკიოდით.  
ვუსწნდით ღამეს და ფანჯრიდან, ვით ტკბილი ბანგი  
ნელსურნელებად გაზაფხული შემოდიოდა.  
ქარი არ ქროდა. მდუმარება სუფევდა ველად.  
ვისხედით მარტო — ორივენი თხუთმეტისანი.  
ვუცქერდი ლუსის — სახე მკრთალი და თმები ქერა,  
ხოლო თვალები — ზოლაჟვარდეს სხივნი ცისანი.  
მისი მშვენება ვერასოდეს ვერ დავივიწყო.  
ქვეყნად არავინ არ მიჩანდა თვალში, მის გარდა.  
ეს წმინდა გრძნობა უფრო და-მპურ სიყვარულს ჰგავდა,  
რარივ სპეტაკი, უმანკო და უბიწო იყო.  
ვისხედით დიდხანს. ხელში ჩედო თითები მისი,  
თან მის მშვენიერ კაემნიან სახეს ვუმზერდი.



ნუმც სატკივარი, ნუმც ნალველი, დაე, ნურც ერთი  
ნუ დამიჩაგრავს მას, ვინც არის სიკეთის ღირსი.  
ვერძნობდი, გვიშველის, სამშვიდობოს მოგვმადლის  
ღიმღის

ტყუბი — ყმაწვილურ გულისა და მშვენების ზიბლი.  
გამოჩნდა მთვარე სუფთა ცაზე სხივმოცახცახე  
და ვერცხლისფერი, მოკანკამე შუქით მოსილი  
ლუსი ზედავდა ჩემს თვალებში საკუთარ სახეს.  
იგი ამღერდა მომღიმარე ანგელოზივით.

ო, ჰარმონიაჲ, შენგან სევდა გულს დაგვჩენია,  
სიყვარულისთვის ჩოგავლინა ქვეყნად გენიამ.

იტალიიდან მონაბერო, იქ გაჩნდი ზენით.

გულთა ენაო, ერთადერთო, ფიქრს, როგორც ქალწულს  
დამფრთხალს და სწეულს არ აკარებ ავ თვალს და ავ  
სულს.

ყრმა რას ამოთქვამს, რა ზმებს იჭერს ფაქიზი სმენით  
ინავ ჰაერის გოდებაში, რომლითაც სუნთქავს,  
იმავ კენესაში, რომელშიაც მას სული უდგას.

ვით შენი გული, სევდითაა იგი ნაფერი.

ვითარც შენი ზმა, ივაცაა ისევე წყნარი

და მასაც თვალზე უციმციმებს ცრემლების ცვარი.

იდუმალეზით მოსილია სხვა ყველაფერი.

ვით ზღვის ნაპირზე აჭორბილი ტალღის ჩხრიალი,

ვით ღამეები, ან ვით ტყეში ხეთა შრიალი.

ისევე ვუმზერდი, თითქოს ვიყავ წასული რუელში.

ჩვენს გულში ექო როზანისა კვლავ მიმოქროდა.

ნეტავი სულში დეზდემონას კენესას თუ გრძნობდა,

როცა დაღლილი თავი მკერდზე მომაყრდნო ღუესი.

საბრალო ბავშვო, შენ ტიროდი, როდესაც ბავეს

საამბოროებლად ჩენი ბაგე მიფუახლოვე,

მაგრამ ვაი რომ სიბოხს ნაცვლად სიცივე ვაბოვე,

ფერმილეული და უმწეო იყავი ავრე.

ორი თვის შემდეგ ჩამიქრი და აღარა ბრწყინავ.

ყვავილო, სუსხმა უდროოდ რომ ბოლო მოგიდო.

შენი სიკვდილი, ვით სიცოცხლე, ღამაში იყო

და ახლა, ჩემო, საუკუნო აკვანში გძინავს.

ყრმობის ტამარო, წხოლოდ შენი იმედით არის

ტრფობა, ოცნება და სიმღერა უკეთეს დღეთა.

როცა ფაუსტიც შეჩერდება და ვედარ ბედავს

მარგარიტასთან შესასვლელი შეაღოს კარი.



საით წავიდა ყრმობის სიბლი და სიზალისე...  
შშვიდობით! იყოს მოსვენებულ ეგ სული წრფელი.  
ზაფხულის ღაწე მოვა, მაგრამ აწ შენი ხელი  
ვერ ააფლერებს იმ კაეშნით სავსე კლავიშებს.  
გთხოვთ, მეგობრებო, მოგკედები ოდეს,  
საფლავზე დარგეთ ტირიფი თეთრი.  
სეუდით შებურვილ ფერმიმკრთალ ტოტებს  
და ნამტირალე ნაზ ფოთლებს ვეტრფი.  
მიწას, რომელსაც ჩარგუნებს ბედი,  
მსურს მისი ჩრდილი ეფინებოდეს.\*

### პ ე პ ი ტ ა ს

პეპიტა, როცა ღამე ლანდივით  
მოვა და დედაც დაწვება როცა,  
შენც დასაწოლად მოემზადები  
და დახოქილი მორჩები ლოცვას,  
ღამეს ვაანდობ, რაც გაღელვებდა,  
რაც დარდი გქონდა დღისით, რა ფიქრიც,  
როცა საწოლის ქვეშ შეიხედავ,  
როს იწყნარდება ყოველი ირგვლივ;  
შეუღამე რომ შემოვა წყნარად  
და ნებიერად რომ სძინავთ სახლში,  
ტყუარა პეპიტა, ჩემო პატარავ,  
რაზე ოცნებობ, რას ფიქრობ მაშინ?  
ვინ იცის, იქნებ იმ ყმაწვილ ქალზე,  
რომ მიატოვე წაკითხულ წიგნში,  
თუ ოცნებობდა თვითონაც ასე  
და ბედს ეძებდა შენსავით ისიც.  
თუ ფიქრობ, როგორ აწვდილან მთები,  
ან როგორ უფვარს ესპანელს ქალი,  
სასუსნავეებზე ოცნებით ტკბები,  
თუ სიყვარულის გედება ალი?  
იქნებ გულისთქმა გსურს ვინმეს ანდო,  
ახალ კაბებზე თუ აჰყევ ფიქრებს?

\* პოეტის ნება ასრულდა — პარიზში, პერ-ღაშეზის სა-  
საფლაოზე, სადაც აღფრედ დე მიუსეა დაკრძალული, დაფე-  
ნილია ტირიფის ჩრდილი.



პეპიტა, ნეტავ, ჩემზე თუ დარდობ?  
ან არავისზე არ დარდობ იქნებ.

ფრანგულიდან თარგმნა  
გიორგი სალუქვაძემ

## ჰაინრიხ ჰაინე

### სილესიუმელი შეიძრები

ჩამქრალ თვალებში გაგვიშრა ცრემლი,  
ვზივართ დაზვასთან კბილების ღრტყნით,  
სუდარას გიქსოვთ შენ, გერმანია,  
მასში სამმაგი კრულვავ ჩვენი.

ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!  
კრულვა მალლა ღწერთს, შეველა რომ

ეთხოვეთ —

გავითოშეთ და პური გეშოიდა,  
ამაო იყო ჩვენი მუდარა —

მან შეელის ნაცვლად გიჟი გვიწოდა!  
ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!

კრულვა მეფესაც, მდიდრების მეფეს,  
ვინც ჩვენს გასაჭირს ჩასცა მახვილი,  
ვინც უკანასკნელ გროშებს გვტაცებს და  
ჩისი ბრძანებით გვკლავენ ძალღივით!

ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!

კრულვა შენც, ყალბო სამშობლო ჩვენო,  
სადაც ბატონობს ვნება და სნება,  
სად ვარდ-ყვავილი უდროოდ ჭკნება  
და ჭია ღეშით ძღება და ძღება!

ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!

მაქო სრიალებს, დაზვა ჭრიალებს,  
შრომაში დღეს და ღამეს ვასწორებთ,  
სუდარას გიქსოვთ შენ, გერმანია,  
და მასში სამჯავ კრულვას ვაყოლებთ.  
ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!

გერმანულიდან თარგმნა

მისიელ მამულაშვილმა.



## დიოკნისელი ქალიშვილები

ისინი ცხრამეტი წლისანი არიან. ამ ღამეს, კალთამადლიან მიწაზე დაიბადნენ და გაიზარდნენ. ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა. მერხებზედაც გვერდიგვერდ იხსდნენ და სანაქებო მოსწავლეები იყვნენ. ტოლ-ამხანაგებს გამორჩეულად უყვარდათ, მუდამ რაღაც ახლის მაძიებელი გოგონები. სასკოლო ღონისძიება ისე არ ჩატარდებოდა, მათ რომ მონაწილეობა არ მიეღოთ. ბევრი კარგი საქმის წამომწყებად და ინიციატორებადაც ითვლებოდნენ.

უქმად ყოფნა არ ეგუებოდა მათ ხასიათს. ზარი დაირეკებოდა თუ არა, ერთ-ხანს სკოლის ეზოში განმარტოვდებოდნენ. სახვალიოდ რა უნდა გაეკეთებინათ, წინა დღეს დაგეგმავდნენ და მაშინვე დატრიალდებოდნენ, თანამერხელებს აიყოლიებდნენ და საქმესაც უცბად მოაბამდნენ თავს.

უყვარდათ კითხვა. ახალი წიგნი გამოვიდოდა თუ არა, მაშინვე წაიკითხავდნენ, მერე თანატოლებს შეკრებდნენ და მის განხილვას მოაწყობდნენ. სასოფლო კლუბის სტენაზედაც გამოსულან და მაყურებლისათვის არაერთი კარგი ლექსი წაუკითხავთ. ცნობილ მწერლებსაც შეხვედრიან.

მათ აღზრდასა და ფორმირებაში დიდი როლი ითამაშეს პედაგოგებმა: პლატონ რამიშვილმა, ოლია ცხადაძემ, იზეთ, შუშანა, თინა, იოსებ, ალექსანდრე, ნადეჟდა ძირკვაძეებმა, ლამარა ქონიაძემ, ნანული კახაძემ, ემინე აბულაძემ, ოთარ ვოხაძემ, ჟოლიე ბოლქვაძემ, ოთარ ანთაძემ, გურამ ხოზრევანიძემ და სხვებმა.

როცა წამოიზარდნენ კომკავშირის ხულოს რაიონულ კომიტეტში უხმეს. გაესაუბრნენ, მათი პატარა ბიოგრაფიის დეტალებითაც დაინტერესდნენ, მერე აღისფერყდიანი ბილეთები გადასცეს და ლენინური კომკავშირის ღირსეული წევრები გახდნენ.

ასე გაიბრინა სწავლის დღეებმა. როდესაც სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელ უკანასკნელ გამოცდაზე შეიკრიბნენ, დათქვეს, რომ სოფლისა და ხალხის საკეთილდღეოდ ეშრომათ. ზოგიერთი უმაღლეს სასწავლებელში აპირებდა სწავლის გაგრძელებას, სხვები კი კოლმეურნეობაში დარჩენას ამჯობინებდნენ.

ისინი ხულოს რაიონის ერთ ღამეს სოფელში ცხოვრობენ. მთიანი სოფელია დიოკნისი. პირდაპირ მაჩქნარას მთაა წამომართული, მარცხნივ, დრო-ჟამი-



საგან გამოფიტული კლდეებია, მარჯვნივ ცაკლარის ქედი აწვდილა ჰორიზონტამდე, დაბლა ტაფობში კი ლაღად გაუძლია ძხობები დიოკნისს.

ლაშაზია შამა-პაპის დასატოვარი მიწა, რომელსაც დღემდე შემოუნახავს პირფართე საღვინე ქვევრები, ნასაყდრალი და ნახელლარი... ლაღად გაისმის ქართული სიტყვა, ქართული სიმღერა, რომელმაც გაზარდა თაობები. სიმღერა, რომელსაც მღეროდა აკვნის კამარაზე ღაზრილი ღელა.

უფვართ ქალიშვილებს სოფლის განთიადი, ზორხისწყლის ჩუმი დუდუნი და ცხრაწყაროს ლამაზი სიმღერა. უფვართ აქაური მსუყე შემოდგომა და კვირტე-ის ტკაცანში გაღვიძებული გაზაფხული.

პატარა, კოხტა დაბას ჰგავს დღეს დიოკნისი.

ბოლო დროს სასიკეთო ძერების მოწამე გახდა აქაური შკვადრი. სოფლის ცენტრში წამოიმართა კლუბ-კანტორის ახალი, ორსართულიანი კაპიტალური შენობა. მშრომელთა განკარგულებაშია კულტურის სახლი, თაშბაქოს მიმღები პუნქტი, ბიბლიოთეკა, ფურნე, სასადილო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, დაიწყო და მალე აიგება საშუალო სკოლის კაპიტალური შენობა, რომელსაც ექნება ფართო და ნათელი საკლასო ოთახები, კაბინეტები, სპორტული დარბაზი.

ყველაფერი, რაც გაკეთდა და კეთდება, მშრომელთა კეთილდღეობის სამსახურში ღვება.

გზა, სინათლე, რადიო, ტელევიზორი, სამარშრუტო ავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები აღარავის უკვირს. ყველაფერ ამას მალე ერთი სიანხლევ შეემატება — განზრახულია კიდული საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც ორ სოფელს — დიოკნისსა და კორტოხს ერთმანეთთან დააკავშირებს.

სწორედ ამ სოფელში დაიბადნენ ის გოგონები, გუშინ რომ მოვიდნენ სკოლის მერხიდან და ახლა ღიადი მომავლის რწმენით რომ მიაბიჯებენ ცხოვრების გზაზე.

ღიმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ ახალგაზრდობას ცხოვრების სინდისი უწოდა. კარგი ნათქვამია. იგი განსაკუთრებით ახლებური ძალით ჟღერს ჩვენს დროში, უფრო ლამაზად ესადაგება ჩვენს დღეებს და იმ გამარჯვებულ გოგონების დასასასიათებლადაც გამოდგება, რომელთა შესახებ ქვემოთ გვინდა ვესაუბროთ მკითხველს...

\* \* \*

მსუყე და უზემოსავლიანია აქაური მიწა. ყველაფერი ხარობს, მაგრამ ვაზი მაინც მომეტებულად უფვართ დიოკნისელებს. გადამთიელების თარეშმა ეს მაღლიანი მცენარე მთლიანად აღგავა პირისაგან მიწისა. ვანადგურდა და გადამენდა მისი ძვირფასი ჯიშები. მხოლოდ სოფლის ერთ უბანს შემორჩა სახელწოდება „ვენახი“.

ვაზის სიყვარულმა თავისი გაიტანა. ამ სამი ათეული წლის წინათ დიოკნისელებმა შვიდი ჰექტარი მიწა სავენახედ გადააბრუნეს. ჩხავერის, ცოლიკაურის, ჩინურისა და ალიგოტეს ჯიშის ნერვები შემოიტანეს. შესანიშნავად იხარა ვაზმა. სამიოდე წელიწადში აიშოლტა, ტანი აიყარა და უხვად მოიხსნა მტევნები. მისი მოვლა-პატრონობაც ისწავლეს და ახლა ყოველწლიურად 30-40 ტონა ქარვისფერ ყურძენს აბარებენ სახელმწიფო მარაგს.

მევენახეობის ბრიგადირი ხეიმედ შავაძე შრომის წითელი დროშის ორდენოსანია. მისი მეუღლე, სურგი, მეთამბაქოეა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, ორდენებითა და მედლებითაა დაჯილდოებული. შრომისმოყვარე



ადამიანებმა ექვსი შვილი აღუზარდეს სამშობლოს. გამორჩეულად მაინც თინა უყვართ. გაკვეთილები დამთავრებოდა თუ არა, მაშინვე სახლს მიაშურებდა. უმცროს და-ძმებს მიხედავდა, მერე დედას ამოუდგებოდა მზარში, თამბაქოს პლანტაციასი რომ შრომობდა. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, სულ სხვა გზა აირჩია. მამას სთხოვა, შენი ბრიგადის წევრად მიმიღეო. უარი რომ უთხრა, თავისი გულისნადები თავმჯდომარეს გაუზიარა. მანაც დასტური მისცა.

..უხვემოსავლიანი გამოდგა თინა შავაძისათვის მეთერთმეტე ხუთწლიდის მეორე წელი. მან 3.100 კვადრატული მეტრი ნაკვეთიდან 2.081 კილოგრამის ნაცვლად 3.875 კილოგრამი ყურძენი მოიწია და ხელდამშვენებული შეხვდა ჩვენი სამშობლოს სახელოვან ოუბილეს — საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

მთებში წელს დაიგვიანა გაზაფხულმა, მევენახეებს საზრუნავი გაუთრეკვდა. სხვებთან ერთად თინამაც მიაშურა ზვარს, მწკრივთაშორისებს სასხლავით ჩამოუარა, შეფოთლილ ვენახს მიუაღერსა.

შრომასთან ერთად არც სწავლას ივიწყებს ქალიშვილი. თავისუფალ დროს მუდამ წიგნებს ჩაჰკირკიტებს, უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება.

\* \* \*

ალექსანდრე ძირკვამე პროფესიით მძღოლია. დიოენისის საშუალო სკოლაში ავტო-საქმეს ასწავლის. მისი მეუღლე თინა ბოლქვამე ბიბლიოთეკარია, ისიც ამავე სკოლაში მუშაობს. თანასოფლელები პატივს სცემენ შრომისმოყვარე ცოლქმარს. ჰყავთ ოთხი შვილი. უფროსი ქალიშვილი რუსუდანი ახლახან გათხოვდა და საკუთარი კერა გაიჩინა. ამჟამად დანისპარაულის რვაწლიან სკოლაში მუშაობს, — მოსწავლეთა თვითმოქმედ მხატვრულ წრეს ხელმძღვანელობს. ახლანი ბათუმის № 44 პროფტექნიკურ სასწავლებელშია — კალატოზის პროფესიას ეუფლება, რუსლანი კი დიოენისის საშუალო სკოლის პირველი კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. მეორე ქალიშვილმა — ასმათმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1.000 კვადრატული მეტრი სათამბაქო ნაკვეთი გაიპიროვნა და პირველსავე წელს გვემა ორმაგი გადაჭარბებით შეასრულა. — მიმდებ პუნქტს 200 კილოგრამის ნაცვლად 565 კილოგრამი თამბაქოს მაღალხარისხოვანი ნედლეული ჩააბარა. მიმდინარე წელს 245 კილოგრამის მოყვანა დაუევგემეს, მაგრამ ამ მაჩვენებელს არ დასჯერდება — 600 კილოგრამის ჩაბარებას აპირებს. ხელმადლიან ქალიშვილს თანასოფლელებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს — იგი დიოენისის სასოფლო საბჭოს დეპუტატია და ამ ნდობას საქმით ამართლებს.

შრომობს ენერგიული გოგონა. შრომობს და თან სწავლავსაც ოცნებობს. სამშობლოს მშრომელი ადამიანიც სჭირდება და განათლებული სპეციალისტიც, ხშირად უთქვამს...

\* \* \*

ლეილაც კარგ ოჯახში აღიზარდა. მამა, გიორგი სავინაძე, პედაგოგია — წლების მანძილზე დიოენისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, შემდეგ ამავე სოფლის საშუალო სკოლაში ავტოსაქმეს ასწავლიდა, ამჟამად კი დირექტორის მთადგილეა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. დედა, ლამარა ქინიაძეც, ამავე სკოლის მასწავლებელია. — ექვსი შვილიდან უფროსმა ქალიშვილმა ნაზიმ ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა, კორტოხში გათხოვდა და ახლა დიოენისის საუბნო საავადმყოფოში მუშაობს ექთნად-



ლევანი, ნანული და ნარგიზი მოსწავლეები არიან, დათომ გასულ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად ემზადება.

ლეილაბაც თინასა და ასმათის მსგავსად, წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა. შრომის სიკეთეს პატარაობიდანვე ეუიარა. დღეს გამრჯე მეთამბაქოეა, 1.200 კვადრატული მეტრი ნაკვეთი აქვს გაპიროვნებული. დადგება თუ არა თებერვალი, მაშინვე სანერგეს მიაშურებს. კვალსათბურს გადათოვლავს, ნიადაგს საგულდაგულოდ გადაბარავს და ხელსაყრელი ამინდის გამოსვლისთანავე თესლს მიწას მიაბარებს. მზრუნველობასა და ყურადღებას არც შემდეგ აკლებს. შემოვა თუ არა ჯანსაღი ჩითილი, მაშინვე ფართობში გაიტანს. თუ წვიმიანი ამინდებია, სომ კარგი, ნერგი ადვილად იხარებს, მაგრამ გვალვა თუ დაიჭირა, საქმე ორმაგად რთულდება. პლანტაცია დილით და საღამოთი თუ არ მორწყე, იმდენი ნაშრომ-ნაჯაფი ერთბაშად წყალში ჩაიყრება. მეტად სათუთი კულტურაა თამბაქო. მიხედვას მიაკლებ და შემოდგომაზე ვეღარაფერს მოიწევ. ეს ყველაფერი კარგად იცის ლეილამ. იცის და ამიტომაც მისი პლანტაციაც ყოველთვის სანაქებო.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მოსწავლე იყო, ლეილა საგინაძე სათამბაქოე ნაკვეთს უვლიდა. 600 კვადრატული მეტრი ფართობიდან 95 კილოგრამის ნაცვლად 270 კილოგრამი თამბაქო მიჰყიდა სახელმწიფოს. ტრადიციისათვის არც შარშან უღალატნია — გეგმიური 204 კილოგრამის ნაცვლად 405 კილოგრამი ნედლეული მოიყვანა. აქედან 310 კილოგრამი პირველი ხარისხისა იყო, ხოლო დანარჩენი მეორე ხარისხისა. პრემიის სახით 1.300 მანეთი მიიღო. ლეილას გადაწყვეტილებაა, წელს ეს მაჩვენებელი 600 კილოგრამამდე გაზარდოს.

ენერგიული ქალიშვილი კომკავშირის ხულოს რაიკომისა და აჭარის საოლქო კომიტეტის წევრია. ხელმძღვანელობს დიოკნისის საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციასთან არსებულ შიდაკომკავშირული მუშაობის სექტორს, მიღებული აქვს საბატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ლეილას მიზანიც სწავლა და შრომაა.

\* \* \*

ისინი კომკავშირმა აღზარდა. ჩაუნერგა დიდი ადამიანური სიბიბო და სიკეთე, ასწავლა თავისი ხალხის, სოფლისა და სამშობლოს სიყვარული.

ამ ცოტა ხნის წინათ თინა, ასმათი და ლეილა ლენინური კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატები გახდნენ.

ამ დიდ ნდობას დიოკნისელი ქალიშვილები კვლავაც ენერგიული შრომით უპასუხებენ.





## გაბაშვილი, ექიმო!..

1942 წლის აპრილი იდგა.

იმ დღესაც ბევრი დაჭრილი მოიყვანეს თბილისის საევაკუაციო ჰოსპიტალში, რომლის უფროსი ამბროსი პერტია კონსილიუმზე დაბეჯითებით მოითხოვდა, ოფიცერ სავენკოს ფეხი შეუნარჩუნდესო.

საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა ამ კაცს. მოზდოკთან მძიმედ დაჭრილი ასე-ულის მეთაურის მაგივრად სავენკო გაუძღვა მეომრებს, ასეულმა ბრწყინვალედ ჩაატარა ოპერაცია, ბევრი ფაშისტი გაანადგურა. გამოჩენილი მამაცობისათვის პეტრე სავენკო საბრძოლო წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

შემდეგ ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლაში სავენკო მარჯვენა ფეხში მძიმედ დაიჭრა. თბილისის ჰოსპიტალში მას დიდხანს მკურნალობდნენ, მეომარს ზრუნვას არ აკლებდა ჰოსპიტლის უფროსი, მთელი კოლექტივი. ამბროსი პერტია და პეტრე სავენკო დამძობილდნენ. დამშვიდობების დროს კი ღათქვეს, კვლავ შევხვდებით ერთმანეთსო.

21 წლის შემდეგ შეხვდნენ, ოღონდ...

სამედიკინო პროცესია ლენინის ქუჩას მიუყვებოდა, ზღვა ხალხი მიაცილებდა ძვირფას ცხედარს, კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა.

— ვინ მოკვდა? — იკითხა ყავარჯინანმა კაცმა.

— ექიმი პერტია...

— პერტია? ნაცნობი გვარია — ჩაილაპარაკა და დაჭინებით უცქერდა ყვავილებში ჩაფლულ ცხედარს. უცებ თბილისის ჰოსპიტალი, თეთრ ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა ექიმი წარმოუდგა.

— ის არის, ის, — ჩურჩულით წარმოსთქვა, ყავარჯენს მძიმედ დაეყრდნო და ცრემლი ჩამოუვლოდა.

ბათუმში დასასვენებლად ჩამოსულმა პეტრე სავენკომ უკანასკნელ გზაზე გააცილა თავისი მეგობარი — ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ამბროსი პერტია...

\* \* \*

ბათუმში ცნობილი და დიდად დაფასებულია პერტიების ოჯახი — ექიმთა დინასტია:

ამბროსი,

ნუნუ,

ნოდარი,

რეზო.

ამბროსი პერტია ძველ აბაშაში დაიბადა. შრომისმოყვარე ბიჭი იყო, მამას მხარში ედგა, ხნავდა, თესავდა, საქონელს ამოვებდა.

— კარგი ბიჭი გეზრდება ნესტორ, გულწრფელად გვიხარია, — ეტყოდნენ ხოლმე მეზობლები. ოჯახის მამა უღვაშებში ჩაიდიმებდა და უპასუხებდა:

— პატრონი უნდა ბაბა, პატრონი, ვაი, თუ ჩემსავით უსწავლელი დარჩა?!

მაღალი, მხარბეჭიანი კაცი იყო ნესტორ პერტია, მზედაკრულ სახეს შავი თვალ-წარბი უმშვენებდა. გამრეცე იყო, ავ-კარგის მცოდნე, ძეზობლის გმირი, კარგი სიტყვა-პასუხის პატრონი.

...სკოლიდან შინ დაბრუნებულ ამბროსის დედა ავად დაუზდა, ღოფა თონგ-სავით უზურდა, ყანიდან დაღლილი მამაც მოვიდა, თონი ღობეს მიაყუდა და მე-ულღე მოიკითხა.

— ცუდად ვარ, თოლივე, მოესმა ღოვინიდან მეუღლის მისუსტებული ხმა. შე-წუხდა ნესტორი, ქალს შუბლზე ხელი დაადო და სიმწრით აღმოხდა:

— თოლივე, ღონტურია საჭირო.

სად იყო მაშინ ექიმი. ძველ აბაშაში ერთი მოხუცი ფერშალი ცხოვრობდა, იმასაც თუ მოიხელთებდა კაცი.

— ექიმს მე მოვიყვან, ბაბა, — თქვა ამბროსიმ და მამის დასტურს დაელოდა.

მამამ სიყვარულით გადახედა შვილს და დაგვაგებით უთხრა: ცხენი წაიყვანე, შვილო, ღონტური ფეხით ვერ წამოვა.

ბიჭმა სწრაფად შეკაზმა ცხენი, ზედ მოეწყო და ჩორთით გაუყვა გზას. სა-ღამოს მარტო დაბრუნდა შინ, ფერშალი მწოლიარე დაუხვდა, თავად იყო საექიმო. მეორე დღეს ავადმყოფი მომჯობინდა. გახარებულმა ამბროსიმ დედას უთხრა: ნუ გეშინია, ნანა, ექიმობას ვისწავლი და არაფერს გაგიჭირვებო.

\* \* \*

სოფლის ოთხი კლასის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ნესტორმა ეფთა ბა-თუმში წამოიყვანა, ისწავლის, კაცი გამოვაო.

ამბროსი პერტია ბათუმის ეფთა გიმნაზიის სანიმუშო მოსწავლეა. კარგად ფლობს მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას, ისტორიას, იტაცებს საქართველოს სა-ხელოვანი წარსული, ფიქრობს თავის ხალხის ბედზე.

ეს ის დროა, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ერთ-ერთ შეკრებაზე ამბროსიმ ბორის ძნელაძის მგზნებარე სიტყვა მოისმინა, სწორედ ახალგაზრდობამ უნდა აშენოს ახალი ყოფა, ახალი ცხოვრებაო.

\* \* \*

ახალგაზრდა ამბროსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეწაფა სწა-ვლას. მან თავის მრწამსს არ უდალატა — სამკურნალო ფაკულტეტი აირჩია.

შემდეგ იგი დიდი სიყვარულითა და მოწინააღმდეგეობით იხსენიებდა თავის მასწავლე-ბლებს, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებს გრიგოლ მუხაძეს, გიორგი ნათაძეს, ალექ-სანდრე ნათიშვილს, ნიკოლოზ ყიფშიძეს, მიხეილ წინამძღვრისძვილს, გრიგოლ დიდებულძეს, ნიკოლოზ კახიანს, ალექსანდრე მაკაგარიანს.

— არაფერი მიაკლოთ ავადმყოფს, — იტყოდა პროფესორი მუხაძე, ამ მცნე-ბას არ დალატობდა ამბროსი, საუკეთესო სტუდენტი იყო. გარდა მედიცინისა, სწა-ვლობდა სხვა მეცნიერებასაც, უყვარდა ლიტერატურა, მუსიკა...

მაშინ უნივერსიტეტში ხშირად იმართებოდა საღამოები, დისკუსიები. ამბრო-სი აქტიურად მონაწილეობდა მათში.

უნივერსიტეტის დამამთავრებელ წელს ბევრს მუშაობდა, რომ იტყვიან, თავის მოსაფხანად არ ეცალა. მამა სწერდა: რატომ დაგვივიწყე, შვილო, მაღლობა ღმერთს, ჩემსავით წერა არ გიჭირს. დედაშენი ათას ლოცვა-კურთხევას გითვლის, ჩემი ღონტური შვილი როდის ჩამოვაო... სოფელში დიდი ამბებია, ხალხი კოლექ-



ტივისაკენ დაიდრა. კოლექტივში მეც ჩავეწერე... მეზობლებიც შენზე ლოცულობენ, მალე დაამთავროს სწავლა, ერთი დღისტური ჩვენს სოფელსაც ედიროსო. ეროვნული  
არქივი  
მამის წერილმა სულიდან ხორცამდე შეძრა მომავალი ექიმი, გაახსენდა „გუშინ-  
ლის გოგო-ბიჭებმა წარმოადგენა რომ გამართეს. შალვა დადიანის პიესაში „გუშინ-  
დელნი“ გენერლის როლს ამბროსი ასრულებდა. წარმოადგენას დიდძალი ხალხი  
დაესწრო. შემოსული თანხა სოფლის სამკითხველოს მოხმარდა. ალევრაც არა-  
ერთხელ გაუმართავთ. საქმის სული და გული ახალგაზრდები იყვნენ. გირლანდე-  
ბით მორთეს სოფლის ცენტრი. ქოჩორა ბიჭი საცეკვაოს უკრავდა, ფეხის წვერზე  
დგებოდნენ ტანწორწეკა ახალგაზრდები. საზეიმო ფერხულში მოხუცებიც ჩაე-  
ბნენ, ყოინას სცემდნენ ხეებზე შესკუპებული ონავარი ბიჭები. რამდენი სიხარული,  
ხალისი, ზვალინდელი დღის რწმენა სუფევდა ხალხში.

\* \* \*

განუმეორებელი იყო უნივერსიტეტში გატარებული წლები. რამდენი სიხარუ-  
ლი ახსოვს. თუნდაც ის დღე, როდესაც თავისი ბედი უნივერსიტეტის ფილოლო-  
გიის ფაკულტეტის სტუდენტს ელისაბედ გოვტიძეს დაუკავშირა.

\* \* \*

1930 წლის ზაფხულის საღამოა. რუსთაველის გამზირს წარმოასადგენი ახა-  
ლგაზრდა მიუყვება. ლადიმის წყლებთან ეერთოულ ყაიდაზე ჩაცმული სიმპათიური  
მამაკაცი მიესალმა და ჰკითხა:

- როგორაა სწავლის საქმე, მამულიშვილო?
- კარვად, ბატონო კონსტანტინე, უკვე ექიმი ვარ. — მიუფო ამბროსიმ.
- ყოჩაღ, ძმაო, ექიმი პაერივით სჭირდება ხალხს.
- სანუშაოდ თუ ვაგამწესეს?
- ნიგოთის საექიმო პუნქტის გამგედ.
- კარგია, მომილოცავს, — მერე წამით შეჩერდა და განავრძო, — სადაც  
უნდა იყო, გახსოვდეს პიპოკრატეს მცნება „ფიცით შეუდექ!“! დაიფიცე, რომ ემ-  
სახურები ექიმის ბრძნულ და კეთილ მცნებებს. უპირველესი ადამიანის ერთგულე-  
ბა და თავდადებული სიყვარულია...

ასე დაულოცა გზა ახალბედა ექიმს ამბროსი პერტიას დიდმა მწერალმა და  
მამულიშვილმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

\* \* \*

30-იან წლებში ამბროსი პერტია ლანჩხუთის რაიონში იღვწის. ნიგოთიში  
ახლაც ახსოვთ იგი უანგარო, ჰუმანური, შრომისმოყვარე ექიმი.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს საახალწლო სამზადისი ჰქონდა. ისინი იმედით შე-  
ჰყურებდნენ მომავალს. მალე ოჯახში აკვანი დაირწყევა, ახალი სიცოცხლე, ახალი  
იმედი გაჩნდება...

სოფელში ატყდა თოფების ბათქა-ბუთქი, ახალი წელი თენდებოდა და მეგო-  
ბრებიც მოვიდნენ, გაიხარა ოჯახმა, ამალღდა ჭერი. ამბროსიმ „კუჩხი ბეღინერი“  
წამოიწყო, მას სხვებიც აყვნენ.

ეზოში ნავაზმა დაიყეფა. მერე მამაკაცის ხმა გაისმა.

— მასპინძელო, მასპინძელო!

— მობრძანდით, მობრძანდით, — გასძახა ამბროსიმ.

ჭიშკარს ცხენზე ამხედრებული კაცი მოსდგომოდა. მასპინძელი რომ მიუახ-  
ლოვდა, ჰკითხა:

- უკაცრავად, აქ ცხოვრობს ექიმი პერტია?!
- დიას, მე ვარ.
- გვაპატიეთ, ჩემო ბატონო, ვარლამ კალანდარიშვილი გაწუხებთ.
- მობრძანდით, ბატონო, სტუმარი ღვთისაა.
- შინ არა, მეუღლე მყავს ძძიმე ავადმყოფი, ხუთი შვილის დედა, იქნებ გვიშველოთ რამე.

- რას უჩივის?
- გული აწუხებს.
- ახლავეო, მიუვო ამბროსიმ, სასწრაფოდ სახლში შევიდა, სტუმრებს ბო-  
დიში მოუხადა, ჩანთაში სტეტოსკოპი და მედიკამენტები ჩაალაგა და სტუმარს  
გაჰყვა.

მუსაიფში ჭალა შეუმჩნევლად გაიარეს და ბექოს მიაღწენ. აი, ჩემი სამფლობელო — თქვა ვარლამმა. თოვლით დაბურულ ხეივანში სახლ-კარი გამოჩნდა.

ექიმი მოვიდაო! — გამოცვივდა მთელი ჯალაბობა, მეზობლები. სარეცელზე იწვა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი. ავადმყოფს პატარები შემოეხვივნენ და ახარეს, დედიკო, ექიმი მორძანდა, აწი არ მოკვდებით.

ექიმმა გულდასმით გასინჯა პაციენტი, გამოკითხა ყოველი წვრილმანი და შემდეგ დაბეჯითებით თქვა, საშიში არაფერიაო.

— გული რას შვრება, გული, ექიმო? — კვნესით იკითხა ავადმყოფმა.

— გულს ვერ დაემდურები, თუ გაუფრთხილდები, კიდევ დიღხანს გაცოცხლებს. ავადმყოფმა შვებით ამოისუნთქა.

ამბროსი შუაცეცხლთან ჯორკოზე ჩამოჯდა. რეცეპტი გამოწერა, ვარლამს გაუწოდა და უთხრა: ბათუმში, № 1 აფთიაქში ნახე პროვისორი მიშა წოწორია. ის ჩემი სიძეა, ყველაფერს გაგიკეთებსო. შემდეგ პაციენტს მიუბრუნდა, — ერთი წუთითაც არ იფიქრო ავადმყოფობაზე, ისეთი წამლები გამოგიწერეთ, ჩინებულად იქნებით.

\* \* \*

რამდენიმე დღის შემდეგ ექიმმა კვლავ მოინახულა ავადმყოფი. ვარლამი ხალი-სით უყვებოდა: შენი ოჯახი ააშენა დემოთმა, ეს რა ღვთისწიერი სიძე გყოლია. ბატონმა მიშამ რეცეპტი წაიკითხა თუ არა, გახარებულმა მითხრა: რამხელა ბედნიერება მომანიჭე, შვილივით გაზრდილი ამბროსის ხელმოწერილი რეცეპტი მომიტანეო. მერე დატრიალდა და სასწრაფოდ წამლები გაშიშადა, თან დამაბარა, ჩემი ამბროსი მომიკითხეო.

მიშა წოწორია ჩინებული თვითნასწავლი პროვისორი იყო. მოგვიანებით აისრულა საწადელი — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. შემდეგ დიღხანს მუშაობდა სამკურნალო დაწესებულებებში და ამ პუშანური პროფესიის ერთგული ქომაგი იყო. შვილებიც მამის კვალს გაჰყვნენ. ლუბა ქირურგია, აკაკი — აჭარის რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

ამბროსი პერტიამ ორ წელზე მეტი იმუშავა ნივითში და მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მაშინ ბევრგან მძვინვარებდა მაღარია, ზოგჯერ ტიფიც იფეთქებდა. მთავარი საზრუნავი იყო ტუბერკულოზთან ბრძოლა, მისი ნაღრვეი გამოვლინება.

დარში, თუ ავდარში სოფლის ორღობეს მიუყვებოდა ახალგაზრდა წარმოსადგევი კაცი, პაციენტის ოჯახში სიცოცხლე და იმედი შეჰქონდა. ვინ მოსთვლის, რამდენი დამე გაუთენებია ავადმყოფის სასთუმალთან და უსწეიმია სიცოცხლის გამარჯვება.



მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ნიგოთში ახლაც ახსოვთ ამბროსი პერტიამ, კარგი ექიმი, კაცური კაცი.

აი, რა გვიამბო ნიგოთელმა არკადი ხიტირმა: ამბროსი პერტიამ ჩვენს სახლში დაიდო ბინა. იგი ჩქარა გაიცხო სოფელმა, ყველასათვის ახლობელი და მშობლიური გახდა. მოგეხსენებათ, ამბროსი მეტად კეთილშობილი კაცი იყო. წამალთან ერთად მუდამ მზად ჰქონდა ტკბილი სიტყვა.

მასსოვს, ჩემს მეზობლად ავადმყოფ ქალთან მიიყვანეს; გასინჯა, წამლები გამოუწერა... მესამე დღეს ავადმყოფი ეზონი ტრიალებდა. გამეხარდა და ვკითხე: რა ჩქარა მორჩენილხარა-მეთქი. მან დამიღიოთ მთასუსხა: წამალმა კი არა, პატრიცეზული ექიმის ტკბილმა სიტყვამ მომარჩინაო.

ნიგოთელებს ისიც არ ღავიწყებიათ: ავადმყოფთან მიმავალ ამბროსის რკა-ნიგზის გადასასვლელთან ორთქლმავლის საყვირმა ცხენი დაუფრთხო, ვერაფრით ვერ მოთოკა და მიჰყვა მის ნებას. მხლებლები შეშინდნენ, ექიმს ხიფათი არ შეეშინებო. რას მიეწოდნენ, მაღლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ცხენმა ჭენებით გული იჯერა და ფერდობთან გაჩერდა. ამბროსის თურმე სიცილი აუტყდა, ამ ჯაგლაგმა ანგელოზები დამიფრთხოო, მერე მშვიდობიანად განაგრძო გზა და ავადმყოფს დახმარება აღმოუჩინა.

კიდევ ერთი იყო 30-იანი წლები ღირსსახსოვარი? პერტიების ოჯახს ქალი-შვილი შეეძინა, მას ნუნუ დაარქვეს. ორ წელიწადში ტყუბი ბიჭებიც მოეყვინათ — ნოდარი და რეზო. გაიხარა ოჯახმა.

\* \* \*

ამბროსი პერტიას ძლიერ უყვარდა ბათუმი. ამ ქალაქში დაამთავრა გიმნაზია, ცხოვრების დიდ გზაზეც აქედან გამოვიდა, და რა რიგ გაიხარა, ბათუმის პოლიკლინიკაში გადმოყვანა რომ შესთავაზეს.

ყველაზე ძნელ უბანს, ეგრეთ წოდებულ ჭაობს ემსახურებოდა.

...ზაფხულის დღეა, ამბროსის ავადმყოფთან მიეჩქარება. ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია, მწვანეში ჩაფლული ქათქათა სახლები, ქუჩაზე მოფუსფუსე ადამიანები... ჭიშკარს მოხუცი ქალი უღებს და თვალტრემლიანი ემუდარება.

— ექიმო, შვილი მიკვდება, მიშველე, გადამირჩინე.

— დამშვიდდით, ყველაფერს ვიღონებთ, — მიუგო. სარეცელზე იწვა სუნთქვა-შეკრული, მომაკვდავი ადამიანი. გულმკერდზე ყური დაადო და მძიმე მღვამარეობიდან გამოსავალს ეძებდა... აბა, ადრენალინი, გრძელი ნემსი... ყველა ღელავდა, სუნთქვა-შეკრული ელოდა გადამწყვეტ წუთს, ყველაზე მეტად მაინც ექიმი განიცდიდა, დაჟინებით უსჯერდა გრძნობადაკარგულ შვილს.

ერთი წამი, ორი, სამი... ავადმყოფმა დრმად ჩაისუნთქა. კიდევ რამდენიმე წუთი და... მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ, ავადმყოფმა მოუხშირა სუნთქვას.

მაჯა გამოჩნდა იმედიანად ჩაილაპარაკა ექიმმა, ყველას სახე სიხარულმა მოიცვა, ახალგაზრდამ თვალები გაახილა.

გადარჩა კიდევ ერთი სიცოცხლე!

ამბროსი პერტია ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა გამოიძახა და უთხრა: ხულოს რაიონულ საავადმყოფოში ექიმი ორდინატორი არ გვყავს და თუ წახვალთ, უფოფმანოდ უპასუხნია, მზად ვარ ხალხის სამსახურისთვისო.

მაშინ მთაში დიდი თოვლი იდო, გზები ჩაკეტილი იყო და ამბროსი ფეხით გაუფვა. მეგზურად მთიელი ხმელ-ხმელი, ჭაღარა კაცი ახლდა, სიბერეს ვერ დაეჯახნა იგი — მომცრო თვალებში კვლავაც შემორჩენოდა ფოლადის ელვარება.

პირველი ღამე დანდალში ბერიძის სახლში გაათიეს. მასპინძელმა გულთბი-



ლად მიიღო სტუმრები, ამბროსის უთხრა, ექიმი მონატრებული გვავს და წარჩე-  
ჩვენს სოფელში დარჩიო.

მასპინძელს ცხრა შვილი ჰყავდა, კერასთან ლოყებაწითლებული ბიჭები რომ  
დაინახა, ამბროსიმ აღტაცება ვერ დამალა.

მესამე დღეს ადრევეს ხულოში. ამბროსი მალე დარწმუნდა, რომ მთაში მე-  
ტად საჭირო კაცი იყო.

\* \* \*

ექიმა შემოვლა დაამთავრა, საწოლზე ჩამოჯდა და წიგნის კითხვა დაიწყო.  
კარზე დააკაკუნეს. ზღუბლთან ექთანი იდგა.

— ექიმო, მურადი ცუდადაა — ჩურჩულით წარმოსთქვა მან. ამბროსიმ ავადმ-  
ყოფის პალატას მიაშურა.

ახალგაზრდა კაცი დაუძლურებული იწვა ლოგინში.

მურად ქარცივაძე 30 წლისა თუ იქნებოდა, ორი კვირის წინ ცეცხლში დაე-  
წვა მეუღლე — სამი შვილის დედა. თვითონაც მძიმე დამწვრობა მიიღო. ამბროსიმ  
ყველაფერი გააკეთა ავადმყოფის გადასარჩენად. ბათუმიდან სპეციალისტებიც მო-  
იწვია. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ...

ექიმა გულდასმით გასინჯა ავადმყოფი, საშინელი მოუსვენრობა შეატყო.  
ჩალამებულ თვალებში შიში ამოიკითხა.

— მურადთან ვინმე ხომ არ მოსულა?

— ძმა იყო, ბავშვი ცუდად არისო, უთხრეს.

— აი, თურმე რაშაა საქმეო, — ჩაილაპარაკა, მურადს მიუბრუნდა და დაჟვავე-  
ბით უთხრა:

— შეგამინეს, ხომ? ბავშვს არაფერს გაუჭირვებ, ხვალვე საავადმყოფოში  
გადმოვიყვან. ახლა ეს წამალი დალიე... რომ იცოდე, ისეთი მაღამო მივიღე, რამ-  
დენიმე დღეში ფეხზე დაგაყენებ...

მეორე დღეს მურადის ვაჟი საავადმყოფოში მოათავსეს, ფილტვების ანთება  
აღმოაჩნდა. ექიმა ყველაფერი იღონა მამა-შვილის გადასარჩენად.

გავიდა ხანი. მურად ქარცივაძე დიდი მადლიერებით იგონებდა გულისხმიერ  
ექიმს ამბროსი პერტიას, ბათუმშიც აკითხავდა, სასლშიც ეპატიუებოდა, გვეწვიე,  
გაგებაჩარო.

გადიოდა წლები. ამბროსი გამოცდილი მეურნალი ვახდა, ჩუმი, უპრეტენზიო  
მუშაკი იყო, საქმით გამორჩეული და დაფასებული; ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა  
მედლიცინის უახლოეს მიღწევებს და მათ უნარიანად იყენებდა დიაგნოსტიკაში.

ხშირად იმახებდნენ სოფლებში, გულდასმით ეცნობოდა მშრომელთა ყოფა-  
ცხოვრებას, იკვლევდა შრომის, კვებისა და დასვენების საკითხებს, ავლენდა და-  
ავადებათა ნაადრევ ფორმებს, აჩქარებდა ავადმყოფის მეურნალობას.

ამბროსის განსაკუთრებით მიუხაროდა ღორჯოლში, სადაც დღევრძელ ადამი-  
ანებს საათობით ემუსაიფებოდა.

მთიდან ისევ ბარში ჩამოვიდა, ჩაქვის საავადმყოფოში კარგახანს იღვწოდა.  
შემდეგ რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო  
დარგში და თერაპიული განყოფილების უფროსი ორდინატორი. სწორედ აქ გამო-  
ჩნდა მისი ნიჭი და შეძრთება. ვინ მოთვლის, რამდენ ავადმყოფს გაუწოდა დახ-  
მარების ხელი, რამდენი ახალბედა ექიმი ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა.

საავადმყოფოში ახლაც ახსოვთ ამბროსი პერტია, ფუტკარივით შრომისმოყ-  
ვარე ადამიანი, თავისი საქმის მცოდნე, მომთხიენი, ყველას დამხმარე და მოსარ-  
ჩლე კაცი.





ომის წინა წლებში ამბროსი პერტია ჩვენი ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

შემდეგ ომი დაიწყო. სამშობლოს პირველ დამაზილზე მწყობრში ჩაღვა კომუნისტა ამბროსი პერტია. იგი თბილისის საევაკუაციო ჰოსპიტლის უფროსად დანიშნეს. თურმე ახალგაზრდა კაცმა შეუძლებელი გააკეთა — 10 დღეში გახსნა ჰოსპიტალი და მთავარსარდლობის მაღლობა დაიმსახურა.

ჰოსპიტალში დღედაღამ მოჰყავდათ დაჭრილები, მძიმე ავადმყოფები, ხეიბრები, მკვდარსაც კი შეძარავდა მათი კვნესა-გოდება.

იმ ქარცეცხლიან დღეებში ამბროსი პერტია და მისი კოლეგები თეთრად ათენებდნენ. მათ ლექსიკონში არ არსებობდა სიტყვები — დავიღალე, არ შემიძლია, ავად ვარ...

ვინ მოთვლის, რამდენ მებრძოლს შეუნარჩუნეს სიცოცხლე, რამდენი განკურნეს და გამოაჯანსაღეს.

1942 წელს ამბროსი პერტია კვლავ აჭარაში გადმოჰყავთ ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე. მაშინ ათასი საზრუნავი ჰქონდა, კაბინეტში აღამებდა და ათენებდა. საავადმყოფოები ჰოსპიტლებად იყო გადაქცეული. ფრონტიდან სულისშემძერული ცნობები მოდიოდა. ბოლოს კი ნანატრი დღე დაღვა — გამარჯვების დაუეწყარი საღუტები...

\* \* \*

20 წელზე მეტ ხანს იღვწოდა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის პოსტზე ამბროსი პერტია. ეს იყო მისი ცხოვრების საუკეთესო წლები. ამ პერიოდში დიდი გარდაქმნები მოხდა აჭარაში. მწყობრში ჩაღვა ჯანმრთელობის ახალი კერები, სამკურნალო დაწესებულებები უახლესი აპარატურითა და მოწყობილობით აღიჭურვა.

ამბროსიმ იცოდა თქმა, მედიცინის ყოველი სიახლე იმას ნიშნავს, რომ დიდხანს იცოცხლოს ჩვენმა მშობლებმა, ჩვენმა შვილებმა, ჩვენმა ხალხმაო. მისი მუდმივი საზრუნავი იყო ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდა და დაოსტატება, მათ ასწავლიდა, კეთილი მრჩეველი და გზის გამკაფავი იყო.

ამბროსი პერტიამ დახმარების ხელი გაუწოდა ახალგაზრდა ექიმს ოთარ ანჯაფარიძეს. შემდეგ მან დიდი და ძნელი გზა განვლო, მეცნიერების მწვერვალები დალაშქრა — აკადემიკოსი გახდა. ახლაც არ ივწყევს თავის კეთილ მრჩეველს, ამას წინათ საკავშირო ტელეეკრანიდანაც დიდი მაღლიერებით მოხსენია.

ნათქვამია, კარგი ქენი, ქვას დაღვიო... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ახალგაზრდას გაუკაფა გზა.

1955 წელს ბათუმში საქართველოს ჰიგიენისტთა საზოგადოების გამსვლელი სესია გაიმართა. მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები. სულ 25 მოხსენება წაიკითხეს.

მეტად საინტერესო იყო აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის ამბროსი პერტიას გამოსვლა, რომელმაც აჭარაში ჯანმრთელობის აღმავლობის საინტერესო ციფრები და ფაქტები მოიყვანა.

...რეკოლუციამდე აჭარაში მხოლოდ 120-საწოლიანი საავადმყოფო, 2 საექიმო და 1 საფერშლო პუნქტი იყო, რომლებშიც სულ 25 ექიმი და 45 საშუალო სამედიცინო პერსონალი მუშაობდა. 1955 წლისათვის აჭარის შშრომელთა სამსახურში იყო 33 საავადმყოფო 1445 საწოლით, 2 სამშობიარო სახლი 160 საწოლით, 30 სასოფლო ამბულატორია, 30 საფერშლო-სახეობი პუნქტი, 7 სანიტარული ეპიდ-

საწინააღმდეგო სადგური, 6 დისპანსერი, 42 ბავშვთა ბაგა... ამ დაწესებულებებში მუშაობდა 561 ექიმი და 1263 საშუალო სამედიცინო პერსონალი.

თუ ძველად აჭარა ქოლერის, შავი ჭირისა და მალარიის ენდემიურ კერას წარმოადგენდა, საბჭოთა ჯანმრთელობის ორგანოებმა ჯერ კიდევ 1923 წლისათვის შეძლეს ქოლერის, შავი ჭირის, ყვავილის ლიკვიდაცია, ხოლო მალარიის, რომლისგანაც ძველად არა ერთი და ორი ოჯახი გადაშენებულა, ხსენებაც არ არის.

მინისტრის მოადგილე საჭიროდ თვლიდა: მომსახურების დისპანსერული მეთოდის ფართოდ დახერგვას, დაავადების ნაადრევი ფორმების გამოვლინებას, ავადმყოფთა ჩაბმას მკურნალობაში, შრომის ორგანიზაციის საკითხების გულდასმით შესწავლას, რაც დაავადებების შემცირების და ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივების აუცილებელი პირობა გახლდათ.

ამბროსი პერტია ბევრს მოეზაურობდა აჭარის მთავორიან რაიონებში, კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს პიგიენისა და სანიტარიულ საკითხებზე, აწყობდა პაციენტთა მიღებას, ავლენდა დაავადებებს, აჩქარებდა ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციას. ყველგან გულდა მასპინძლობითა და მშობლიური მზრუნველობით ზღუბოვდნენ.

\* \* \*

1950 წლის მკაცრი ზამთარი იდგა ხულოში. თოვლის სიმაღლე 2 მეტრს აღემატებოდა. ბუნების სტიქიას მეორე უბედურებაც დაემატა — იფეთქა ინფექციამ. ადგილობრივი ძალები აბა რას გახდებოდნენ.

მაშინ მე ხულოს რაიონული გაზეთის რედაქციაში ვმუშაობდი და სამსახურებრივი საქმის გამო თბილისში მიმავლინეს. აქეთობისას თოვლმა ბათუმში მომისწრო, გზები ჩაიკეტა და ხულოში ფეხით ავედი.

რედაქციაში დაგვირეკეს, ექიმთა ბრიგადა გვეწვია ამბროსი პერტიას მეთაურობით. მინისტრის მოადგილესთან ინტერვიუს აღება მე დამევალა, ახალბედა ჟურნალისტს.

პატივცემულ ამბროსის სასტუმროში შევხვდი. მითხრა, ძალიან გაგვიგრძელებდა გზა, ხულომდე ხან ფეხით, ხან ცხენით ვიარეთო. დიდი ბრძოლა მოგვეღის. კარგი სპეციალისტები გვყავს, საჭირო მედიკამენტებიც გაგვანია და ინფექციას ძალე დავამარცხებთო.


სიტყვა არ გაუტეხია. ყოველი ოჯახის სასურველი სტუმარი იყო, ათობით ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. მასსოვს, ამბროსი ყველაზე ბოლოს გააცილეს. მან კეთილი ღიმილი დაგვიტოვა.

..ბოლოს ტიფი მასაც შეეყარა და თავადაც განიცადა ამ სენის სიმწარე.

(დასასრული იქნება)







## ჯეჯილი

### ფესვურთელები

აბა, ჩქარა, ზური,  
შენც იჩქარე, გელა,  
ზურთი მომაწოდე,  
ნუ მოდიხარ ნელა.  
მოვატყუოთ ერთი,  
მოვატყუოთ ორი...  
გავიტანოთ კარში  
ყიფიანის გოლი.  
სწრაფად, უფრო სწრაფად,  
ფეხბურთს ტემპი შევინს,  
პასი ჩემი იყოს,  
დარტყმა კიდეც შენი.  
აბა, ჩქარა, შოთა,  
შენც იჩქარე, ლაშა,  
გავიტანოთ გოლი,  
დავიძახოთ „ვაშა“!

### ნოზრამან ირამაძე

#### ხათუნა

წელს ბეშუმში ისვენებს  
ცუგრუმელა ხათუნა,  
დედას რატომ აბრაზებს  
გოგო თვალებზატულა?

საშენელს არ ეკარება,  
ჭამის მადა წაუხდა,  
რაც სიზმარში იზილა,  
იგი ცხადად აუხდა.  
— რა გაშინებს, ხათუნა,  
თქვეი, ასეთი რა მოხდა?  
— იმ პატარა ზვრელიდან  
დიდი თაგვი გამოხტა.  
— ჰოდა, მისი დაჭერა  
არ გეგონოს ადვილი...  
— ფისოს თუ არ ლოყვანო,  
სულ არ მინდა სადილი!

#### ოთარ ჭყონია

#### სიხარული

ცას ეწია სიხარულით  
თვალცქრიალა ჩვენი ეკა, —  
მისმა კრუხმა თეთრზე თეთრი  
წიწილები გამოჩეკა.  
როგორ უნდა დაითვალოს? —  
მარტო იცის „ერთი, ორი...“  
„ჰაუ, ჰაუ! — გაიძახის,  
შეაშინა ცაზე ქორი.

#### პასილ სიმონია

# მეგობრობა — გზად და ხილად

## ქეიზის ფერისწევი

გეოგრაფიკის გრაჟიკის 200 წლისთავისათვის

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. X საუკუნეში კიევის რუსეთის საზღვრები მიუახლოვდა ჩრდილო კავკასიის და შავიზღვისპირეთს. ამავე პერიოდიდან ორ ქვეყანას შორის გაჩაღდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა.

შემდგომ პერიოდში საქართველო-რუსეთის ურთიერთობა თანდათან მტკიცდებოდა, მაგრამ ის მონღოლთა შემოსევამ ხანგრძლივი პერიოდით შესწყვიტა.

მონღოლთა უღლის გადაგდების შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალი ძალით აღსდგა. ეს ძირითადად განპირობებული იყო ორივე ქვეყნის როგორც შინაგანი, ასევე საგარეო მდგომარეობით. რუსეთში მიმდინარეობდა სახელმწიფოს ცენტრალიზაცია და ძლიერების ზრდა, ხოლო საქართველოში პირობით, ფეოდალური აშლილობა, რასაც თან ახლდა ძმთა სისხლისმღვრელი ბრძოლები, ტყვეების გატაცება და მეზობელი ქვეყნების გამანადგურებელი თავდასხმები, რამაც მოახლო ქვეყნის ეკონომიკა და დასუსტა ოდესღაც ძლიერი საქართველო. სწორედ ამ გამოუვალმა მდგომარეობამ აიძულა საქართველოს მესვეურები მოენახათ ძლიერი მოკავშირე და მფარველი. ევროპაში არაერთგზის იმედის გაცრუების შემდეგ, საქართველოს ხელისუფალთა არჩევანი ერთმორწმუნე რუსეთზე შეჩერდა.

პირველად მოსკოვის დიდ მთავარს კივანე მესამეს 1483 და 1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე პირველმა მიმართა. მეორეჯერ რუსეთს, 1568 წელს ლევან კახთა მეფის ელჩობა ეწვია, რომელიც მეფე ივანე მეოთხემ დიდი პატივით მიიღო. 1585 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე მეორემ მიიღო მეფე თევდორეს ელჩები. რუსეთის სამეფო კარს სურდა ნათესაური ურთიერთობის და მეგობრობის განმტკიცება საქართველოსთან. ამავე დროს, 1587 წელს, ალექსანდრე მეორემ მეფე თევდორესაგან მიიღო „წყალობის სიგელი“. ამის საბასუხოდ კახთა მეფემ, მეგობრობის ნიშნად, „ერთგულუბნის ფიცით“ დადო რუსეთის წინაშე.

ამგვარად, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVI საუკუნიდან სრულიად ახალ შინაარსს იძენს. მიუხედავად დიდი მანძილისა, რუსეთი საქართველოსათვის გახდა ახლობელი და საიმედო პარტნიორი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზაპოროჟიელი კაზაკებისა და ქართველების საბრძოლო მეგობრული ურთიერთობა. იტალიელი მისიონერის პიეტრო დელა ვალეს ცნობით,



კაზაკების ადრიაინი ნაგები არაერთხელ მოადგნენ საქართველოს ზღვისპირეთს, ზღვებოდნენ ალერსიან და სტუმართმოყვარე ქართველებს<sup>1</sup>. დასავლეთ საქართველოში მთავრება ხელშეკრულებაც კი დასდეს კაზაკებთან თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე. ამათ უნდა აიხსნას ორი ათასი კაზაკის ვიზიტი დასავლეთ საქართველოში 1617 წელს, აგრეთვე გონიოს ციხის აღება კაზაკების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით 1647 წელს. ქართველები და კაზაკები ესმარებოდნენ აგრეთვე ერთმანეთს შავ ზღვაზე თურქი მეკობრეების ალაგმვაშიც.<sup>2</sup>

XVII საუკუნის პირველ და მეორე ნახევარში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იმ დონეზე ავიდა, რომ მოსკოვში შეიქმნა ქართველების კოლონია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი და რუსი ხალხების თანამშრომლობისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში. აკად. ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, კოლონია „ქართველი ხალხის იმ რწმენის ცოცხალი გამოსახულება იყო, რომ რუსეთი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკური ინტერესები მოეპოვება, და რომ ეს ინტერესები საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებებს არ ეწინააღმდეგება“.<sup>3</sup>

ჩრდილოეთის იმის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად, რუსეთი ბალტიისპირეთში დამკვიდრდა და მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. ამის შემდეგ პეტრე პირველი აღმოსავლეთის საკითხით დაინტერესდა და 1721 წელს საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად რუს-ქართველთა ექსპედიცია მოაწყო ირანის წინააღმდეგ, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ერთობლივი ლაშქრობა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. მიუხედავად ამისა, საქართველო არ კარგავდა იმედს და ცდილობდა ყოველმხრივ დაეინტერესებინა რუსეთი კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით.

საქართველოს მისწრაფებას ჩრდილოელი მეზობლისადმი ხელს უწყობდა არა მარტო რუსეთის ძლიერება და საერთაშორისო ავტორიტეტი, არამედ ქართველ პოლიტიკოსთა უტყუარი ინტუიცია და აქედან გამომდინარე იმედი იმისა, რომ რუსეთი დაიცავდა საქართველოს და ამდენად ხელშეუხებელი დარჩებოდა ქართველი ხალხის ეთნიკური მთლიანობა, ენა, ყოფა და კულტურა. ეს იმ დროს, როცა ირანი და თურქეთი ცდილობდნენ უხეშად ჩაეკლათ ყოველივე ეროვნული საქართველოში, რაც საბოლოოდ გამოიწვევდა მდიდარი და უძველესი ქართული კულტურის განადგურებას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის სისტემა მსგავსი იყო რუსულისა, ხოლო ირანულ-თურქული მკვეთრად განსხვავდებოდა მათგან. ამან ხელი შეუწყო რუსული ორიენტაციის გაბატონებას საქართველოში, რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას.

საქართველოს ლტოლვა რუსეთისაკენ განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა. მეფე ერეკლე მეორე დააწმუნდა, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები კავკასიაში ემთხვეოდა ერთმანეთს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა, რომელიც საქართველოსადმი მდარველობაში უნდა გამოხატულიყო, იქნებოდა საიმედო და მტკიცე. ეს ურთიერთობა ხელს შეუწყობდა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ, საერთოდ, კავკასიელების თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და მშვიდობიან განვითარებას. მეფე ერეკლე აგრეთვე საფუძვლიანად იმედოვნებდა რუსეთის დახმარებით საქართველოს ევროპეიზაციას, რასაც დადებითად უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის მიელი რიგი სოციალ-ეკონომიკური პრობლემები. ამიტომ მან კიდევ ერთხელ რუსეთთან დაახლოების ენერგიული და მტკიცე ურთი აიღო და 1752 წელს დიპლომატის გარსევან ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ელჩობა მიავლინა პეტერბურგში, მაგრამ იმ პერიოდში, სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობების გამო, კონტაქტები ორ სახელმწიფოს შორის ვეღარ გასცილდა მეგობრული და დიპლომატიური ურთიერთობის დონეს. საქართველო ისევ მარტოდმარტო ებრძოდა გარს შემორტყმულ მტრებს. სამხრეთიდან



მას ოსმალეთი უტევდა, ჩრდილოეთიდან — დაღესტნელთა მარბიელი რაზმები, სამხრეთიდან — ირანისა და ოსმალეთის ვასალი სახანოები და საფაშოები, სავაჭრო აღმოსავლეთიდან — ირანი. მიუხედავად ამისა, დროდადრო, ოცა ომებში მოწიას — აღმდეგე შესუსტდებოდა, საქართველო არამარტო წარმატებით იცავდა თავს, არამედ ზოგჯერ იმორჩილებდა მეზობელ სახანოებსაც. ერეკლე მეორე განსაკუთრებით ცდილობდა დაეცვა მომე სომეხი ხალხი. მაშინ რაც სომეხ ღიძებულთა და მდიდარ ემიგრანტ ვაჭრებს შორის არსებობდა საქართველოსთან ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების ძლიერი ტენდენცია.<sup>4</sup> საერთო ძალით მათ სურდათ დაეცათ ეროვნული თვითმყოფადობა. ამიტომ ქართველთა ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ ისინი აქტიურად უშეზღუდვად მხარს. ამავე დროს მეფე ერეკლე წარმატებით იბრძოდა დიპლომატიურ სარბილზედაც და ყოველმხრივ ცდილობდა მხარი დაეჭირა რუსეთის საგარეო პოლიტიკისათვის.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში არსებული პოლიტიკური ვითარების დეტალური შესწავლის შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო კარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კარგი პერსპექტივა ჰქონდა მშვიდობიანი გზით პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტების დამყარება არამარტო კავკასიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც. ამიტომ, 1781-1782 წლებში პეტერბურგში შემუშავებული გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო საქართველოს გაძლიერება და სახელმწიფოებრიობის აღდგენა სომხეთში და აზერბაიჯანში. ამ გეგმის საფუძველზე, ჩრდილოეთ კავკასიის ქ. გეორგიევსკში, 1783 წლის 24 ივლისს დაიდო ე. წ. „მფარველობითი ტრაქტატი“, ანუ „მეგობრული ტრაქტატი“, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს რწმუნებულებმა გარსევან ჭავჭავაძემ, ივანე მუხრანბატონმა და რუსეთის საიმპერატორო კარის რწმუნებულმა პავლე პოტიომკინმა. 1784 წლის 24 იანვარს ეს დოკუმენტი რატიფიცირებული იქნა რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორესა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორის მიერ.

ტრაქტატი შედგებოდა ცამეტი ძირითადი და ოთხი საიდუმლო მუხლისაგან, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო შევიდა რუსეთის მფარველობაში, რუსეთმა აიღო ვალდებულება დაეცა ის გარეშე მტრებისაგან და საქართველოს მტრები ჩაეთვალა თავის მტრებად. ორთავე მხარე ვალდებული იყო საგარეო პოლიტიკა წარმართა ურთიერთ ინტერესების დაცვით. ქართლ-კახეთის სამეფო ვალდებული იყო, საპირო შემთხვევაში, დახმარებოდა რუსეთს სამხედრო ძალით. თავის მხრივ რუსეთი ვალდებული იყო მტრების მიერ მიტაცებული ქართული პროვინციები, განთავისუფლების შემდეგ, დაებრუნებინა საქართველოსათვის.

ამრიგად, ტრაქტატი, პირველ რიგში, ხელსაყრელი იყო საქართველოსათვის. ის გამოხატავდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ოცნებას და მისწრაფებას. მან ხელი შეუწყო რუსი და ქართველი ხალხების დაახლოებას და მეგობრობას, აგრეთვე საქართველოს რუსეთთან შეერთებისათვის ნიადაგის მომზადებას.

მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, საქართველოს რუსეთთან შეერთებას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ირან-ოსმალეთის აგრესიისა და ლეკთა განუწყვეტელი გამანადგურებელი თავდასხმების გამო, რომელსაც თან ერთვოდა ფეოდალური შინაშლილობა და ძმობამკვლელი ომები, ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველო დაუკავშირდა უფრო მოწინავე, პროგრესულ ეკონომიკურ სისტემას, რამაც ხელი შეუწყო ქართული კულტურის სწრაფ აღმავლობას. ქართველი საზოგადოება გაეცნო რუსი დემოკრატ-განმანათლებლებისა და რევოლუციონერების შრომებს, რომლებმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქართული დემოკრატიული აზროვნებისა და იდეების განვითარებაზე.

მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა საქართველოს რუსეთთან შეერთება დადებითად შეაფასეს. „ეს ერთადერთი გზა იყო ქართველი ერის გადარჩენისათ“, წერდა დიდი ილია. მანამდე ასეთივე აზრი გამოთქვა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, შემდეგ აკაკიმ, ნიკო-



ნიკოლაძემ, იაკო გოგებაშვილმა და სხვებმა. ისინი არ იფიქრებდნენ, რომ მეცნიერული სეთის გარდა, არსებობდა დემოკრატიული რუსეთი, დიდი რუსი ხალხი, რომელთა მემკობრობა და სიხლოვე ხელს შეუწყობდა საქართველოს განვითარებას და წინსვლას. აი რას წერდა აკაკი: „ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია რუსეთში არიან ისეთებიც, ვისაც არ სურს და ეჯავრება ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთან ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიობო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელთაც ეწოდება ძმობა, ერთობა და თანასწორობა“.

დიდი აკაკის ეს ბრძნული სიტყვები სრულად აღსრულდა. ქართველები და რუსები, სხვა ხალხებთან ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ კავშირში უდიდეს წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის და განათლების სფეროში.

ლევან კალანდარიშვილი,  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

#### შენიშვნები

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. გვ. 184, 299.
2. ევლია ჩელები, მოგზაურობა, თბ. 1971, გვ. 323.
3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 2, გვ. 227, 231.
4. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ. 1982, გვ. 252-253.

## ჩვენი კლიჩეების წყარო

როგორც დიდი საერთო-სახალხო დღესასწაული, ხალხთა მეგობრობის ჭეშმარიტი ზეიმი — ასე აღნიშნეს ჩვენი დიდი ქვეყნის მშრომელებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავი.

ამ ზეიმის აპოთეოზი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

„საბჭოთა კავშირის მიერ 60 წლის მანძილზე გამოვლილი გზა, — თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ეს მთელი ეპოქაა. კაცმა რომ თქვას, ისტორიას არ ეხსოვება ესოდენ სწრაფი აღმადრენა ჩამორჩენილობის, უბედურებისა და გაპარტახების მდგომარეობიდან თანამედროვე მძლავრ დიად სახელმწიფომდე, რომელსაც აქვს კულტურის უმაღლესი დონე და რომლის ხალხის კეთილდღეობა ნიადაგ უმჯობესდება“.

ამ სიტყვების საილუსტრაციოდ შესანიშნავი მაგალითია საქართველოს, კერძოდ,

აჭარისა და მისი დედაქალაქის ბათუმის მშრომელთა მიერ განკლილი გზა საბჭოთა  
ლისუფლების წლებში.

ბათუმს სამართლიანად უწოდებენ მცხეთის ქალაქს, დიდი რევოლუციური და შრო-  
მითი ტრადიციების ქალაქს.

ბათუმში მცხოვრები მც-მდე ერისა და ეროვნების, ისევე როგორც მაღალია საქა-  
რთველის მშრომელთა ურდევითი ერთიანობა და სეკანდარული კომუნისტუ-  
რი პარტიის გარშემო რელიგიურად გამოიყვანა დღევანდელ ეტაპზე. ამის დასტურია  
წარმატებები ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ყველა დარგში,  
სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებასში.

ბათუმი ჩვენი დიდი სამშობლოს ერთი იმ ქალაქთაგანია, სადაც სხვადასხვა ერო-  
ვნების აღმსარებლები მეგობრულად თანხმობით ცხოვრობენ და პატრიოტულად იღვწიან  
როგორც ქალაქის, რესპუბლიკის, ასევე ჩვენი ერთიანი სოციალისტური სამშობლოს  
წინსვლისა და აყვავებისათვის. ბათუმის საწარმო-დაწესებულებებში, სამშენებლო ობი-  
ექტებზე, უმაღლეს სასწავლებლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, კულტუ-  
რის, განათლების, ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მთელ რიგ  
სხვა ობიექტებზე ერთმანეთის მხარდამხარ იღვწიან ქართველები და რუსები, სომხები  
და აზერბაიჯანელები, აფხაზები და ოსები, უკრაინელები და ებრაელები, ბერძნები და  
ასიერელები.

ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების, მოზარდი თაობის პატრიო-  
ტული და ინტერნაციონალისტური აღზრდის საქმეში საკუთარდღებო გამოცდილება და-  
აგროვა ბათუმის სახალხო დემუკრატია საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების გან-  
ყოფილებამ. ქალაქის სკოლებში შემოქმედებითად უდგებიან აღმზრდელობით მუშაობა-  
ში პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის თეორიული შემკვიდრებისა და მისი  
ცხოვრების მაგალითების გამოყენებას, საღუძველს უყრიან მოსწავლეებში კომუნისტური  
მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. შექმნილია ვ. ი. ლენინის თათბები და კუთხეები,  
მოწყობილია სტენდები, რომლებზედაც ასახულია ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის  
მშრომელებთან დიდი ბელადის ურთიერთობა, გამოდგენილია მასალები, რომლებიც ასა-  
ხავენ ლენინის ურთიერთობას საქართველოს მშრომელებთან და რევოლუციონერებთან,  
მისი გამონათქვამები საქართველოს, ჩვენი ქალაქის რევოლუციური მოძრაობის შესახებ.  
ყოველთვის საზეიმო ღიაობაში აღიზიანება ვ. ი. ლენინის დაბადების დღეები, ეწყო-  
ბა ლენინური ჩათვლები, ლენინური კვირეულები, პიონერული რაზმებისა და რაზმეულე-  
ბის შეკრებები. ქალაქის სკოლებში ტრადიციად იქცა ოქტომბრელთა მიღება პიონერულ  
ორგანიზაციაში დიდი ბელადის ძეგლთან, რევოლუციის მუზეუმში, დიდების ობელისკთან.  
ამ ღონისძიებებს ხშირად ესწრებიან სხვადასხვა ეროვნების რევოლუციის, სამამულო  
ომის, შრომის ვეტერანები, მოწინავე აღმსარებლები, სამხედრო მოსამსახურენი.

ქალაქის სკოლების პედაგოგები იყენებენ მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრ-  
დის სხვადასხვა ფორმებს. ისინი აცნობენ მოსწავლეებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა, კერ-  
ძოდ, რუსი და ქართველი ხალხების ძმობის ისტორიულ ფესვებს, რევოლუციის, სამო-  
ქალაქო ომის, დიდი სამამულო ომის ისტორიას, მოსწავლეებს ზრდიან ჩვენი ხალხის  
რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებზე, მოზარდი თაობის ინტერნაცი-  
ონალურ აღზრდაში ეფექტურად იყენებენ ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქალაქის მაგა-  
ლითებს.

დიდ როლს ასრულებენ მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში სკო-  
ლებში შექმნილი ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები. კლუბების წევრებს მე-  
გობრული ურთიერთობა და მიმოწერა აქვთ საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის მოძმე  
რესპუბლიკების თანატოლებთან. ხშირად უგზავნიან და ლებულობენ ამანათებს, ფოტო-  
სურათებს, ღია ბარათებს. მარკებსა და სხვა.



№ 1 სკოლის ინტერკლუბის „იდეალის“ წევრებს მიმოწერა აქვე უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მოკავშირე რეპუბლიკების თანატოლებთან, სკოლის ინტერკლუბის წევრებს — ბელორუსიის სოფელ რეავეის პიონერებთან, სოფლისა, სადაც დაკრძალულია პოეტი-ჯარისკაცი მირზა გელოვანი. მე-16 სკოლის ინტერკლუბის წევრებს მიმოწერა აქვე თბილისის „ჯონ რიდის“ ეკიპაჟთან, ეს კლუბი ხომ ჯონ რიდის სახელობისაა.

21 ეროვნების წარმომადგენელი სწავლობს და შრომობს ი. ფუჩიკის სახელობის № 15 სკოლაში. სკოლა ამაყობს თავისი ინტერნაციონალური ტრადიციებით. მოსწავლეებს გვეგობრებული ურთიერთობა აქვთ ჩეხოსლოვაკიის ქ. იგლავის ნორჩებთან. ასევე მეგობრობენ ბულგარულ თანატოლებთან გ. დიმიტროვის სახელობის № 24 სკოლის მოსწავლეები. ნაყოფიერად მუშაობენ სხვა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბებიც.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინტერნაციონალური აღზრდის საკითხს მოსწავლეთა მხატვრულ რეკონსტრუქციებში. ქართული სკოლების მოსწავლეები სწავლობენ სსრ კავშირის ხალხთა სიმღერებსა და ცეკვებს, ზოლო რუსულ და სომხურ სკოლებში ხშირად ასრულებენ ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს.

მოსწავლეთა ინტერნაციონალურ აღზრდას დიდად უწყობს ხელს თვალსაჩინო აგიტაცია, სკოლებში მოწყობილია მეგობრობის ტენდები, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიისა და თანამედროვეობის ამსახველი მასალები.

მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმი და მხარეთმცოდნეობა. საკავშირო პიონერულ მარშით — „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა“ ეწყობა დაუსწრებელი მოგზაურობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, ლენინურ ადგილებში.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა „სტუდენტური დღეები — 82“, რომელიც ჩატარდა დღეებით — „გავაგრძელებთ უფროსი თაობის საუკეთესო ტრადიციებს“. აღსანიშნავია, რომ ამ ზეიმში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებმაც ბათუმის სკოლები დაამთავრეს. ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია — „დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფლო!“

ბათუმელი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ ექსკურსიებში დღეებით „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა“. მესაზღვრეთა რაზმთან ერთად მათ მოაწყვეს დათვალიერება-კონკურსი სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებზე, ჩატარდა „სასაზღვრო ჯარების კვირეული“. მის პროგრამაში იყო თემატური საღამოები, საუბრები, ლექციები, კონცერტები. მოეწყო ავტომოტო ესტაფეტა დღეებით „სსრ კავშირის საზღვრებს მიღეი ხალხი იცავს“, ლიტერატურული „ოთხშაბათი“ — აზერბაიჯანის საბჭოთა პოეზია, ესტონეთის საბჭოთა პოეზია, ბელორუსიის საბჭოთა პოეზია და სხვა.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ზეიმის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის დიდი დღესასწაული — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი, რომელიც წელს აღინიშნება. სწორედ ამ თარიღის ღირსებული აღნიშვნისათვის წარგმართავთ ამჟამად მთელს ჩვენს მუშაობას მოზარდი თაობის პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვთებით აღსავსედღალ.

ზინა კომხენიძე,

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების განკე.



# პრიმიკა და გიგლიოგრაფია

ანიმო ქლენტი

## ანასტასია პრისტავ-ხოშტარისა საბავშვო თხზულებანი

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია გორის პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სოფელ ფტაში — პაპისეულ ოჯახში, სადაც გაიზარდა და შეესისხლბორცა თავის საყვარელ გლეხობას, განიმსჭვალა მისდამი უსაზღვრო თანაგრძნობით. ქართველი ხალხის დიდი მოწირმანულებების — მიხეილ ყიფიანისა და ნიკო ლომოურის აღზრდილს, ერთი მიზანი ასულდგმულებდა — შეეტანა ნათელი სხივი სიბნელესა და უმცერებაში. ენთუზი-აზმითა და გატაცებით შეუდგა ანასტასია პედაგოგიურ მოღვაწეობას. გარდა პრაქტიკუ-ლი საქმიანობისა, მან გადაწყვიტა საკუთარი შემოქმედებითაც მიეღო მონაწილეობა მო-ზარდი თაობის სულიერ წრთობაში.

პირველი ნაწარმოები, რომლითაც ანასტასია ერისთავმა შემოდგა ფეხი მწერლობა-ში, იყო მის მიერ ინტერპრეტირებული ოსური ლეგენდა „ბესო“. ეს ნაწარმოები დაიბე-ჭდა პირველ საბავშვო ყურნალ „ნობათში“. „ბესო“ წარმოადგენს ქართული ფოლკლო-რისტიკის ერთი უმთავრესი ძეგლის — „ამირანიანის“ ოსურ ვარიანტს.

ლეგენდას მწერალი ასე ამთავრებს:

„ასე და ამრიგად დარჩენილა ხალხში და საშვილიშვილოდ ერთი შთამომავლობიდან მეორეში გადადის კავკასიონის მთებზედ მიჯაჭვულის გმირის ამბავი, რომელსაც ბოროტი ძეგა გულს გლუჯდა...

დღემდე, როგორც ძველ დროში, იტანჯება კავკასიონის კლდეზედ მაგრათ მიჯაჭვული ამირანი, ცდილობს თავის ბოროტი ახსნას, განდევნოს თავიდან მისი გულის დამაშხა-მებელი ძეგა, რომ ცილამ მაცოცხლებელი კვარი ჩამოუტაროს ხალხს. მაგრამ ამაოა ყო-ველივე — დღემდე, როგორც ძველად, ეს მაცოცხლებელი წმიდა კვარი — ეს ერთად-ერთი სახსარი უკვდავებისა და განათლებისა, მხოლოდ ზეცას არის ანთებული“.

სწორედ ამ მაცოცხლებელი წმიდა კვარის ერთი სანთელი მიიტანა ანასტასია ერის-თავმა თანასოფელელ ბავშვებთან, დაუწერა მათ მშვენიერი მოთხრობები, რომლებიც ყველას კეთვნილება გახდა.

მშობლიური ქვეყნის ინტერესების დამცველი, მებრძოლი პიროვნების ფორმირების საკითხი დიდად აინტერესებდათ და აღელვებდათ ქართველ სამოციანელებს, საქართვე-ლოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტლისჩამდგმელებს. ამ საქმიანო-



ბაში აქტიურად მონაწილეობდა XIX ს-ის ქართველ მწერალოთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ ბოლშევიკთა წინააღმდეგ. ი. ჯავახიშვილი, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხია, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა თქვეს ამ საკითხებზე.

სწორედ ასეთი მებრძოლი პიროვნების დაბატვის სურვილით იყო ნაკარნახევი ამ უპატიო ღვაწლის გაცოცხლება. ანასტასიას სურდა შეექმნა მშრომელი ხალხისათვის თავშენიერების ახალგაზრდა კაცის სახე. ეს იყო ურთულესი ამოცანა, რომლის დაძლევა გაუჭირდებოდა ჩვილმეტი წლის ქალიშვილს. ანტონი მიმართა მან ხალხურ ზეპარ-სიტყვიერებას, მის წიაღში მონახა თავისი იდეალი.

უნდა აღინიშნოს, რომ სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში ა. ერისთავი ხშირად მიმართავდა ფოლკლორს. „ყავდინა ბაბილაშვილი“, „გემიკის სამარა“, „განგება ღვთისა აღსრულდეს“, — ყველა ამ თხზულებაში მწერალი ეყრდნობა ოსურ ლეგენდებსა და თქმულებებს.

სოფელი ფცა, სადაც ანასტასიამ დაიწყო თავისი შემოქმედებითი ცხოვრება, ტერიტორიულად ემდებოდა ოსეთს, ამიტომ იყო იქ ესოდენ მომძლავრებული ოსური ფოლკლორი. ამ ლეგენდების თუ თქმულებების გადმოცემით მწერალი ხან სამღვდლოებას ჰდის ნიღაბს, ხან მოურავების თვალთმაქც და დაუწოდებელ ბუნებას აწიშვლებს, გმობს სიხარბეს, ევრაგობას და ა. შ.

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას საბავშვო მწერლობაში ხალხური შემოქმედების გამოყენებაზე. იგი აღნიშნავდა, რომ ზღაპრებს, ლეგენდებს, ანდაზებსა და გამოცანებს, რომლებშიც იხატება ხალხის ზნე-ჩვეულებანი, უდიდესი ზემოქმედება შეუძლიათ მოახდინონ ბავშვის გონებასა და ზნეობაზე.

პირველი ორიგინალური მოთხრობა, რომელიც ანასტასიამ ბავშვებისათვის დაწერა, იყო „პატარა ნუცას სათხოვარი“. („ჯეჯილი“, 1893 წ. № 3). მწერალი ალაპარაკებს თავის პატარა გვირს — ნუცას. მისი სიტყვები ვაისმის, როგორც წმინდა, სვეტაკი სულის აღსარება, დედის სადიდებლად აღვლენილი. საერთოდ, ამ თემაზე დაწერილი მოთხრობები მრავლად გვხვდება იმდროინდელ საბავშვო ჟურნალებში. ცალკეულად დედა, შვილებით ვარშემორტყმული, ღღე და ღამეს ასწორებს, რათა ბავშვები გამოცეცხოს. ამ თემაზე აღსანიშნავია ელენე მამულაშვილის, სონია ციციშვილის, განსაკუთრებით მარიამ დემურაის („შალვა და თამარი“, „მხერხავი ლექსი“) მოთხრობები, დაზგუდონი „ჯეჯილი“ და „ნაკადულში“.

ვიდრე ა. ერისთავის „პატარა ნუცას სათხოვარი“ გამოქვეყნდებოდა, ერთი წლით ადრე, ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორმა, ცნობილმა საბავშვო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა დაბეჭდა მოთხრობა „ღმერთი ხედავს“ („ჯეჯილი“, 1892 წ. № 5). მწერალი შთაგონებს ბავშვებს, რომ რაც არ უნდა გაუჭირდეთ ცხოვრებაში, მხოლოდ პატიოსნება უნდა უნათებდეს ზვას.

შემდეგი მოთხრობა, რომელიც ა. ერისთავ-ხოშტარიამ უძღვნა ბავშვებს, იყო „პატარა ნებიერი“. („ჯეჯილი“, 1900 წ. № 12). მწერალი ებრძვის ბავშვის ნებიერად აღზრდას. რომელიმე ბავშვის გამორჩეულ სიყვარულს სხვა შვილებთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობა ნაკლებად შთამბეჭდავია, არ არის გამოცვეთილი მთავარი გვირის — სულიკოს სახე, აკლია მამხილებელი პათოსი.

ბავშვთა განვითარების წინააღმდეგ არა ერთი ნაწარმოები შექმნილა ქართულ საყმაწვილო ლიტერატურაში. განსაკუთრებით გამახვილებული აქვს ამ თემაზე ყურადღება ნინო ნაყაშიძეს. მას მიაჩნდა, რომ ბავშვმა არ უნდა იგრძნოს გადაჯაბბებული ყურადღება, მასში არ უნდა განმტკიცდეს აზრი, თითქმის ის არის კერპი ოჯახში და ყოველი მისი სურვილი უნდა შესრულდეს. ასეთიანად გაზრდილი ბავშვი, მწერლის აზრით, გა-



მოვა კაცთმოძულე და ეგოისტი. ეს აზრია გატარებული მის მოთხოვნებში: „არ გვი-  
კადრა“, „სიყვარულის გულისთვის“, „ორი შვილი“, „ბავშვმა ამხილა“ და სხვა.

მშრომელი ხალხისადმი უსაზღვრო თანაგრძნობა უკარნახებდა ა. ერისთავ-ხოშტარია-  
ას შეექმნა ნაწარმოებები, სადაც უფრო ცხადად გამოიკვეთებოდა გლეხთა შვილების ჯან-  
სალი ბუნება. ამას მწერალი წარმოაჩენდა მდიდრეებისა და მუქთანობის შვილებთან მა-  
თი დაპირისპირებით. უპირატესობა მუდამ ღარიბ ბავშვებს ენიჭებოდა.

იაკობ გოგებაშვილმა 1891 წელს გამოსცა კრებული „ხოშილი“. მასში დაბეჭდილია  
ნაკლებად ცნობილ მწერალთა ნაწარმოებები, რომლებშიც დაპირისპირებულია მტკთა-  
ხორა მდიდრების დროსტარება და მშრომელთა უნუგეშო მდგომარეობა.

ამ თემას უძღვნა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ მოთხრობა „უებარი მკურნალი“  
(„ჯეჯილი“, 1907 წ. № 12). მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს ღარიბ და მდიდარ  
ბავშვებს. მაგრამ, ამავე დროს, ის მათ ამეგობრებს, აერთებს. ავტორი ამით გვეუბნება,  
რომ ბავშვები მიიღებიან იქეთ, სადაც სიკეთეს ხედავენ. მათ ვერ აფერხებთ წოდებრივი  
და ქონებრივი ზღუდეები. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას „უებარ მკურნალს“ თითქმის  
გამოცხმავურა ნინო ნაკაშიძე, როცა დაწერა მოთხრობა „მათია და ნიკო“. ეს მოთხრობა  
კონტრასტებზეა აგებული. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ქალაქი და სოფელი. სოფლის  
ღარიბი ბავშვის უპირატესობა იმაშია, რომ იგი ლალი ბუნების წიაღში იზრდება, დაკონ-  
კილი ტანსაცმლის ქვეშ სალი გული უცემს. ხოლო ქალაქელი მდიდრის ბავშვი კარჩა-  
კეტილია. იგი გალიაში გამოამწყვდეულ ზრტას პავს. „მიეციო ბავშვს თავისუფლება,  
განმარტოებულ ცხოვრებას შეუძლია გააქაავოს ბავშვის ფაქიზი სული“ — გვიქადაგებს  
მწერალი. იგივე სულისკვეთება გამოხატული ნ. ნაკაშიძის მოთხრობებში „პასუხად პა-  
ტარა მესხის“, „ორი დედოფალა“.

გულმოწყალე თავადები და ღარიბი, გაპირვებული გლეხები, მათი ურთიერთობა, —  
ამ თემაზე შექმნა თავისი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები — „სახალწლო ფეშქაში“,  
ეკატერინე გაბაშვილმა. ამავე თემატურ რაკლში შემოდის გიორგი წერეთლის ზღაპარი  
„ღვთისწყალობა“. აქაც იგივე კონსტრასტია — ღარიბი, გამრჩე ცოლ-ქმარი, მათი  
შვილი ღვთისწყალობა და ბროლის კოშკში მცხოვრები მდიდარი „მიწა-რემია“.

ეკატერინე გაბაშვილისა და გიორგი წერეთლის ნაწარმოებების განხილვამ ნათლად  
გვიჩვენებს, რომ ანასტასია ერისთავ-ხოშტარია „უებარი მკურნალით“ მხარს უბამს თა-  
ვის წინამორბედთა და წარმოგვიდგება, როგორც საკუთარი თვალთახედვის მქონე მწე-  
რალი.

1904 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და საბავშვო მწერლის მარიამ დემუ-  
რიას ინიციატივით დაარსდა მეტად საინტერესო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“.   
ჟურნალის ნომრების ერთი წყება განკუთვნილი იყო მცირეწლოვანთათვის, მეორე წყე-  
ბა კი — მოზრდილთათვის. ჟურნალს ჰქონდა სურათებიანი დამატება.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია „ნაკადულის“ აქტიური თანამშრომელი გახდა. მისი  
პირველი მოთხრობა, რომელიც ამ ჟურნალში დაიბეჭდა, იყო „ფელამუში“ („ნაკადული“,  
1906 წ. № 11). მწერალი ბავშვს უნერგავს სიკეთეს, მეგობრისადმი თანაგრძნობას.

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ პატარებისთვის განკუთვნილ ნაწარმოებში ძლიერ  
უნდა გამაჩვილდეს ყურადღება ჰუმანურ გრძნობებზე, სიმართლისადმი მისწრაფებაზე.  
საბავშვო ნაწარმოებმა უნდა დაიცვას მოზარდი თაობა ცუდი ზნე-ჩვეულებებისაგან, მავნე  
გავლენისაგან.

სწორედ ამგვარი თვალსაზრისის გარშემო გაიმართა პოლემიკა კრიტიკოს ივანე გო-  
მართელსა და ცნობილ პედაგოგ ლუარსაბ ბოცვაძეს შორის. 1898 წელს გაზ. „ივერიაში“  
ლ. ბოცვაძემ განიხილა ჟურნალ „ჯეჯილის“ რამდენიმე ნომერი. ამასთან დაკავშირებთ  
მას შეეკამათა ივ. გომართელი. მისი აზრით, საბავშვო ლიტერატურას, უპირველესად,  
ნამდვილი ცხოვრების ქვეშაირი ხატვა უნდა მოვთხოვოთ. ის უნდა გვიჩვენებდეს  
ადამიანის ყოველგვარ თვისებას: ზნეობასაც, უზნეობასაც, ბოროტებასაც, სიკეთესაც-



მხოლოდ ყოველი მათგანი ღირსეულად უნდა იყოს შეფასებული, რომ ბავშვმაც კეშმა-  
რიტი წარმოდგენა იქონიოს, კარგი შეიყვაროს, ცუდი შეიძულოს.

გაზეთი  
საქართველო  
საქართველო

ლუარსაბ ბოცვაძემ თავის ოპონენტს მწვავე ფელეტონით უბასუხა:

„მისთანა მოთხრობები, რომლებშიც აღწერილია ცხოვრების ცუდი მხარე, გამოიწვევს ბავშვში უკეთესს კი არა, უარესს სულის მოძრაობას. განა უგუნურება არ არის, — წერდა ლ. ბოცვაძე, — გვებოთ ბავშვი დამპაღის საქმელით იმ აზრით, რომ გაიგოს ცნება ამგვარი საქმელისა.

აღმზრდელი უნდა ხელმძღვანელობდეს საუკუნის იდეალით“.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარის რაიმე თეორიული მოსაზრებები არ შემოუთავაზებია. მართალია, ის უსაზღვრო გატაცებით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ მას არ უცდია ჩამოეყალიბებინა საკუთარი პედაგოგიური მრწამსი. საკუთარი შეხედულება ბავშვის ზნეობრივ აღზრდაზე მან გამოხატა თავის საბავშვო მოთხრობებში. მისი მხატვრული მემკვიდრეობის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მწერალი იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მრწამსის აქტიური მხარდამჭერია. ანასტასია ცდილობს ჩაუწეროს ბავშვს ჰუმანური გრძნობები, ამავე დროს დაიცვას მავნე ზნე-ჩვეულებებისაგან, ჩაუწეროს მშობლებს, აღზარდონ მშრომელი, სამართლიანი გულმორწყალე პიროვნება.

სწორედ ბავშვის მავნე ზნე-ჩვეულებებისაგან დაცვის სურვილით შექმნა მწერალმა მოთხრობა „შეუბრალებელი“ („ნაკადული“, 1908 წ. № 5). ანასტასია ერისთავ-ხოშტარი ამ გაიციხა შეუბრალებელი ბავშვი, სცადა დაერწმუნებინა, რომ ცუდი საქციელისათვის მას ყველა ზურგს შეაქცევდა, ჩამოშორდებოდა.

ამავე თემაზე ესაუბრებოდა ბავშვებს იაკობ გოგებაშვილი. შინაური ფრინველები, ცხოველები, ჩიტის ბუდეების მოშლა, ბარტყების ამოსხმა შთაბეჭდავდაა ასახული მის ნაწარმოებებში: „კატო და კატა“, „თავენა თავი“, „მჩხავანა კატა“, „ჩიტის ბუდის ფასი“ და სხვა.

ფრინველებისა და ცხოველებისადმი შემბრალებლობის ქადაგება ქართულ საბავშვო მწერლობაში თავიდანვე ენერგიულად გაისმა. პედაგოგი მიხეილ ნასიძე „ივერიაში“ შენიშნავდა: „ნობათი“ ყოველ თავის ფურცელზე სულ ჩიტებზედ ლაპარაკობს, თითქმის იგი იყოს სპეციალური ორგანო „პირუტყვთ-დამცველთა საზოგადოებისა“. მართლაც და „ნობათმა“ ჩვენს ცხოვრებაში ჩიტების მეტი ვერა იპოვა-რა. მათი წამკითხველი იფიქრებს, რომ ქართველი ბავშვები მართო ჩიტებს იჭერენ და აფერენენ და სხვა არაფერი იცინაო. სამ წიგნში თავს გაბეზრებენ ზედისზედ. 1) „საბრალო ჩიტი-ლილიუტისა“, 2) ჩიტი „თოხიტარა“ აკაკის, 3) „ჩიტი“ რ. ერისთავისა, 4) „ჩიტი და ყმაწვილი“ — ცახელისა.

მიუხედავად მ. ნასიძის ასეთი აღელვებისა, ქართველი მწერლები შემდგომშიც სისტემატურად ესაუბრებოდნენ ბავშვებს ამ თემაზე. იმავე „ნობათში“ დაიბეჭდა დიდი ქართველი ბელეტრისტის ალ. ყაზბეგის შესანიშნავი მოთხრობა „მტრედი“. მრავალი საინტერესო მოთხრობა და ლექსი დაიბეჭდა „ჯგჯილში“. ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის „ჩიტების ახალი წელიწადი“, შიო მღვიმელის გულში ჩამწვდომი ლექსები „პაწია მერცხლის საყვადური“, „ცელქ რუსესადმი“.

ჩიტების სიყვარულს ასწავლიდა ბავშვებს ნინო ნაკაშიძეც, ამის ნათელმოყოფილია მისი მოთხრობები „ბავშვები და ბედურები“, „ჩიტის ბუდე“ და ა. შ.

ბოლოს, ნოველა, უფრო სწორად, მხატვრული ესკიზი — „ლუკმა ბურისათვის“. ნაწარმოები ღირსშესანიშნავია იმით, რომ მწერალი ასახავს დიდ სოციალურ მოვლენას. ესაა ქალაქში სამარწველო კაპიტალიზმის მომძლავრების, ხოლო სოფლის უკიდურეს გაღატაკების ხანა. ეს პროცესი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და მხატვრულ ლიტერატურაშიც იმთავითვე აისახა.

საბავშვო მწერლობაში აღსანიშნავია ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „მშვირადის ოჯახი“. მწერალმა ეს თხზულება დაწერა 1894 წელს. მოთხრობის გმირია სვიმონა მშვირადე, რომელიც თავისი ცოლ-შვილით სამი წლის გადმოსული იყო ქალაქში. ოჯახი ბედნიერად



გრძნობდა თავს, რადგან ქალაქის განაპირას პატარა ქოხი ჩადგოთ და საკუთარ პერქვეშ ცხოვრობდნენ. „სეიშონა ზამთრობით შეშას ხერხავდა, მისი ცოლი კი რეცხავდა და პურს აცხობდა.

ერთხანს მათ უბანს დანგრევა მოუწოდომეს, მაგრამ ხალხმა არ დაანება. და დარჩა ეს „ძალათ უბანიო“ — წერს ავტორი.

საფიქრებელია, რომ სწორედ ეს უბანი იყო „ნაძალადეოდ წოდებული, შემდგომ-ში რომ მუშათა რევოლუციური მოძრაობის მძლავრ კერად იქცა.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამაც არ აუარა გვერდი ეპოქის ამ მწვავე სოციალურ მოვლენებს. ნოველა „ლუკმა პურისთვის“ მან გამოაქვეყნა 1909 წელს ჟურნალ „ნაკადულში“. თან დაურთო განმარტება — „მოზრდილთათვის“, ჩანს, ამგვარი მასალის მიწოდება მცირეწლოვანთათვის ნადრევად ჩათვალა.

ნოველა იწყება ზამთრის თვალისმომჭრელი სურათით. თოვლით დაფენილ შარავზაზე მოსრიალეებს მარხილი. ავტორი არაფერს გვეუბნება, ვინ ზის ამ მარხილში, რას წარმოადგენენ მგზავრები... მხოლოდ ერთი სიტყვაა, რომელიც მიგვანიშნებს ამ მგზავრთა მდგომარეობას. სახელდობრ, მწერალი გვაუწყებს, რომ „გამოჩნდა სადიდკაცი (ხაზი ჩვენია ნ. უ.) მარხილი. ეს იმის მანიშნებელია, რომ მგზავრები არ უნდა იყვნენ დაბალი წრის წარმომადგენლები.

...სამი დღეა მეეტლის პოუთმენელი შეძახილები განუწყვეტლივ ჩაესმოდა ყურში პატარა რვა წლის გაიას, რომელიც დედ-მამის შუა ჩამჯდარიყო.

— ხომ არ მივედით, მამი? — მოუთმენლად კითხულობდა ბავშვი.

— არა, შეილო, ჯერ დიდი გზა გვაქვს გასავლელი! — ამის შემდეგ ავტორი წარმოგვიდგენს თავის გმირს — ესაა პავლე მართალიშვილი, იგი სამსახურისათვის იძულებული იყო წასულიყო საზღვარზე, თუმცა გული სწყდებოდა, რომ შორდებოდა თავის ამხანაგებს, მეგობრებს, საყვარელ ადგილებს.

— ამაღამ ქრისტეს შობაა! — წარმოსთქვა ფიქრებში წასულმა დედამ.

— სწორედ ასეთი ღამე იყო, როცა პატარა იესო მინდორში დაიბადა, მეცხვარის ფარეხში მის გარშემო სისაწყლე იყო და არა სიმდიდრე, ნებივრობა.

— მამი, შენ სთქვი, მარიამს უბრძანეს ბეთლემს წასვლა და იმიტომ შემთხვევით გზაზე დაიბადა იესოვო?

შენ აკი შენი სურვილით მიდიხარ...

— არა, ჩემო გოგონა, მეც მიბრძანეს.

— გიბრძანეს? ვინ? რისთვის მიდიხარ?

— ლუკმა პურისათვის, — უპასუხა ნაღვლიანად მამამ.

ვეშმარიტად, ოსტატური კალმის მოსმამ! ათიოდე სტრიქონი იტევს იმდენს, რამდენსაც უამრავი გვერდი დასჭირდებოდა. აქ ეპოქის სუნთქვაც იგრძნობა, ადამიანთა განწყობილებებიც. სულ რამდენიმე შტრიხით, ძუნწად, მწერალი ბევრის თქმას ახერხებს. ამ ნოველით ა. ერისთავ-ხოშტარიამ დაამტკიცა, რომ მას თანაბრად ხელეწიფებოდა როგორც ფართო ტილოების შექმნა, ისე მცირე ფორმის ნაწარმოებებისაც.

სამწუხაროდ, „ლუკმა პურისთვის“ იყო უკანასკნელი აკორდი იმ საგალობლისა, რომელიც ასეთი სიყვარულით უმღერა მწერალმა თავის პატარა მეგობრებს.





## ნარილები

# სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქვის ხანის ძეგლთა შესწავლის შედეგები

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ განვლილი ორი ათეული წელი წინ გადაღებული ნაბიჯი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლის საქმეში. სწორედ ამ პერიოდში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინაშე პრობლემურად დაისვა და მნიშვნელოვნად გადაწყდა კიდევ ქვის ხანის შესწავლის საკითხი. თუ მანამდე აჭარის ასსრ ტერიტორიიდან საერთოდ უცნობი იყო უძველესი ადამიანის ნაკვალევი, დღეს აღმოჩენილი და შესწავლილია ქვის ხანის რამდენიმე ნამოსახლარი არა მარტო ზღვისპირეთის სანაპირო ზოლში მდინარისეულ ტერასებზე, არამედ მაღალმთიანი აჭარის რეგიონშიც.

ზღვისპირეთის ნამოსახლარებიდან აღსანიშნავია ქობულეთი, ხუტუბანი, კვირიკე, ჯიხანჯური, ჩოლოქი, მაკვანეთი, ჩაისუბანი, სახალეშო, მახვილაური, რომლებიც ჰოროზის, ყოროლისწყლის, ჩაქვისწყლის, კინტრიშის, კინკიშისა და ჩოლოქის სანაპირო ტერასებზე თუ ბორცვებზე მდებარეობენ.

გაცილებით სუსტადაა შესწავლილი მთიანი აჭარის ზონა, სადაც ორიოდ დაზვერვითი ხასიათის ექსპედიცია მხოლოდ 1972-1973 წლებში მოეწყო. ამ ექსპედიციების დროს მდ. ფოცხოვის შენაკად ბეშუმის სანაპიროზე, კურორტ ბეშუმის სხვადასხვა უბანში (შქერნალი, დიდი იაილები, შუა უბანი, ბეშუმის იაილები, ვერხენარი, ნაჩადრალი) და სხალთის წყლის ხეობაში, ხიხაძირის ტერიტორიაზე (თიქანაურთავეში) ზედაპირულად შეგროვდა კაცისა და ობსიდიანის მასალა.

ბაზალტისა და ბრინჯაოს ცულების შემთხვევითი მონაპოვარი მოგვეპოვება ბეშუმის ახლოს მდებარე მთა თეთრობიდან (ნაჩადრევი). მნიშვნელოვანია სოფ. წაბლანის (ყიშლაში) ტერიტორიაზე გამოვლენილი ობსიდიანის ინვენტარი.

მთიან აჭარაში დაზვერვითი სამუშაოების დროს და შემთხვევითი მოპოვებული ქვის ხანის მასალების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამოც, რომ იგი გამოვლენილია ზღვის დონიდან 1800-2000 მ. სიმაღლეზე.

სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილში, კერძოდ, მესხეთსა და ჯავახეთში მეზოლითური და ნეოლითური ხანის ნამოსახლარები სადღეისოდ შესწავლილია. ამდენად, ბეშუმის, ხიხაძირის, თეთრობის, წაბლანის ზედაპირულ და სხვა შემთხვევითი მონაპოვარი არქეოლოგიურ ნაშთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუნდაც ისინი დროებითი ხასიათის სადგომებიდან მომდინარეობდნენ. აღნიშნული ძეგლები ტერიტორიულად



გოდერძის უღელტეხილის აღმოსავლეთ ნაწილშია განლაგებული და ფაქტობრივად ისინი მესხეთ-ჯავახეთთან სასაზღვრო ზოლს წარმოადგენენ. გოდერძის უღელტეხილზე ალპურ ზონაში დადასტურებული თუნდაც სეზონური (დროებითი) სამოსახლოებრივი სახელოსნოები რიგი პრობლემის დასმის საშუალებას იძლევა. აღნიშნული საცხოვრებელი კუთხისა და სუფსის აუზების ზღვისპირა ზოლში არსებული ადრე და განვითარებული ნეოლითური ხანის მოსახლეობის დროებით საზაფხულო სადგომები ხომ არ არის? თუ ეს ასეა, მაშინ იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, კაქისა და ობსიდიანის ნედლეულის აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიიდან შემოზიდვასთან, ხოლო მეორე მხრივ, — მეურნეობასთან, სეზონური მესაქონლეობის საწყის ფორმებთან, ან კიდევ სეზონურ მონადირეობასა და მეთევზეობასთან.

მაგრამ როგორც ბეშუმის კაქის ინვენტარის შესწავლა გვიჩვენებს, მას არაფერი აქვს საერთო კუთხისა და სუფსის აუზების ზღვისპირეთში მცხოვრებ ნეოლითური პერიოდის მოსახლეობის მეორე ხმარებულ კაქთან. რაც შეეხება ობსიდიანს (ცულკანური პირა, იარაღის დასამზადებელი ერთ-ერთი ძირითადი ნედლეული), იგი მართლაც შემოტანილია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან.

აჭარის ზღვის სანაპირო ზოლში ქობულეთის ტიპის ნამოსახლარებზე აღებული ძეგლები ჯერჯერობით უცნობია, ამიტომ გაურკვეველია, თუ როდის იწყება ობსიდიანის შემოტანა და იარაღის დასამზადებლად გამოყენება. ქობულეთის ტიპის ძეგლები კი მეზოლითურიდან ნეოლითურზე გარდამავალი პერიოდით თარიღდება. ამდენად, დღეისათვის ობსიდიანის შემოტანაც აღნიშნულ დროს უნდა განეკუთვნებოდეს (ძვ. წ. VIII-VII ათასწლეული).

ხულოსა და შუახევის რაიონების ტერიტორიაზე ზედაპირულად შეგროვებული კაქისა და ობსიდიანის ინვენტარის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მეზოლითურიდან ახალი ქვის ხანის პერიოდზე გადასვლის დროს ათვისებულია არა მარტო ზღვისპირეთის მდინარისეული ტერასები და გორაკ-ბორცვები, არამედ მთიანი მხარეც. როგორც ირკვევა, აჭარის მთიანეთში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო თანამედროვე დასახლებული ტერიტორია, ხოლო სეზონურ საზაფხულო სამოსახლოებისათვის ალპური ზონა, სადაც საქონლის გამოკვების კარგი პირობები არსებობდა. მანძილი ამ მუდმივ საცხოვრებელსა და სეზონურ დასახლებას შორის მხოლოდ 40-70 კმ შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთიან აჭარაში გამოვლენილი დაზვერვითი და შემთხვევითი არქეოლოგიური მასალა მწირი და საკმაოდ თავისებურია, იგი მაინც იძლევა ფართო დაკვირვების საშუალებას. როგორც ზღვისპირეთში, ისე მთაშიც გამოყენებული ჩანს ობსიდიანის ერთი და იგივე გამოსავლები. ბეშუმის, ხიხაძის, ფუშრუკაულის, ნაჩადრევის, ყიშლას არქეოლოგიურ მასალებში შეინიშნება გარკვეული მსგავსება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებთან (ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ჯიხაჭკური, ჩოლოქი, მახვილაური, ანასეული I). მაგრამ განსხვავებაც მნიშვნელოვანია. ეს ეხება არა მარტო კაქისა და ობსიდიანის ანამტერეგებს, ანატრეცებსა და ლამელებს, არამედ იარაღთა ფორმებს და ნაწილობრივ მეორეულ დამუშავებასაც. როგორც ბარის, ისე მაღალმთიანი აჭარის ქვის ხანის მასალებში ორი ქრონოლოგიური პერიოდი შეინიშნება. ბეშუმის, ხიხაძის, ყიშლას ინვენტარი მეზოლითურიდან ნეოლითურზე გარდამავალ ხაფეზურს შეესაბამება, ხოლო ნაჩადრევის ბაზალტის ცული განვითარებულ ნეოლითურ პერიოდს ასახავს (ძვ. წ. VI ათასწლეულის მეორე ნახევარი). მსგავსი ცულები ცნობილია მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარიდან. ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ე. წ. „წერტილოვანი“ ტექნიკის მეთოდი, სრულიად მსგავსი გახეხვა-გაპირალებით, სამუშაო პირის მოყვანილობითა და ლესულობით. აღნიშნულ ცულებში განსხვავებაც შეინიშნება: თუ მახვილაურის 14-ივე ცული ორმხრივ ლესილი და გვერდწახნაგოვანია, რითაც იგი სრულ ანალოგიას იქნის ანასეული I-ის ერთი ჯგუფის ცულებთან, სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება მახვილაურისა და ანასეული II-ის ცულები ერთმანეთისაგან. მართალია,



მოყვანილობით, დამუშავების ტექნიკით ისინი სრულიად მსგავსნი არიან, მაგრამ ფილაურზე მხოლოდ წახნავიანი ცულებია, ანასეულ II-ზე წარმოდგენილია წახნავიანი, ისე უწახნავო ცულის ფორმები.

როგორც ზარის, ისე მთიანი აჭარის ადრენეოლითურ კულტურაში ერთი საერთო ნიშანი შეიმჩნევა: ორივე რეგიონისათვის უცნობია გეომეტრიული მიკროლითები (სამკუთხედები, მართკუთხედები, ტრაპეციები, სეგმენტები), რაც ამ კულტურის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ.

გაცილებით უკეთაა შესწავლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი. აქ აღმოჩენილი უძველესი ნამოსახლარები ქრონოლოგიურად ორ პერიოდს მოიცავს — გვიანმეზოლითურიდან ადრენეოლითურზე გარდამავალი ძეგლები და განვითარებული ნეოლითური ნამოსახლარები.

უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა, მისი განვითარების გზები, ხასიათი, ფორმები, თავისებურებანი და შედეგები მსოფლიო არქეოლოგიის ერთ-ერთ საინტერესო და აქტუალურ პრობლემად გადაიქცა. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ დღეს მის კვლევას გლობალური ხასიათი მიეცა. გამოჩალისი არც კავკასია და, კერძოდ, საქართველოა, სადაც უკანასკნელ წლებში კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი და შესწავლილია როგორც ადრენეოლითური, ისე განვითარებული ნეოლითური ნამოსახლარები. თუ ამ ცოტა ხნის წინათ დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ადრენეოლითური ნამოსახლარი მხოლოდ ანასეული I-ით განისაზღვრებოდა, ახლა უკვე გვაქვს მრავალფენიანი ძეგლი — დარკვეთის ეჩი, სადაც დაცულია მეზოლით-ნეოლითური პერიოდების უძრავი კულტურული ფენები, ცივი მღვიმის ზედა ფენა, პალური, ქობულეთის ერთფენიანი შესანიშნავი ნამოსახლარი და სხვ. ამდენად, თუ აქამდე ადრენეოლითი გამოიყოფოდა ძეგლების ტიპოლოგიური ანალიზისა და მათი შედარებითი შესწავლის საფუძველზე, ახლა სტრატиграფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებლობა გვაქვს ქრონოლოგიურად გამოვყოთ როგორც ადრენეოლითი, ისე განვითარებული ნეოლითური პერიოდები.

ახლა უფრო ხელშესახებია ის გენეტიკური კავშირი, რომელიც არსებობდა მეზოლითურსა და ადრენეოლითურ ძეგლებს შორის. მსგავსი საერთო ნიშნები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგჯერ ძნელდება კიდევ გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური კომპლექსების გათიშვა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ნამოსახლარები უმთავრესად ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზეა განლაგებული (კვირიკე, ხუცუბანი, ქობულეთი, ვიხანჭური, ჩოლოქი, სახლავაშო, კოხი). მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფელ ქობულეთის ნამოსახლარი. აქ გათვალისწინებულია ორი ძირითადი მომენტი: პირველი — 1981 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებთან ერთად მთელი ინვენტარი 16000 ერთეულს აღწევს, მეორე — გამოვლენილი მასალის უდიდესი ნაწილი უძრავი კულტურული ფენიდან მომდინარეობს, რაც კიდევ უფრო ფასდაუდებელს ხდის მის მეცნიერულ ღირებულებას.

ქობულეთის ნამოსახლარის ახლად აღმოჩენილი მდიდარი მასალების შესწავლა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქობულეთ-ხუცუბანის ტიპის ძეგლები თვისებრივად არ განსხვავდებიან დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ძეგლებისაგან (ანასეული I), მაგრამ რიგი თავისებურებანი აშკარად შეინიშნება.

ამ ნამოსახლარების კაცისა და ობსიდიანის დამუშავების ტექნიკისა და იარაღის ტიპოლოგიური ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ისინი სიახლოვეს იყენენ გვიანმეზოლითურ ძეგლებთან და გენეტიკურად უკავშირდებიან მათ, მაგრამ ამასთან ერთად ქობულეთ-ხუცუბანის ძეგლებს ემჩნევა განვითარების უფრო მაღალი დონე. ქობულეთ-ხუცუბანის ტიპის ძეგლებს, გვიანმეზოლითურ და ადრენეოლითურ კულტურებთან მსგა-



ვსების მიუხედავად, ახასიათებთ თავისებური, ლოკალური ხასიათის განსხვავებული ნიშნები. ამ ნამოსახლარების შესახებ ვერ ვიტყვი, რომ თვისებრივად სრულიად ახალი და სუფთა ნეოლითური კულტურის მატარებელი ძეგლებია. აქ ჩვენ არ გავგანხილავთ ნეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი მკაფიო ნიშნები, როგორიცაა იარაღის დამზადების სრულიად ახალი ტექნიკა გახეხვა გაპრიალება, ქვის სხვადასხვა ქანების — ბაზალტი, რიყის ქვა — გამოყენება. არა გვაქვს მკაფიოდ გამოხატული ნეოლითური ტიპის ისეთი იარაღები, როგორიცაა ორ და სამკვერდამუშავებული ტრაპეციები, მარტოკუთხედები, სწორკუთხედები, სეგმენტები, ანუ საერთოდ დამუშავებული გეომეტრიული მიკროლითები, ქვის ცულები, სათლელ-სატეხები, თოხისებრი და პიკისებრი იარაღები, ჩაქურჩები, სახეხ-საპრიალებლები, რიყის ქვის საწაფები. სრული ფორმით არც ისრები-რბია წარმოდგენილი.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ კულტურაში ისრები და შურდულის ქვები თანაარსებობენ და ამ კულტურის შესაძლო დამახასიათებელ ნიშნადაცაა მიჩნეული (ი. ა. ფორმოზოვი, ა. დ. სტოლიარი). ასეთივე მდგომარეობაა მახვილურის განვითარებულ ნეოლითურ ნამოსახლარზე, სადაც ისრები (კაყის) და შურდულის ქვები თანაარსებობენ. შურდულის ქვები ქობულეთ-ხუცუბნის ნამოსახლარებზე მხოლოდ 20 ცალამდეა მოპოვებული. სამაგიეროდ განაგრძობს არსებობას მეზოლითური ტიპის იარაღები: ბლავგურგა ლამელები, ანატეცის ბოლოზე ჩამოყალიბებული საფხეკები (ოვალურსამუშაოპირიანი და მაღალი ფორმის), ანატეტეცეებზე შექმნილი ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები და სხვ. აღნიშნული იარაღები ახლო ანალოგიას პოულობს მეზოლითური ძეგლების კულტურული ფენების მასალებთან (ქვაჭარა, ენწერი, იაშხე, ქანთი, ეძანი, გვარჯილის კლდე და სხვ.) რაც შეეხება ბლავგურგა ლამელებს, ისინი ზედამართული ნეოლითურ ძეგლებში იწყებენ ჩასახვა-განვითარებას (სეანთა სავანე, საგვარჯილე, შემდგომ საკაჟია, დევისხერელი).

ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავისებურება, რითაც ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ძეგლები გამოირჩევა, არის ჩამოყალიბებული გეომეტრიული მიკროლითების არარსებობა. რას უნდა შეეცვალა იგი? როგორც ჩანს დაუმუშავებელ და დამუშავებულ დანისებურ ლამელებს, რომლებიც მარტო ქობულეთის ნამოსახლარზე 4000 ცალია გამოვლენილი (ჩასართებად გამოიყენებოდა თავ-ბოლო გადამტვრეული ლამელები). ვიმეორებთ, სწორედ გეომეტრიული მიკროლითების არარსებობა გამოარჩევს ქობულეთ-ხუცუბნის ჯგუფის ნამოსახლარებს ამიერკავკასიისა და სავითოდ კავკასიის მეზოლითური ადრე და განვითარებული ნეოლითური ძეგლებისაგან.

ამასთან ერთად, ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ნამოსახლარებზე უკვე კარგად შეიმჩნევა კავკასიის ადრენეოლითის ისეთი საერთო, ეპოქალური თავისებურება, როგორიცაა საჭრისთა სიმრავლე (ქობულეთი — 700 ცალი, ხუცუბანი — 135 ცალი). მართალია, საჭრისთა სიმრავლე მთელი კავკასიის ქვის ხანის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ განხილულ ეპოქაში სრულიად არ გვხვდება (ე. ი. ხმარებიდანაა გამოსული) მრავალფაცეტიანი და შუალა საჭრისები. გაუმჯობესებულია საჭრისთა ფორმები, ყველა მათგანი დამზადებულია მხოლოდ ლამელებზე. როგორც მკვლევარები ფიქრობენ, მათი სიჭარბე განპირობებული უნდა ყოფილიყო ძვლისა და ხის დამუშავების მეტად გავრდილი მოთხოვნილებით (სამწუხაროდ, ბუნებრივი პირობების გამო ძვლის, რქისა და ხის იარაღები ჩვენამდე ვერ აღწევს. თითქმის მსგავსი მდგომარეობა გვაქვს საფხეკების მხრივაც (კიდურა, ოვალურ და სწორ სამუშაოპირიანი, მომრგვალო, მაღალი მცოცავი რეტუშით, ხშირად მიკროლითური და ლამელებზე დამზადებული).

ლამელა-ჩასართების სიმრავლე და განსაკუთრებული როლი, საჭრისთა და საფხეკთა სიჭარბე მითვისებითი მეურნეობის განვითარების მეტად მაღალი დონის მაჩვენებელია და ასეთი მდგომარეობა უფრო კანონზომიერი უნდა ყოფილიყო შავიზღვისპირეთში. საფხეკთა სიმრავლე პირდაპირ კავშირში უნდა ყოფილიყო ნადირობისა და მესაქონლე-



ობის ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტის — ტყავის დამუშავებასთან. უფრო დახვეწილად და სწორი ფორმებით გამოირჩევა ზუკლეუსები, უმჯობესდება თხელი და სწორი ლელების ატმეცვის ტექნიკა, ფართოდ იყენებენ წნევით რეტუსს იარაღის სამუშაო პირის გასაფორმებლად.

დღეისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მახვილაურის ნამოსახლარი ერთადერთია, რომელიც ახლო მსგავსებას იჩენს დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ და შესწავლილ განვითარებულ ნეოლითურ ძეგლებთან (ანასეული II, მამათი, კისტრიკი, ქვ. შილოვკა, ხორში, ღუმურიში, ჩხორთოლი, ღარკვეთის მრავალფენიანი ეხი და სხვ.).

თვალში საცემია მახვილაურის ნამოსახლარის მნიშვნელოვანი განსხვავება ქობულეთ-ხუტუბნის ტიპის ძეგლებისაგან, რაც იარაღის დამზადებისას გამოყენებული ნედლეულის მრავალფეროვნებაში შეინიშნება. თუ ქობულეთ-ხუტუბანში იარაღის მისაღებად მხოლოდ კაჟი და ობსიდიანია გაბატონებული, მახვილაურზე მათ გვერდით ათვისებულია და ფართოდ გამოიყენება რიყის ქვა და ბაზალტი, ჩნდება განვითარებული ნეოლითის ისეთი უმთავრესი ელემენტი, როგორიცაა კერამიკული წარმოება.

მახვილაურის ნამოსახლარზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეივსო ის „ჩამორჩენა“, რითაც ქობულეთ-ხუტუბნის ტიპის ძეგლები განსხვავდებოდა. დასავლეთ საქართველოს (ანასეული I) ძეგლებისაგან. კერძოდ, უკვე ათვისებული და მნიშვნელოვნად განვითარებულია გახეხვა-გაპრიალების ტექნიკა, კუთვნილ ადგილს იკავებს გეომეტრიული მიკროლითები და მათი დამუშავების ახალი ფორმები. შესამჩნევია კაჟისა და ობსიდიანის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი დაცემა. თუ ქობულეთ-ხუტუბანში იარაღი უკლებლივ მხოლოდ მათგანაა დამზადებული, მახვილაურში მხოლოდ 25,5% შეადგენს.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, აღნიშნული ძეგლები მსგავსებასაც ამჟღავნებს. მსგავსება, შეინიშნება კაჟისა და ობსიდიანის დამუშავების ტექნიკაში, ანატექციებისა და ლამელების მიკროლითურ ხასიათში, საჭრისებისა და საფხეკების ფორმებში და სხვ.

მახვილაურის ნამოსახლარი ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი მეურნეობის სრულიად ახალი დარგის — მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებაში. ამაზე მეტყველებს მახვილაურში გამოვლენილი იარაღები (გეომეტრიული მიკროლითები, ბაზალტის ცულები, სათლევები, პიკისებური და თოხისებური იარაღები, სოლისებური და წერაქვისებური მაკროლითები, ხელსაფქვევები, სასრესები, სანაყები, კერამიკული ნაწარმი და სხვ.).

მახვილაურის განვითარებულ ნეოლითური კულტურის შემცველ ნამოსახლარს ახასიათებს თავისი სპეციფიკური ნიშნებიც, ესაა ცალგვერდდამუშავებული ტრაპეციები, ცალგვერდამოღარული საწაფები, წახნაგაინი ცულები, სატეხ-სათლევები, სოლები, სასრესები „სოჭი-აღლერის“ ტიპის მსგავსი თოხისებური იარაღი და სხვ.

როცა მახვილაურის ამ შესანიშნავ ძეგლს განვიხილავთ, შეუძლებელია განსაკუთრებით არ აღენიშნოთ მეთევზეობასთან დაკავშირებული საწაფები. მეთევზეობა რომ მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია, ეს საყოველთაოდ ცნობილია. მისი საწყისები საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე წარმოიქმნა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მეთევზეობის განსაკუთრებით დიდ როლზე ჯერ კიდევ ფრ. ენგელსი, ლ. მორგანი, ე. ტელიორი და სხვები მიუთითებდნენ. მეთევზეობის განვითარების მაღალი დონე კი საფუძველს უყრიდა ნაოსნობასაც. არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ ნაოსნობასთან და მეთევზეობასთან დაკავშირებული იარაღ-ხელსაწყოები გვხვდება უფრო ხშირად არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს გამოვლენილ მასალებში. საერთოდ კაცისა და კერძოდ ამიერკავკასია ის ერთ-ერთი ისტორიული რეგიონია, სადაც ადამიანის წარმოშობა-განვითარების უძველესი კვალია აღმოჩენილი. ამასვე ადასტურებს ქართული ზღაპრული ეპოსი და ეთნოგრაფიული მონაცემები. მეთევზეობის განვითარების მაღალი დონე შეინიშნება მახვილაურის ნამოსახლარზე. აქ 500-ზე მეტი საწაფია გამოვლენილი, რაც რიყის ქვის ინვენტარის 65%, ხოლო მთელი მონაპოვრის 24% შეადგენს. ამასთან,



მხედველობაში მისაღება ის გარემოება, რომ მახვილაურის საწაფები (ბადის წყობი ქვები) გამოირჩევა თავისი განსხვავებული ფორმით: მათ მხოლოდ ცალი გვერდი აქვთ ღრმად ამოღარული და ფორმის, ზომისა და წონის მიხედვით ათამდე ჯგუფი გამოიყოფა. მსგავსი საწაფები დღეისათვის უცნობია და არცაა მითითებული სამეცნიერო ინტერაქტუალში, რაც მახვილაურის ნამოსახლარს კიდევ უფრო თავისებურ და ლოკალურ ხასიათს ანიჭებს.

მახვილაურის ნამოსახლარზე შემჩნეულია მეთუნეობის ათვისების ადრეული საფეხური. იგი, ისევე როგორც ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა, ურთიერთობას ამჟღავნებს წინა და შუა აზიის კერამიკასთან (ჯარმო, ჯვითუნე) იმ მხრივ, რომ თიხის ჭურჭლის უძველესი ფორმები ქილისებური მოყვანილობის ბრტყელძირა ნაკეთობით ხასიათდება. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრეული კერამიკა, რომელიც თავის კულტურულ წრეს ქმნის, გარკვეულ ურთიერთობას ამჟღავნებს შირდილოეთ კავკასიის ნეოლითურ კერამიკასთან (კამენომოსტსკაია, ოვეჩკა და სხვა.), როგორც მახვილაურის კერამიკა, რომელიც კედელზე ქუსლიანი და უქუსლო გადასვლით ხასიათდება, უორნამენტოა. სამაგიეროდ მახვილაურის ნამოსახლარზე გამოვლენილია წითლად ანგობირებული (შედებილი) კერამიკა, რომელიც მდიდრული ორნამენტით გამოირჩევა. სამწუხაროდ, მას დღეისათვის არც პარალელი მოეძებნება და არც მისი დათარიღება მოხერხდა.

ქობულეთ-ხუტუბისა და მახვილაურის ტიპის ნამოსახლართა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზღვისპირეთი მეზოლითურიდან ნეოლითურზე გარდამავალ და განვითარებულ ნეოლითურ პერიოდში ინტენსიურად იყო ათვისებული. სრულიად ერთგვაროვანი ჩანს საცხოვრებელი ადგილის შერჩევის პრინციპიც. ამ პერიოდის მოსახლეობა საცხოვრებელ ადგილად არჩევდა მდინარეთა სანაპირო ტერასებს, გორაკ-ბორცვებს და აუცილებლად ითვალისწინებდა ზღვის სიახლოვეს (3-10 კმ). ერთი თავისებურებაა შეინიშნება: ყველა ნამოსახლარი მხოლოდ და მხოლოდ ღია ტიპის საცხოვრისებია (ამ ზოლში უცნობია გამოქვაბული, ეხი, ფარდული).

ამ ბოლო დროს ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ადრენეოლითურ ეპოქაში ტომთა ურთიერთობა თუ მოძრაობა ხორციელდებოდა აჰარა-გურიის ქედის უღელტეხილებითა და ზღვისპირეთით, რაც ახალი, მწარმოებლური მეურნეობის დარგებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი და უკავშირდებოდა მთისწინა ბორცვიანი ზოლისა თუ მდინარეთა ხეობების ნაყოფიერი ტერასების ათვისებას. სხვათა აზრით, ობსიდიანის გაბატონება გამოწვეული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ გურია-აჰარის ადრენეოლითური ძეგლები არ არის ადგილობრივი, დასავლური წარმოშობისა და გენეტიკურად დაკავშირებული უნდა იყოს მესხეთ-ჯავახეთისა თუ თრიალეთის ობსიდიანის მდიდარი რაიონების კულტურასთან.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი ნამოსახლარების შემდგომმა შესწავლამ ვერ დაადასტურა ადრენეოლითურ და განვითარებულ ნეოლითურ ნამოსახლარებზე ობსიდიანის გაბატონებული მდგომარეობა, რაც საეჭვოს ხდის ამ კულტურათა არაადგილობრივ, დასავლურ წარმოშობას და შესაძლოა გენეტიკური კავშირი გვიან-მეზოლითურ — ადრე და განვითარებული ნეოლითური კულტურებისა უფრო მეტად განპირობებული იყოს ახალი სამეურნეო ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებით.

#### სერგო გოგბიძე,

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.





# რას დაჰინყუებით არ იზინდება

## იმ ქარვესხლიან დღეებში

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი პოლკოვნიკი ვასილ კოლხიდაშვილი ახლა 80 წლისა იქნებოდა. მან სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო.

ვ. კოლხიდაშვილი 1925 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში და მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის საარტილერიო პოლკში ჩარიცხეს, რომელიც თბილისში იყო განლაგებული. ვასილმა წარმატებით დაამთავრა უმცროს მეთაურთა სკოლა და ქვემეხის მეთაურად დაინიშნა. 1929 წელს მან ექსტერნად ჩააბარა მეთაურთა სამხედრო სკოლის პროგრამა და ბატარეის მეთაურად დააწინაურეს. საქმის ღრმა ცოდნით და ორგანიზატორული ნიჭით ვასილმა კარგი სახელი მოიხვეჭა. 1932 წელს 27 წლის ახალგაზრდა პარტიაში მიიღეს. 1938 წელს კაპიტანი ვ. კოლხიდაშვილი გადაიყვანეს კიევის სამხედრო ოლქში ბატალიონის მეთაურად, მონაწილეობდა ოპერაციებში დასავლეთ უკრაინისა და ბესარაბიის განთავისუფლებისათვის. შემდეგ მამაცურად იბრძოდა თეთრფელთა წინააღმდეგ. მამაცმა მეთაურმა ბევრი ჯაფა გასწია უმცროს მეთაურთა აღზრდა-გამოწოტობისათვის. მის მიერ გამოზრდილი მეთაურთა ახალგაზრდა კადრები მისაბამი იყვნენ. მოგვიანებით ვ. კოლხიდაშვილმა დაამთავრა ჯავშანსატანკო ჯარების აკადემია და მაიორის წოდება მიაკუთვნეს.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველსავე წუთებში სატანკო დივიზიის ბატალიონი, რომელსაც ვ. კოლხიდაშვილი მეთაურობდა, ქალაქ ლვოვისაკენ დაიძრა.

ცა უზარმაზარმა ცეცხლის ალმა გაანათა. ფაშისტების ნაღმსატყორცნიდან და თვითმფრინავებიდან ათასობით ბომბი დაეყარეს კარპატების მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. მაიორმა ვ. კოლხიდაშვილმა საბრძოლოდ განაწყო ბატალიონის მებრძოლები და ტანკები დაძრა მტრის შესახვედრად. ფაშისტებმა ვერ გაუძლეს საბჭოთა მებრძოლების მედგარ წინააღმდეგობას, ბრძოლის ველზე დატოვეს ბევრი დაჭრილი და დახოცილი. მწყობრიდან იქნა გამოყვანილი მოწინააღმდეგის ოცდაათზე მეტი ტანკი, ტყვედ ჩავარდა ასობით ფაშისტი ოფიცერი და ჯარისკაცი.

1942 წლის გაზაფხულზე კავკასიის მიმართულებით მდგომარეობა ძლიერ გართულებდა. როგორც საბრძოლო გამოცდილების მქონე და წინადახდული ოფიცერი, ვ. კოლხიდაშვილი დანიშნეს სატანკო პოლკის მეთაურად, ხოლო შემდეგ 45-ე არმიის სარდლის მოადგილედ არტილერიის დარგში. ვასილმა ბევრი რამ გააკეთა არმიის საარტილერიო ნაწილების მოსამზადებლად.

1943 წლის ზაფხულში ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს საბჭოთა უკრაინის განთავისუფლება ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ამ ისტორიული ოპერაციების განხორციელებაში სხვა სახეობის ჯარების მხარდამხარ, დიდი წვლილი შეიტანეს მამაცმა ჯავშანსატანკო ჯარებმა. იმათ შორის, ვინც 6 ნოემბერს კიევში შეიჭრნენ, იყვნენ ვასილ კოლხიდაშვილის უშიშარი მეომრები. მისმა მებრძოლებმა გერმანელ ფაშისტებს ბერლინამდე მისდღეს და თავიანთი სახელოვანი გზა, რომელიც რავარუსკაის რაიონიდან დაიწყეს,





გერმანიის ჩრდილო-დასავლეთში, ვისმარში დაამთავრეს, მათი მეთაური კი ურეკლში გაგზავნეს სატანკო კადრების მოსამზადებლად. შექმნილმა მდგომარეობამ კვლავ აღძვალა ლისაკენ მოუხმო მამაც მეთაურს და მის ბრიგადას. შენაერთმა, რომელსაც ვ. კოლხი-დაშვილი მეთაურობდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო კვანტუნის მილიონიანი არმი-ის განადგურებაში.

მამაცმა მეთაურმა ვ. კოლხიდაშვილმა სამი ათეული წელი გაატარა საბჭოთა არმი-აში და განვლო სახელოვანი გზა — რიგითი ჯარისკაციდან ბრიგადის მეთაურამდე.

სამაჰლო ომის ფრონტებზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიშნოდ შე-სრულების, მამაცობისა და თავგანწირვისათვის პოლკოვნიკი ვ. კოლხიდაშვილი დაჯი-ლდობული იყო ლენინის, წითელი დროშის, ორი წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებითა და 8 მედლით, ექვსჯერ დაიმსახურა უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა. სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლო-ბისათვის იბრძოდა აგრეთვე ვასილის ოთხი ძმა, რომელთაგან სამი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

სასახელო მამამ სასახელო შვილები გამოზარდა, უფროსი — გიორგი ტანკისტი იყო და სამამულო ომში ვასილის გვერდით იბრძოდა. ომგადახდილი ვაჟკაცი 1982 წლის თებერვალში გარდაიცვალა. იურიმ სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და იურისტი გახდა, როლანდმა ინჟინრის პროფესია აირჩია, ხოლო გენადი ექიმია... ათი შვილიშვი-ლი და შვილთაშვილი უმსუბუქებდა ომის ჭრილობებს ვასილსა და მის ერთგულ მეუღ-ლეს ლიდას.

ორივე ფეხის დამბლამ საწოლს მიაჯაჭვა ომგადახდილი ვაჟკაცი, მაგრამ ფრონტ-ლი მეგობრები ერთი წუთითაც არ სტოვებენ მას. დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა ვასილს გადამდგარ პოლკოვნიკთან კონსტანტინე ჩირაძესთან, რომელიც ომამდე აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო, ხოლო ომში ქარ-თული დივიზიის მსროლელი პოლკის სამხედრო კომისარი.

გადამდგარი პოლკოვნიკები ვასილ კოლხიდაშვილი და კონსტანტინე ჩირაძე ეკუთ-ვნიან იმ ქართველი საბჭოთა ოფიცრების პლეადას, რომელთაც მუშურ-გლეხურ არმი-აში სამსახური საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში დაიწყეს. აჭარის მშრომელები კარგად იცნობდნენ მათ საბრძოლო გზას... დღეს არც ერთი აღარ არის ჩვენს შორის.

23 აპრილს — ნათესავეებისა და ახლობლების ხსოვნის დღეს ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა, მადლიერების გრძნობით მოვინახულეთ მათი საფლავები, პატივი მივაგეთ მამაცი მეომრების ნათელ ხსოვნას.

იასონ ცერცვაძე,

ომისა და შრომის ვეტერანი, გადამდგარი მაიორი







როცა განვლილი ცხოვრების გზას გადახედავ, უსათუოდ მოვიგონებ რაიმე ისეთ დღისასსოვარს, რომელიც ღრმად ჩაბეჭდა შენს მეხსიერებაში, მუდამ თან რომ გდევს და კიდევ ერთხელ გახსენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც სიამოვნება და სიხარული მოგანიჭეს. მათ თითქოს ვარსკვლავივით გაიქროლეს თქვენს თვალწინ. სწორედ ამ ვარსკვლავებმა აიყვანეს ფეხბურთის თამაში ხელოვნებად, მათი დამსახურებაა, რომ ფეხბურთელთა ასპარეზობა დღესაც მაგნიტოვით იზიდავს სტადიონებზე ათასობით სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის გულშემატკივარს.

შარშან თბილისის „დინამო“ თავისი მომთხოვნი და უაღრესად მკაცრი აუდიტორიის წინაშე ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრას მართავდა. მეორე ნახევრის დასაწყისისთანავე ჯერ გაუბედავად, ხოლო შემდეგ შეხმატკიბილებულად გაისმა შეძახილები: მესხი! მესხი! მესხი! მართლაც რამდენიმე წუთის შემდეგ მწვრთნელებმა ახალგაზრდა მიხეილ მესხი გამოიყვანეს, რომელიც მყისვე ჩაერთო თამაშში და ცეცხლი დაანთო მიწდორზე. მისი მახვილონიერული გადაცემებისა და მწვავე იერიშების შედეგად დინამოელებმა მოიგეს ძნელი მატჩი.

ამ შეძახილებმა ერთი მეტად სასიამოვნო ეპიზოდი გამახსენეს, რომელიც თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ლეგენდარულ მარცხენა გარემარბის, სპორტის დამსახურებულ ოსტატის მიხეილ მესხის სახელთან არის დაკავშირებული. 1959 წლის გვიან შემოდგომაზე თბილისის „დინამო“ საფრანგეთში საერთაშორისო ამხანაგური მატჩების მოსაწყობად მიიწვიეს. 25 ნოემბერს პარიზელებმა ნახეს უაღრესად საინტერესო შეხვედრა. ქართველი ფეხბურთელები ევროპაში საკმაოდ პოპულარულ კლუბს „რესინგს“ ეთამაშებოდნენ. ძნელად ვინმე თუ გააკვირვებდა მრავლისმნახველ პარიზელ გულშემატკივრებს. მაგრამ მოხდა სწორედ ის, რასაც არავინ ელოდა. 22 წლის მარცხენა გარემარბი მეტეორივით დაჰქროდა პარიზელთა მცველებში. მესხის უბრწყინვალეს ფინტებს აღტაცებაში მოჰყავდა ტრიბუნაზე მსხდომი ათასობით მაყურებელი, რომლებიც ფეხზე დგებოდნენ და მქუხარე ტაშით ესალმებოდნენ ქართველი ფორვარდის თითოეულ ფინტს. გულშემატკივრები გაჰკიოდნენ: მიშელ! მიშელ! მიშელ! 6:2 — ასეთი ანგარიშით მოიგო თბილისის „დინამომ“ ეს შეხვედრა.

ფრანგული გაზეთები თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ წერდნენ: „ეს იყო ჰერმარტიად დიდი ფეხბურთი, რომლის შემსრულებლები დიდხანს არ დაავიწყდებათ პარიზელებს. იგი გახლდათ ჰერმარტიად შესანიშნავი ტექნიკის, ტაქტიკისა და გირტუოზობის მკაფიო დემონსტრაცია. ამ მატჩში ყველაზე ეფექტური იყო მ. მესხის მიერ გატანილი მეექვსე ბურთი. მარცხენა ფრთიდან მან ჩვეული ფინტებით გვერდი აუარა მცველებს და ელვისებურად შეიჭრა საჯარიმო მოედანზე, შემდეგ იშვიათი სიძლიერის დარტყმით ბურთი ბაღეში გაგზავნა, ამ გატანილ გოლს, ისევე როგორც მთელ შეხვედრას, ფრანგი გულშემატკივრები დიდი ოვაციებითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ“.

თითოეულ ჩვენგანს თითქოს ახლაც ყურში ჩაგვესმის ცნობილი რადიო კომენტატორის ვ. სინიავესკის სიტყვები: „უნდა ხედავდეთ, როგორ ერთსულოვნად, ფეხზე ამდგარი ესალმება სტადიონი დინამოელთა მარცხენა გარემარბის ბრწყინვალე ოსტატო-



ბას! თბილისელებო, ვარდები ხომ გაქვთ? მაშ, მოაშაღეთ ისინი მიხეილ მესხისათვის!“  
დინამოელებმა „ნიმთან“ 2:0-ზე მოიგეს შეხვედრა. იმის მიუხედავად, რომ მთელი  
დღეს წვიმა და მოედანი სველი იყო, თბილისელები შესანიშნავ კომბინაციურ თამაშს  
ანგვენდნენ. როგორც კი ბურთს მესხი ჩაიდებდა, მაყურებელთა ალტაცებას სასუფა-  
ო არ ჰქონდა. ისინი ფეხზე აღდგომით, შეძახილებით: ბრავო, მესხი! ვივა მესხი! მიაცი-  
ლებდნენ მას თავისი გუნდის საჯარიმო მოედნისაკენ. დიახ, მესხი გაიცნეს პარიზში და  
უნდა დაეძინოთ — სასახლოდ! ფრანგები ტკებოდნენ მისი გასაოცარი ფინტებით,  
მისი გონებამახვილობით და მოჯადოებული იყვნენ ამ სასიამოვნო აღმოჩენით.

— უსათუოდ თავისი უნდა მიეუზღოთ „მიხოს“, როგორც საბჭოთა კავშირის ნა-  
კრებში ვეძახდით თბილისელთა მარცხენა გარემარბს, — ამბობდა სპორტის დამსახუ-  
რებული ოსტატი ვ. პონედელნიკი, — მარცხენა ფრთიდან მან კარის გასწვრივ ბურთის  
ისეთი ვირტუოზული ჩამოწოდება იცოდა, რომ მისი არგატანის უფლება მე არავი-  
თარ შემთხვევაში არ მქონდა. ასე იყო სწორედ 1960 წლის ევროპის ჩემპიონატის ფი-  
ნალურ მატჩში, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში ჩვენმა ნაკრებმა იუგოსლავიის  
ეროვნულ გუნდთან გამართა. მიხომ შეამჩნია ხელსაყრელი მომენტი და სანტიმეტრე-  
ბის სიზუსტით იუგოსლაველთა კარის წინ ჩამოჰყიდა ბურთი. მე გავქანდი და მაღალ  
ნახტომში თავით მიეწვდი მას. ვგრძნობ, რომ ჩინებული დარტყმა გამოვივიდა. ვიგრძენი,  
რომ ვიღენიჩი ვერ მასწრებდა და მეორე გადაწყვეტი გოლიც გავიტანე..

კიდევ ერთი ჩინებული საფეხბურთო სანახაობა უნდა გავიხსენო. ეს იყო ლუჟნი-  
კში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან შეხვედრისას. ვიხსენებ არა იმიტომ, რომ საბჭოთა ფეხ-  
ბურთელებმა 3:1-ზე სძლიეს ძლიერ მეტოქეს, ეს გახლდათ ისეთი საფეხბურთო სპექ-  
ტაკლი, რომელშიც მონაწილეობა ტყავის ბურთის მხოლოდ ჰემშარიტ დიდოსტატებს  
შეუძენოდათ.

ჩეხოსლოვაკიელთა ნაკრების მარჯვენა მცველს, ფიზიკურად ძლიერსა და ატლეტუ-  
რი აგებულების შაფრანეკს მომცრო ტანის მარცხენა გარემარბის მესხის მეურვეობა  
დააყიარეს. სტუმართა მცველმა არაფერი იცოდა თავისი მეურვის თამაშის სტილის  
შესახებ. გასაჭირი ჰქონდა გუნდის კაპიტანს კ. ნოვაკსაც, რომელიც ს. მეტრეველს  
დარაჯობდა. ვ. ბუბუჟინი და ვ. ივანოვი მორიგეობით გადასცემდნენ ბურთს მესხს.  
ლუჟნიკში შეკრებილმა მაყურებლებმა შესანიშნავად იცოდნენ, თუ რა კონცერტის და-  
ღმა შეეძლო თბილისელთა გარემარბს. მთელი თამაში გახლდათ საოცარი სანახაობა.  
სადაც შაფრანეკი სისტემატურად აგებდა ორთაბრძოლას მესხთან. თბილისელს, მრავა-  
ლი ფინტიდან, საოცარი სიზუსტით ჰქონდა დამუშავებული ერთი ყველაზე უტყუარი  
ჰემშარიტად „მესხური“ ფინტი. და აი, მორიგი შეტევის დროს, როცა მის წინ ისევ  
შაფრანეკი გაჩნდა, მესხმა მარცხენა ფეხი გადაატარა ბურთზე, შემდეგ მარჯვენა ფეხის  
ქუსლიც გაჰკრა და... ბურთმა გიგანტი მცველის ირგვლივ წრე შემოხაზა, მორჩილად  
ლაუბრუნდა წითელმაისურიან ფეხბურთელს, სასოწარკვეთილი მცველი მწვანე ბალახზე  
დაეცა, მესხმა კი კარის გასწვრივ ჩაწოდა ბურთი ნაკრების კაპიტანს ვ. ივანოვს, შეუ-  
ჩერებელი დარტყმა და ანგარიში სამამდე გაიზარდა. ეს ყველაფერი ლამაზად დადგმუ-  
ლი სპექტაკლივით მოხდა. ტრიბუნები წამით დაიბნა, შემდეგ აფეთქდა და ფეხზე წა-  
მოჭრილი ათასობით გულშემატიკვარი დიდხნის განმავლობაში გუგუნებდა: მესხი!  
მესხი! მესხი! მაღლობის ნიშნად კაპიტანი მჭურვალედ გადახვია თავის მარცხენა გა-  
რემარბს. ყოველივე ეს მაღალ ნიჭიერი ფეხბურთელების ოსტატობის მკაფიო გამოხა-  
ტულებაა. მათ ყველაფერი გამოუღიოთ, შესანიშნავად ფლობენ ბურთს, ფიზიკურადაც  
კარგად არიან მომზადებულნი და საუცხოოდ ერკვევიან თამაშში. ასეთ ფეხბურთე-  
ლებს „ვარსკლავებს“ უწოდებენო, — უთქვამს ერთხელ ბრაზილიის ნაკრების პოპუ-  
ლარულ მწვრთნელს ვისენტე ფეოლას. სწორედ ასეთი ვარსკლავები იყვნენ ლეგენ-  
დარული გარინჩა, პელე, სივორი, დი-სტეფანო... რა თქმა უნდა, ამ ჩინებული თანავა-  
რსკლავების ერთი სახელოვანი წარმომადგენელი თბილისელი მიხეილ მესხიც გახლდათ.



დღეს გაუთავებლად კამათობენ, ფეხბურთმა სახე იცვალა, ეს პოპულარული თამაში უფრო მობილური, დინამიური გახდაო. მაგრამ არც სპეციალისტისა და არც ჟურნალისტისათვის საკამათო არ არის ეს კეშმარიტება, რომ ფეხბურთი ვარსკვლავების გარეშე ფეხბურთი არ არის, რომ უფარსკვლავებოდ ძნელია მიაღწიო მნიშვნელოვან წარმატებას. დღევანდელ ფეხბურთში მომრავლდნენ უხეში მცველები, რომლებიც აკრძალული ზეგნებით ცდილობენ ძლიერი მოთამაშეების „დაჭერას“. უხეშობა ფეხბურთის მინდვრებზე წინადაც იყო, მაგრამ ნამდვილი ვარსკვლავები ამ მცველებთან უმალდესი საშემსრულებლო ოსტატობის წყალობით იმარჯვებდნენ. მიხეილ მესხი იმ გამოცდილ ტორეადორს წააგავდა, რომელიც წლების განმავლობაში მშვიდად, ნერვების დაუძაბვად აკეთებდა თავის საქმეს, უძლებდა გაწვილებულ მცველთა შემოტევას, ძალიან ხშირად ყველაზე მეტიც ხედებოდა, მაგრამ მსაჯთან აპელაციას არ იწყებდა, რადგან თვითონაც შეეძლო „დაესაჯა“ უხეში მცველი, მაგრამ დაესაჯა არა უხეშობით, არამედ მხოლოდ მაღალტექნიკური თამაშით. ფეხბურთის აი ასეთი რაინდი გახლდათ „მტკვრისპირელი გარინჩა“, როგორც მას ცნობილმა მოსკოველმა ჟურნალისტმა ა. ვიტენბერგმა დაარქვა. აი ნამდვილი მაგალითიც.

არგენტინის „რივერ პლეიტის“ სტადიონზე ტევა არ იყო. ადგილობრივ პრესასა საბჭოთა კავშირის ნაკრებზე არც თუ ისე კარგი წარმოდგენა ჰქონდა. ზოგიერთი გაზეთი პირდაპირ აცხადებდა, მასპინძლები სტუმრებს 4:0-ზე, ან 5:1-ზე დამარცხებენო. არგენტინელთა ზეცვლა რ. სიმეონემ ის ერთი ბურთიც არ გაიმეტა, — აჯაფიარ შემთხვევაში არ გაუშვებოთ. ალბათ, ასეთი ოპტიმიზმით უნდა აეხსნათ არგენტინელ მცველთა უყურადღებო თამაში. ამით კარგად სარგებლობდნენ ჩვენი ნახევარმცველები, რომლებიც ხშირად გზავნიდნენ გრძელ გადაცემებს მესხთან და მეტრეველთან.

მიხეილ მესხი ამ დღეს განსაკუთრებით ბრწყინვალედ თამაშობდა. ყველაფერი გამოსდიოდა. დიდი გასაჭირი დაადგა სწორედ სიმეონეს, მის დასახმარებლად ხშირად ინაცვლებდა ცენტრალური მცველი დელგადო, მაგრამ თბილისელი მათ შუა მოთხილამურეისაგან დაჰქროდა. მაშინ გაწვილებულმა სიმეონემ უხეშობას მიმართა, მაგრამ ვერც ამით გააწყო რაიმე. არგენტინელი სულ უფრო ხშირად ხედავდა თავისი უცნობი მეტოქის ზურგს, რომელზედაც № 11 ეწერა. ერთ სათამაშო ეპიზოდში ბურთი ისევ მესხმა მიიღო. სწორედ ახლა განიზრახა თბილისელმა სამაგალითოდ, 11-ათასიანი აუდიტორიის წინაშე დაესაჯა უხეში მცველი. მიხეილმა თავისი საყვარელი ილეთი გაუკეთა არგენტინელს, ბურთმა წრე შემოხაზა სიმეონეს ირგვლივ, მცველი დაეცა... კარის გასწვრივ ზუსტი ჩაწოდება, პონედელნიკის დარტყმა და ბურთი ბადეში გაეგვიო. ეს მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიგო ანგარიშით 2:1.

თამაშის შემდეგ ათასობით მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს საბჭოთა ფეხბურთელებს. გელშმატკივართა დიდი რაზმი მინდორზე დაედგნა მიხეილ მესხს, ალყაში მოიქცია და სუვენირებად წაიღეს თბილისელის ტრუსების, მაისურის ნაგლეჯები...

17 წლის შემდეგ, არგენტინაში გამართული მსოფლიოს XI ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, სადაც გაიმარჯვა კეშმარიტმა, მაღალტექნიკურმა ფეხბურთმა, კვლავ გაიხსენეს მიხეილ მესხის უმალდესი ოსტატობა. კიდევ მეტიც — არგენტინელები აცხადებდნენ, „რივერ პლეიტის“ სტადიონს დღემდე არ დააფიქცდება ის დიდი საფეხბურთო სანახაობა, რომელიც აქ 17 წლის წინათ საბჭოთა გარემარბმა მიხეილ მესხმა გვიჩვენაო... ეს დიდი ფეხბურთელის ხიკის კიდევ ერთი აღიარება იყო... მამის დაწყებულ საქმეს შვილი — უმცროსი მესხი გააგრძელებს...

რა სწრაფად გასულა წლები. მიხეილ მესხის სახელი უკვე ლეგენდად ქცეულა, მოედანზე კი უმცროსი მიხეილ მესხი გამოჩნდა...

მოთმინებით დაველოდით იმ დღეს, როდესაც ამაყად ვიტყვი: ის ურჩენია მამულსა...



რუსი და ქართველი ხალხების ძმობის მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის ფართოდ გაიშალა საყოველთაო-სახალხო მზადება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ დღესასწაულს საბჭოთა აჭარის მშრომელები, რომლებიც სავსებით სწორად უყავშირებენ გეორგიევსკის ტრაქტატს ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან თავიანთი კუთხის განთავისუფლებას და დედა-საქართველო-სთან დაბრუნებას, ჭეროვნად აფასებენ ამ საქმეში რუსი ჯარისკაცების განთავისუფლებელ მისიას, რუსი ხალხის თანადგომასა და უანგარო დახმარებას.

ამ სულისკვეთებით მიმდინარეობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მომწყობი საიუბილეო კომისიის სხდომა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნაძე ხელმძღვანელობდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ ძირითად საიუბილეო ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციით გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ცეცხლაძე, სოლო აჭარის ასსრ და სხვა რესპუბლიკების შრომითს კოლექტივებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჭიბრების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების შრომითი კოლექტივების მიერ იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე გ. დიასამიძე.

გაწეულ მუშაობასა და მომავალ ღონისძიებებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოხატულებაში საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. მანჯგალაძემ, საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ტუნაძემ, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანმა ა. ბეჟანიძემ, საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის მდივანმა დ. თურმანიძემ, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ, საქართველოს კომპარტიის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომიტეტის მდივანმა უ. ფატლაძემ, საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის მდივანმა რ. ფუტყარაძემ, საქართველოს აღკპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ბერიძემ, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა შ. ქურიძემ, გაზეთ „სოვეტსკაია აღშარას“ რედაქტორმა ვ. მარღანიძემ, უურნალ „ჭოროხის“ მთავარმა რედაქტორმა ა. სამსონიამ, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მ. ბეჟანიძემ, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ხ. ახვლედიანმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ჩხაიძემ.

სტდომაზე გამოვიდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უნგიაძე.

საიუბილეო კომისიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა აშხ. ვ. პაპუნაძემ.

## სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში გაიმართა კ. მარქსის და-





ზადების 165 წლისთავისა და გარდაცვა-  
ლების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო სესია.

სესია გახსნა ინსტიტუტის დირექტო-  
რმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტო-  
რმა დ. ხახუთაიშვილმა.

მოხსენებები „კ. მარქსი — მეცნიე-  
რული კომუნიზმის მამამთავარი“,  
„კ. მარქსი — პუბლიცისტი“ წაიკითხეს  
ინსტიტუტის სოციოლოგიური საპრო-  
ბლემო ჯგუფის ხელმძღვანელმა  
კ. ლლონტმა და მეცნიერმა თანამშრო-  
შელმა ი. მუსხაშვილმა.

### პოეზიის საღამომები

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფ-  
ში ჩატარდა პოეზიის საღამო.

სტენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ხა-  
ლხური მთქმელები კ. ხორავა, მ. თანდი-  
ლავა, მ. ჯევაიში, ი. თანდილავა, ზ. ვა-  
ნილიში, ნ. დარჩია-თანდილავა, ლექსებს  
ლაზური სიმღერები და ცეკვები ცვლი-  
და.

თავიანთი ახალი ლექსები წაიკითხეს  
პოეტებმა ქ. მუავიამ, ც. ანთაძემ, უ. ხა-  
ჭიშვილმა და სხვ. სიტყვით გამოვიდა  
ხელვაჩაურის რაიონული გაზეთის „ოქ-  
ტომბრის გზით“ რედაქტორი გ. ქუთა-  
თელაძე.

...

აჭარის პროფკავშირთა კულტურის  
სახლის ლიტერატურულმა გაერთიანე-  
ბამ ბიბლიოთეკის საბჭოსთან ერთად  
მოაწყო გამოჩენილი ქართველი პოეტის  
სიმონ ჭიჭოვანის დაბადების 80 წლის-  
თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სა-  
ღამო.

მოხსენებებით გამოვიდნენ კულტურის  
სახალხო უნივერსიტეტის ლიტერატუ-  
რისა და ესთეტიკის ფაკულტეტის მსმე-  
ნელი ლ. ტარიელაძე, ლიტერატურული  
გაერთიანების წევრი ნ. ცერცვაძე და  
ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი  
ი. ბოლუჩავა.

დრამატურგ შ. როყვას პიესა „მდინა-  
რის გაღმა ჩემი სოფელია“ ქვეუნიის 24  
თეატრში დაიდგა.

ამ ნაწარმოებმა პირველად სცენური  
სიცოცხლე ჰპოვა თბილისში — მოზარდ  
მაყურებელთა ქართულ და რუსულ თე-  
ატრებში, შემდეგ იგი დადგა ქუთაისის  
ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატუ-  
ლმა თეატრმა. პიესის გმირები ამეტყ-  
ველდნენ აგრეთვე რუსულ, უკრაინულ,  
სომხურ, ბელორუსულ ენებზე, იგი ნა-  
ხეს კიევის, ხარკოვის, სვერდლოვსკის,  
ხაბაროვსკის, მინსკის, ლვოვის, ერევნის,  
დონის როსტოვის მაყურებლებმა.

ახლანან სექტაკლი „მდინარის გაღმა  
ჩემი სოფელია“ ჩრდილოეთ ოსეთის  
კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწი-  
ფო დრამატული თეატრის მსახიობთა  
შესრულებით იხილეს ქალაქ ორჯონიკი-  
ძის მაყურებლებმაც.

### ახლანან გამომცემი

საქართველოს მწერალთა კავშირთან  
არსებული მხატვრული თარგმანისა და  
ლიტერატურულ ურთიერთობათა მთა-  
ვარი სარედაქციო კოლეგიის გრიფით  
გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ გა-  
მოსცა თანამედროვე ინგლისელ მწერა-  
ლთა ნაწარმოებების კრებული „ველეუ-  
რი აღუბლის სე“.


კრებულში გაეცნობით რ. კიბლინგის,  
შ. უელისის, ნ. შიუტის, ბ. არმსტრონგის,  
ს. მოემის, შ. ბეიტსის, ფ. კინგის, ჯ. რი-  
სის, მ. სპარკის, შ. ჰაუარდის, ა. ეიკბო-  
რნისა და პ. ვულფშაუზის მოთხრობებს.  
ისინი ინგლისურიდან თარგმნა ზურღან  
გემაზაშვილმა.

წიგნის რედაქტორია მ. გელაშვილი.

\* \* \*

აღმაიანი მზის შვილი, ხოლო ყველა  
მისი სიმღერა მზის ნახატებია. მზე მა-  
რად უყვდავი სიცოცხლის სიმბოლოა.  
ამდენად, კაცთა მოდგმის სულში ანთე-





ბული სიხარული თუ მწუხარება, სიყვარული თუ მოწყენა მზისკენ ისწრაფვის უპირველესად. — ამგვარადა გააზრებული ახალგაზრდა პოეტის ზურაბ ფირცხალაიშვილის ლექსების მეორე კრებული „მზის ნატენები“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა.

ახალგაზრდა პოეტს თავისებურად აქვს გაცნადებული მამულის სიყვარული. იგი მზადაა უყოყმანოდ ეწამოს მამულის — მისი ცისა და მიწის გადასარჩენად. ამ პატარა კრებულისათვის ნიშანდობლივია მზით განათებული რწმენა, იმედი.

წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე, მხატვარი — რ. ლომაძე.

ახალგაზრდა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ მკითხველს მიაწოდა მწერალზნობარ მოდებამის წიგნი „სილაში ვარდი“. ახალ წიგნში შევიდა რომანი „სილაში ვარდი“ (ამ რომანის ცალკეული თავები სახელწოდებით „თვა“ „უხრნა“ „ქოროსში“ დაიბეჭდა), მოთხრობები „მარტის სუსხიან დღეს“, „საწუთრო“, და „მადლა, მადლა“. ამ ნაწარმოებთა თემა ქალ-ვაჟის სიყვარულია, რომელიც ყოველთვის სასურველად როდი წარიმართება. ამის მიზეზად მწერალს ჩვენს ცხოვრებაში შემორჩენილი მანკიერი მოვლენები მიაჩნია.

წიგნის რედაქტორია ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვარი — რ. ლომაძე.

## მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

### სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი ბაჩიშვილი, ზურაბ გორგილაძე, მამია შარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზომიძე, დავით თედოშაძე, გიორგი სალუშვაძე, ჯემალ შატაშაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, ჯემალ ჯაფარი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 12. 4. 83, ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 5. 83, საგამომცემლო თაბახი 5, შეკვეთის № 1110, ემ 01317, ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Р. Люксембург, 20.



6104/102



330 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„ЧОРОХИ“**

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78218